# HELLO! GEORGIA

#005 • დეკემბერი 2016 • 4.00₾



FASHION & BEAUTY *Special*

+217 სადღესასწაულო რჩევა

**MERCEDES-BENZ FASHION WEEK TBILISI**



## DAVID KOMA

ვარსკვლავების ფავორიტი დიზაინერი საქართველოდან

ამერიკის პირველი ლედი

# მელანია ტრამპი

ახალი ცხოვრებისთვის ემზადება

ISSUN 2449-2590










COLOSSEUM
MARINA HOTEL

16 Sh. Khimshiashvili St.
Batumi, Georgia, 6015
Tel : +995 422 24 40 40; Mob: +995 579 88 33 33
Email : spa@colosseummarina.ge
www.colosseummarina.ge

# რედაქტორის წერილი

*შემოდგომა გავაცილეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საახალწლო თავგადასავლებისა და დღესასწაულების დრო დადგა.*

კიდევ ერთხელ გმადლობთ იმისთვის, რომ შემოდგომა ჩვენთან ერთად გაატარეთ და 2016 წელსაც ჩვენთან ერთად აცილებთ. მინდა წინასწარ მოგილოცოთ დამდეგი დღესასწაული და საუკეთესო ემოციებით, სიურპრიზებითა და სიყვარულით სავსე დეკემბერი გისურვოთ...

რაც შეეხება **HELLO!**-ს რიგით მეხუთე ნომერს, ის, ჩვეულებისამებრ, სავსეა მრავალფეროვანი, საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციით. გასაკვირი არ არის, რომ დეკემბრის მთავარი გმირი **მელანია ტრამპია** – ა.შ.შ.-ს ახალი პირველი ლედი, რომელსაც ჟურნალის ფურცლებიდან ახლოს გაიცნობთ.

როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ქართველი სტუმრები გვყავს – **დავით კომახიძე**, იგივე **DAVID KOMA**, რომელიც თბილისს **Mercedes-Benz Fashion Week**-ის ფარგლებში ეწვია; **თამუნა წიკლაური** – გოგონა, რომელმაც სახელი მისაბაძი სტილით გაითქვა; **ავთანდილი** – საყვარელი ოჯახითა და სადღესასწაულო განწყობით; და **რჩეული ქართველი ვარსკვლავები**, რომლებიც საახალწლო სურვილებსა და 2017 წლისთვის დასახულ გეგმებს გვიზიარებენ.

**HELLO! მაიკლ ბუბლესაც** ეწვია – კანადელი ვარსკვლავი, რომელიც ყოველთვის ჯადოსნურ სეზონთან ასოცირდება, ახალ ალბომზე, ასეთივე ახალ სუნამოსა და საყვარელ ოჯახზე საუბრობს.

ამ ნომერში სადღესასწაულო პერიოდისთვის მზადება LIFESTYLE-ის ბლოკის მთავარი თემაა. საახალწლო მოდურ ტენდენციებს – ფერად ბეწვს, HEAD TO TOE თეთრსა და კაბებს ზღაპრის გმირების სტილში – სწორედ დეკემბრის ნომერში მომივიხილავთ.



ასევე წარმოგიდგენთ ზამთრის აქსესუარების მიმოხილვას და **Mercedes-Benz-ის თბილისის მოდის კვირეულის** ექსკლუზიურ დეტალებს.

**მოკლედ,** თქვენს ხელში ძალიან საინტერესო და მრავალ-ფეროვანი ნომერია. იმედია ისიამოვნებთ და 2017 წელსაც ჩვენთან ერთად დაიწყებთ. მანამდე კი, საუკეთესო სურვილებითა და ჯადოსნური ამბების მოლოდინით გემშვიდობებით.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 20




გვ. 92



გვ. 128



გვ. 94

HELLO! GEORGIA
#005 • დეკემბერი • 2016

# სარჩევი





ჟირაფების სახლი კენიაში 06



ავთანდილის ოჯახი 62



მაიკლ ბუბლე 26

90 დეკემბრის ტრენდები

## ვარსკვლავური ისტორიები


06 **ჟირაფების მამული –** ზღაპრული ადგილი კენიაში
16 **მელანია ტრამპი** – აშშ-ის ახალი პირველი ლედი
20 **თამუნა წიკლაური** – ცნობილი It Girl საქართველოდან
26 **მაიკლ ბუბლე** ახალი ალბომისა და საყვარელი ოჯახის შესახებ
38 **ქალები,** რომლებიც მსოფლიოს ცვლიან
44 „სუსტი სქესის“ ძლიერი მხარე – **თათია დოლიძე** და **ლიჩია რონზული**
60 **ავთანდილი** ოჯახითა და სადღესასწაულო განწყობით
104 **DAVID KOMA** – ქართველი დიზაინერი საერთაშორისო ასპარეზზე


## მუდმივი რუბრიკები


32 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან
50 **PANORAMA** – დონალდ ტრამპის გამარჯვება
52 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა
58 **CINEMA MATTERS** – შუქი! კამერა! გადაღება!
146 **HALF HOUR** – ანა კენდრიკი


დასაწ. **89** გვ.-დან

**lifestyle**

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



# -50% - მდე ფასდაკლება

## კოსმეტიკის რჩეულ ფრანგულ ბრენდებზე

**15 დეკემბრიდან 15 იანვრის ჩათვლით**




ჯიპისი GPC



### ზღაპრული ადგილი კენიაში

# ჟირაფების მამული

### მაიკი და ტანია კარ-ჰარტლები ჯადოსნურ სახლში გვეპატიჟებიან

**„განსაკუთრებულად მიყვარს კელის ოთახი, რომელიც პირველ სართულზეა, იქ ფანჯრიდანვე შეგიძლია ჟირაფებს საჭმელი აჭამო“**





ტანია და მაიკი შვილებთან ერთად ჩაის დასალევად ემზადებიან. უფროს გოგონას სალა ჰქვია, ტყუპებს კი – ტისა და კინა. მათთან ერთად განსაკუთრებული სტუმარია ერთ-ერთი იმ 12 ჟირაფიდან, რომლებსაც ოჯახის წევრები უვლიან. მამული ინგლისურ სტილშია აშენებული და ნაირობის გარეუბანში მდებარეობს.





კარ-ჰარტლების ოჯახი ველური ბუნების გარემოცვაში გაიზარდა. ისინი ბედნიერები არიან, რომ შვილებისთვის ასეთი საგანძურის დატოვება შეუძლიათ. „ჩვენ მუდამ და ყველგან ერთად დავდივართ და ვცდილობთ ყველანაირი გამოცდილება მივიღოთ“, – ამბობს ტანია.



წარმოიდგინეთ, რომ მზის პირველი სხივები გიჭყვრიტინებთ და ოთახის ფანჯარასთან ჟირაფი გელოდებათ, რომელსაც შია და თქვენს გაღვიძებას მოუთმენლად ელის. შესაძლოა წარმოუდგენლად გეჩვენებათ, მაგრამ ეს ყოველდღე ხდება ნაირობიში მდებარე „ჟირაფების მამულში“, რომელიც დიდი ტყის პირასაა აშენებული. თვალისმომჭრელ სასახლეში, რომელიც 1932 წელს აშენდა, მხოლოდ კენიელი კარ-ჰარტლების ოჯახი კი არა, გადაშენების პირას მყოფი როტშილდური ჟირაფებიც ცხოვრობენ.

დღეში ორჯერ – განთიადზე და შებინდებისას – ჭირვეული ლინი, ნაზი აირენი, გიგანტური ჯოკი და მათი მთელი კლანი, უმცროსი ჟირაფების ჩათვლით, საჭმლისკენ მიიჩქარიან. ისინი გრძელ კისრებს ინგლისური სტილით აშენებული მამულის ფანჯრებში ყოფენ და შიმშილის დაკმაყოფილებისთანავე ტყის მიმდებარე ტერიტორიას ან მათთვის აშენებულ თავშესაფარს უბრუნდებიან.

ეს ზღაპრული მამული ნაირობის ცენტრიდან 10 წუთის სავალზეა გაშენებული. იქ მისულებს გეგონებათ, რომ მთელი ქვეყნიერება უკან მოიტოვეთ და სრულიად სხვა სამყაროში აღმოჩნდით. მას შემდეგ, რაც ჯოკ ლესლი-მელვილმა და მისმა ამერიკელმა ცოლმა ბეტიმ აქ ხუთი ჟირაფი ჩამოიყვანეს, ოჯახის წევრთა რაოდენობამ იმატა. 1974 წლიდან დღემდე მამულში 12-მა ჟირაფმა მოიყარა თავი. კენიაში ჩამოსული ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც მიკ ჯაგერი, მადონა და რიჩარდ ბრენსონი არიან, ხშირად სტუმრობენ ხოლმე ამ ჯადოსნურ ადგილს და დაუჯერებელი სანახაობით ტკბებიან. რასაკვირველია, ასეთ დროს და ასეთ ადგილას ნამდვილი ვარსკვლავები ისინი კი არა, ეზოში მოსიარულე ჟირაფები ხდებიან.

მამულის უფროსი და დიასახლისი მაიკი და ტანია კარ-ჰარტლები არიან. ორივე მათგანი 45 წლისაა. სამი შვილი ჰყავთ: ▶

**„უნიკალური ადგილია. აქ ყოფნისას გავიწყდება, რომ უზარმაზარი ქალაქის შუაგულში ხარ და უბრალოდ ისვენებ“**

მაიკიმ და ტანიამ მთელი მამული საკუთარი ძალისხმევით გადააკეთეს და ეცადნენ ძველი – 1930 წლის იერსახე შეენარჩუნებინათ. ადრინდელი დიზაინის გამეორებაა დიდი შესასვლელი (ზევით და ქვევით), რომელიც სპეციალურად ნაყიდი ძველებური იატაკით, ხალიჩებითა და კარით გაკეთდა.







**1930 წელს აშენებული ნაგებობა კენიის მთელ ისტორიას ინახავს. სახლში ათი საძინებელი ოთახია. თითქმის ყველაფერი ხისაა ან ხით არის მოპირკეთებული, თუმცა „ჟირაფების მამულის“ სტუმრებს თანამედროვე ნამუშევრებით ტკბობაც შეუძლიათ.**

12 წლის სალა და 8 წლის ტყუპები – კინა და ტისა. საკუთრებას თავდაუზოგავად უვლიან და ცდილობენ, კამერებს, რომლებიც ჟირაფებს დისკომფორტს უქმნის, თავი აარიდონ. ოჯახმა გამონაკლისი მხოლოდ HELLO!-სთვის დაუშვა – ჟურნალის გუნდი კილიმანჯაროს მთების ჩრდილში შეიპატიჟა და ჯადოსნური „სამეფო“ გააცნო.

**როგორც ვიცით, ჟირაფების მამულის მეურვეობა თქვენი ოცნება იყო...**

ტანია: მე ახლოსვე გავიზარდე და ჩემს ძმასთან ერთად ხშირად ვთამაშობდი ხოლმე მიმდებარე ტერიტორიებზე. ჟირაფები ყოველთვის აქ იყვნენ, დედაჩემი კი კარგად იცნობდა ლესლი-მელვილის ოჯახს, რომელიც ამ მამულს მეურვეობდა. რიკ და ბრიონი ანდერსონებს, აქ ჩვენამდე რომ ცხოვრობდნენ, აქაურობაში ფული 2006 წელს შევთავაზეთ, მაგრამ გვითხრეს, რომ სახლს არ ყიდდნენ. მათთვის მამული განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, იმიტომ, რომ პირველი ხუთი ჟირაფი აქ სწორედ მათმა დედამ ჩამოიყვანა.





მამულს ისეთი ცნობილი სტუმრებისთვის უმასპინძლია, როგორებიც მიკ ჯაგერი და მადონა არიან. სახლში ჭადრაკის დაფაც კი ჟირაფის ფერებშია გადაწყვეტილი. ჟირაფებთან განსაკუთრებულად მეგობრობენ ბავშვები, რომლებიც საყვარელ ცხოველებს გამუდმებით ეთამაშებიან და ეფერებიან.



**როგორ დაარწმუნეთ, რომ საგანძური თქვენთვის დაეთმოთ?**

ᲛᲐᲘᲙᲘ: რამდენიმე წლის წინ გავიგეთ, რომ მამული იყიდებოდა. მეორე დღეს საფარი მქონდა დაგეგმილი, ამიტომ ტანიას ვთხოვე წასულიყო და ყველაფერი გაერკვია.

ᲢᲐᲜᲘᲐ: რიკსა და ბრიონის უნდოდათ მამული ვინმე ისეთს ეყიდა, ვინც აქაურობას კარგად იცნობდა და ეს ადგილები უყვარდა. ირგვლივ იმხელა ტერიტორიაა, შეიძლება ვინმეს სახლებიც გაეშენებინა. ეშინოდათ, რომ აქაურობა სახეს შეიცვლიდა და თავის ნამდვილ დანიშნულებას დაკარგავდა. საბედნიეროდ, ჩვენ ის ადამიანები აღმოვჩნდით, ვისაც ამ მხრივ ყველაზე მეტად ენდობოდნენ.

**რამ მოგხიბლათ აქაურობაში ყველაზე მეტად?**

ᲢᲐᲜᲘᲐ: უპირველესად, ჟირაფებმა, შემდეგ კი თვითონ სახლმა, რომელიც ძალიან ლამაზია. მართლა დიდი პატივია ასეთ ადგილას ცხოვრება.

**2009 წელს აქ ალბათ ბევრი სამუშაო დაგხვდებოდათ...**

ᲢᲐᲜᲘᲐ: დიახ, ყველაფერი ჩვენით გავაკეთეთ. სახლი განახლებას საჭიროებდა, რაც არცთუ მარტივი ამოცანა იყო. დავამატეთ მეორე ტერასაც, რომელიც იდეალური ადგილია საუზმისა და ლანჩისთვის. რეაბილიტაციას დიდი დრო დასჭირდა. თან გვინდოდა ყველაფერი ძველებურ სტილში შეგვენარჩუნებინა. ძლივს მივაგენით საჭირო მასალებს.

**რომელი ადგილი გიყვართ სახლში ყველაზე მეტად?**

ᲢᲐᲜᲘᲐ: მე კელის ოთახი მიყვარს, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობს. მას ბუხარი და ლამაზი ფანჯარა აქვს, საიდანაც ყოველდღე ერთად ვაჭმევთ ჟირაფებს. ეს ჯადოსნური პროცესია. ძალიან მიყვარს პირველი სართულის ტერასებიც.

**გამოდის, ჟირაფები თქვენს ეზოში ცხოვრობენ. ამას ოჯახისთვის დისკომფორტი არასოდეს შეუქმნია?**

ᲛᲐᲘᲙᲘ: სანამ მამულს ვიყიდდით, აქ ხშირად მოვდიოდი და ტურისტებიც მომყავდა. თავიდან ყველაფერი ცოტა უცნაურად მეჩვენებოდა. შემდეგ კი, როცა დავინახე რამდენად ბედნიერდე-









ბოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საოცარ ქმნილებებს ეფერებოდნენ, მივხვდი, რომ საქმე ჯადოსნურ ადგილთან მქონდა. დღემდე გული მიჩუყდება ხოლმე, როცა ვუყურებ, როგორ ეთამაშებიან ჟირაფებს ჩემი შვილები. მათი მოფერება არასოდეს ბეზრდებათ.

**როგორც ვიცით, ცოტა ხნის წინ სალა კონგოში გყავდათ წაყვანილი...**

**ტანია:** ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ სამყაროს გავეცნოთ და ველური ბუნებით ყოველდღიურად დავტკბეთ. მუდამ და ყველგან ერთად დავდივართ. გვინდა ჩვენმა ბავშვებმა ყველაფერი გამოსცადონ. სალა, კინა და ტისა მეხუთე თაობის წარმომადგენლები არიან და კენია მათი სისხლის, მათი არსების განუყოფელი ნაწილია.

**აშკარაა, რომ ცოლ-ქმარს სამაგალითო ურთიერთობა გაქვთ. როგორ შეხვდით ერთმანეთს?**

**მაიკი:** ორივე 15 წლის ვიყავით, როცა ჩემი ბიძაშვილის მხრიდან გავიცანი. ჩვენი არდადეგები ერთმანეთს არ ემთხვეოდა იმიტომ, რომ მე სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ კი, როცა აქ ჩამოვდიოდი, ტანიას სკოლას ვსტუმრობდი ხოლმე და ლანჩის დროს ვნახულობდი. სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

**ტანია:** ჩვენი წინაპრებიც კენიელები იყვნენ. მეოთხე თაობის წარმომადგენლები ვართ. ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვმუშაობთ და თითქმის მთელი ცხოვრებაა საუკეთესო მეგობრები ვართ. ძალიან, ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი განსაკუთრებული ოჯახი მყავს.

▶

**ბავშვებს ძალიან უყვართ აფრიკული ცხოვრება და ჟირაფები, რომლებიც მათ სახლში ცხოვრობენ. „კენია მათი სისხლის, მათი არსების განუყოფელი ნაწილია“, – ამბობს ტანია**



მაიკი: „როცა დავინახე რამდენად ბედნიერდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ საოცარ ქმნილებებს ეფერებოდნენ, მივხვდი, რომ საქმე ჯადოსნურ ადგილთან მქონდა“.



მაიკის და ტანიას წინაპრებიც კენიის ბინადრები იყვნენ, მეოთხე თაობის წარმომადგენელი ცოლ-ქმარი ყვავილების ოთახში რომანტიკულ ვახშამს ხშირად აწყობს

**ბევრ საკუთრებას ფლობთ. რომელია თქვენი ფავორიტი?**

მაიკი: მე ყველაზე მეტად „სალას ბანაკი“ მიყვარს, რომელიც ველურ მარაში მდებარეობს. იქ უზარმაზარი სივრცე და ნამდვილი ველური ცხოვრებაა. საოცარი ხედებითაც გამოირჩევა.

ტანია: მე სამბურუ მიყვარს. მისი გარემო ჯადოსნური და ყველანაირად მდიდარია – ხალხით, კულტურით, ბუნებით... რა თქმა უნდა „ჟირაფების მამული“ ჩვენი პირველი სიყვარულია. აქ ყოფნისას გავიწყდება, რომ უზარმაზარი ქალაქის შუაგულში ხარ და უბრალოდ ისვენებ. სხვაგან ამის გაკეთება შეუძლებელია.

**ალბათ თქვენს მამულს ბევრი ვარსკვლავი სტუმრობს ხოლმე...**

ტანია: ეს ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მხარეა. მრცხვენია იმის აღიარება, რომ ნახევარზე მეტს ვერც ვცნობ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ვარსკვლავური ცხოვრებისგან ძალიან შორს ვარ და ცნობილ სახეებში ნაკლებად ვერკვევი. მეგობრები რომ მწერენ, თქვენთან ეს მსახიობი თუ ის მომღერალი ყოფილაო, მერეღა ვხვდები ხოლმე, ვისზე იყო საუბარი. როცა ჟიზელ ბიუნდჰენი გვსტუმრობდა, Instagram-ზე აქ გადაღებული ფოტო ატვირთა და დაწერა, რომ ჩვენს მამულში იყო. მადონა კი უშუალოდ ჟირაფების სანახავად გვეწვია...

მაიკი: მნიშვნელობა არ აქვს, ვარსკვლავი გვესტუმრება თუ უცნობი ადამიანი – ჩვენ ყველას ერთნაირად ვმასპინძლობთ.

**ექვგარეშეა, რომ კენია მთელი გულით გიყვართ...**

ტანია: ჩვენ თავისუფლება გვიყვარს. გვიყვარს ის, რომ შესაძლებლობა გვაქვს შვილები ბუნებასთან მაქსიმალურ სიახლოვეში გავზარდოთ, ჯანსაღი საკვებით დავტკბეთ და ნამდვილი, ცხოვრებისეული გამოცდილებები მივიღოთ. ჩვენ ირგვლივ ყველაფერი ცოცხალია. H

**ტექსტი**: NATASHA FARUQUE
**ფოტო**: TIM BEDDOW
**სტილი**: ASHLEY PITTMAN & PENNY WINTER
**მაკიაჟი**: ALLIE DREW

*დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და **„ჟირაფების მამულში“** ტურის დასაჯავშნად ეწვიეთ ვებგვერდს: thesafaricollection.com*





ტერასა საოცარ გარემოს ქმნის იმისთვის, რომ წაიხემსო და ეზოში მოსეირნე ჟირაფებს თვალყური ადევნო.



JYSK

ყველას სახლში!



გელოდებით საახალწლო კოლექციით და ბევრი სიურპრიზით!!!

მარშალ გელოვანის გამზ. 36
ტელ: **032 224 04 14**
**JYSK Georgia**



## გაიცანით ამერიკის პირველი ლედი

# მელანია ტრამპი

## ქალი, რომელიც ახალი ცხოვრებისთვის ემზადება

დონალდ და მელანია ტრამპების ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. თეთრ სახლში გადასვლის შემდეგ, ყველაფერი საგრძნობლად შეიცვლება და პირველი ლედის ყოველდღიურობა განსხვავებული საქმიანობით შეივსება. ყველა იმედოვნებს, რომ ყოფილი მოდელი მიშელ ობამას კვალს გაჰყვება და უამრავი ქალბატონისთვის მისაბაძ მაგალითად იქცევა.

როგორი პირველი ლედი იქნება მელანია და რამდენად გაართმევს თავს ქვეყნის პირველი პირის ცოლობას? ამ შეკითხვაზე ის თავადვე პასუხობს და ირწმუნება, რომ იქნება ძალიან ტრადიციული, მსგავსად ბეტი ფორდისა და ჯეკი კენედისა. ეჭვი არავის ეპარება, რომ მელანია, რომელსაც არჩევნების ღამეს RALPH LAUREN-ის მხარმოშიშვლებული კომბინეზონი ეცვა, გლამურულ იმიჯს შეინარჩუნებს. სხვა თუ არაფერი, მელანია ისეთი მოდური ჟურნალების ყდებზეა დაბეჭდილი, როგორებიცაა HARPER'S BAZAAR, VANITY FAIR და GQ.

პირველი ლედი მხოლოდ სილამაზით როდი გამოირჩევა – ის სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას: სლოვაკურს, გერმანულს, ფრანგულს, სერბულსა და ინგლისურს. გარდა ამისა, მელანია ამერიკის „წითელი ჯვრის" კეთილი ნების ელჩი იყო და AMERICAN HEART ASSOCIATION-ს საქველმოქმედო ფინანსების მოძიებაშიც ეხმარებოდა. მწერალი პამელა კიო, რომელიც ჯეკი კენედის ბიოგრაფიის ავტორია, ახალ პირველ ლედიზე თავის აზრს გამოთქვამს: „ის ძალიან ლამაზი, გონიერი ქალბატონია და დარწმუნებული ვარ, საკუთარ სტილს ბოლომდე შეინარჩუნებს". რაც შეეხება სტილისტს, რომელიც დიდი ხანია ტრამპებთან მუშაობს, იგი დარწმუნებულია, რომ ახალი დიასახლისი თეთრ სახლს ნამდვილ ოჯახურ კერად გადააქცევს. „მელანია კლასიკური პირველი ლედი იქნება", – ირწმუნება ფილიპ ბლოში.

## საწყისები

უკვე თითქმის 200 წელია, ქვეყნის პირველ ქალბატონთა სიაში ამერიკელები არიან. მელანია ამ მხრივ გამონაკლისი იქნება. ის ყოფილ იუგოსლავიაში დაიბადა და პატარა ქალაქ სევნიცაში გაიზარდა. მამამისი – ვიქტორი, კომუნისტი იყო და ფულს მანქანების გაყიდვით შოულობდა. დედამისი კი – ამალია, ბავშვების ტანსაცმელზე მუშაობდა.

ჯერ მხოლოდ ხუთი წლის იყო, როცა უფროს დასთან ერთად სამოდელო საქმიანობას შეუდგა და ერთ-ერთი კომპანიის კატალოგში დაიბეჭდა. წარმატებები მაშინ დაიწყო, როცა მელანია და ინესი ბელგრადში გამართულ მოდის ჩვენებაზე მიიწვიეს. „მელანიამ მიზნად დაისახა, რომ ცნობილი მოდელი გამხდარიყო", – იხსენებს პირველი ლედის პირველი მეგობარი ნენა ბედეკი, – „ძალიან უყვარდა ტანსაცმლის დიზაინის ხატვა. მას ყოველთვის ჰქონდა ჩვენზე მეტი ოცნება და მიზანი. ამასთან ერთად, ყოველთვის უმშვენიერესი, ყურადღებიანი, ჭკვიანი და კეთილი გოგონა იყო".

დიზაინისა და არქიტექტურის შესწავლასთან ერთად, მელანია სამოდელო საქმიანობასაც აგრძელებდა და ლუბლიანაში ცხოვრობდა. სწორედ იქ შენიშნა სლოვაკმა ფოტოგრაფმა და მილანურ სააგენტოსთან დააკავშირა. მაშინ გოგონა მხოლოდ 16 წლის იყო. ამას მოჰყვა ნიუ-იორკული ცხოვრება, დონალდთან შეხვედრა და სიყვარული. თვითონ 28-ის იყო, ტრამპი კი – 52-ის. მილიარდერს მოდელი ერთი ნახვით შეუყვარდა. მელანია კი იხსენებს: „მე იმ გოგონების კატეგორიას არ განვეკუთვნები, ►



მიუხედავად იმისა, რომ მოდელობას თავი გაანება, ტრამპის მეუღლეს კამერებთან პოზირება კვლავ შესანიშნავად გამოსდის. ამერიკის პირველი ლედი მხოლოდ სილამაზით როდი გამოირჩევა – ის სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას: სლოვაკურს, გერმანულს, ფრანგულს, სერბულსა და ინგლისურს. როგორც სკოლის მეგობარი იხსენებს, მელანიას ყოველთვის სხვებზე მეტი ოცნება და მიზანი ჰქონდა.



ჰილარი კლინტონი და მელანია ტრამპი ნიუ-იორკში გამართულ Alfred E. Smith Memorial Foundation Dinner-ს დაესწრნენ.




დონალდისა და მელანიას ქორწილში HELLO!-ც მიწვეული იყო (ზევით). მელანია და პატარა ბარონი 2007 წელს დონალდ ტრამპის ვარსკვლავის გახსნაზე (ქვევით).






თავიანთ ნომრებს ნებისმიერ შემხვედრს რომ აძლევენ. მისთვის ჩემი ტელეფონის ნომერი არ მიმიცია. პირიქით – მას გამოვართვი“.

რა თქმა უნდა, დონალდს ფავორიტ ქალბატონთან დაკავშირება არ გასჭირვებია და ხუთი წლის შემდეგ ცოლობაც შესთავაზა. 2005 წლის იანვარში დაქორწინდნენ და წვეულება ფლორიდაში მდებარე უზარმაზარ სახლში გამართეს. წყვილის ბედნიერებას ბილ და ჰილარი კლინტონებიც იზიარებდნენ. იქვე იყვნენ ჰაიდი კლუმი და საიმონ კოუელიც. ერთ წელიწადში ბიჭუნა გაჩნდა და მას ბარონი დაარქვეს. „მე და დონალდს ერთმანეთთან დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა გვაკავშირებს“, – აღნიშნა მელანიამ HELLO!-სთან საუბრისას (2011 წ.), – „იდეალური ურთიერთობა გვაქვს და ეს ახლა არ დაწყებულა – ყოველთვის ასე იყო“.

## ნამდვილი ლედი

მელანია ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცევა, თუმცა ძალიან ცდილობს პოლიტიკაში ნაკლებად ჩაერთოს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მან მხოლოდ ორჯერ ისაუბრა ხალხის წინაშე. „მირჩევნია საჯარო პოლიტიკურ გამოსვლებს მოვერიდო. ეს ჩემი ქმრის საქმეა“, – აღნიშნავს პირველი ლედი, – „პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ამაზე მხოლოდ ვიწრო წრეში ვსაუბრობ. სწორედ ამიტომ მოვერიდე კამპანიაში ჩართვას – ეს ჩემი არჩევანი იყო“.

ყოველთვის აშკარაა ხოლმე, რომ მელანია დონალდის მიმართ ძალიან რბილი და ლოიალურია: „ის საოცარი ადამიანია. ბევრი უარყოფითად ახასიათებს, მაგრამ სინამდვილეში არც კი იციან, რა და როგორ ააშენა ჩემმა მეუღლემ. ასეთი ტიპის ადამიანებს ურჩევნიათ მის თმაზე იხუმრონ, ვიდრე მის მიღწევებზე ისაუბრონ“.

ინტერვიუში, რომელიც CNN-ზე გასულ თვეში გავიდა, მელანიამ დონალდის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზეც ისაუბრა – სხვადასხვა ქალბატონი ტრამპს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებდა. „ხალხი ჩემ მიმართ სიბრალულს გამოხატავს და ამას აშკარად ვგრძნობ“, – აღნიშნა ტრამპის მეუღლემ, – „მაგრამ ისინი საერთოდ არ მიცნობენ და ჩემზე არაფერი იციან. მე ძლიერი ქალი ვარ და ყველაფერთან გამკლავება დამოუკიდებლად შემიძლია. მათი შესაცოდი არაფერი მჭირს“.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში დიდი ცვლილებებია და უახლოესი წლების განმავლობაში მსოფლიო სრულიად განსხვავებულ პრეზიდენტსა და პირველ ლედის გაიცნობს. ტრამპების ახალი ცხოვრება კი ახალი წლიდან, იანვრის თვეში დაიწყება... H

**ტექსტი**: NATASHA FARUQUE

**ფოტო**: GETTY IMAGES.



„პოლიტიკა ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ამაზე მხოლოდ ვიწრო წრეში ვსაუბრობ. სწორედ ამიტომ მოვერიდე კამპანიაში ჩართვას – ეს ჩემი არჩევანი იყო“



„დღემდე მაკვირვებს, როცა ქუჩაში მცნობენ და ჩემთან სასაუბროდ მოდიან. ძალიან მიხარია, რომ ჩემ გარშემო მხოლოდ კეთილი ადამიანები არიან, რომლებიც არასოდეს იშურებენ პოზიტიურ კომენტარებს“



„საკუთარი თავი მისაბაძ ადამიანად არასოდეს მიმაჩნდა. უბრალოდ ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი ის, ვინც ვარ. ძალიან მიხარია, თუ ჩემი სტილი ვინმესთვის ინსპირაციად იქცა“

## ცნობილი IT GIRL საქართველოდან

# თამუნა ნიკლაური

„ძალიან გამიმართლა, რომ გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, როგორიც ჩემი მეუღლეა. ის ყველაფერში მეხმარება და ყოველთვის მხარში მიდგას“





**„მიმაჩნია, რომ ძვირადღირებული ტანისამოსის ყიდვა აუცილებელი არ არის. მთავარია ფეხსაცმელი იყოს ხარისხიანი და ლამაზი“**

**„ჩემი აზრით ბედნიერება არის ის, როცა იცი, რომ შენს საყვარელ ადამიანებს არაფერი უჭირთ“, – ამბობს თამუნა.**

თამუნა წიკლაური „ის გოგონაა“, რომელსაც Instagram-ზე 200 000-მდე მიმდევარი ჰყავს და უამრავი ადამიანისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. მისაბაძია მისი სტილიც, სიყვარულიც, შვილისადმი დამოკიდებულებაც, პოზიტიური ენერგიაცა და თავმდაბლობაც, რომელიც ვარსკვლავს კიდევ უფრო ალამაზებს. ქართველი ვარსკვლავი, რომელსაც HELLO!-ს ფურცლებიდან უკეთ გაიცნობთ, ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და პატარა ადამზე მეუღლესთან ერთად ზრუნავს...

**საკმაოდ დიდი ხანია ქალბატონებისთვის მისაბაძ მაგალითად მიიჩნევით. როგორი შეგრძნებაა, როდესაც თქვენი გადაწყვეტილებები ამხელა მნიშვნელობას იძენს?**

**თ.წ.** საკუთარი თავი მისაბაძ ადამიანად არასოდეს მიმაჩნდა. უბრალოდ ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი ის, ვინც ვარ. ძალიან მიხარია, თუ ჩემი სტილი ვინმესთვის ინსპირაციად იქცა.



**Instagram-ზე 181 ათასზე მეტი მიმდევარი გყავთ. რითი გამოირჩევა თამუნა წიკლაურის სოციალური ქსელი და რა ხიბლავთ თქვენში ყველაზე მეტად?**

**თ.წ.** ჩემთვისაც სიურპრიზი იყო, როცა Instagram-ზე ამდენი მიმდევარი გამომიჩნდა. რთულია ზუსტად გითხრათ, რა გახდა ამის მიზეზი, მაგრამ ვფიქრობ ადამიანებს ყველაზე მეტად ჩემი უბრალოება და გულწრფელობა მოსწონთ.

**ვიდრე ასეთი პოპულარული გახდებოდით, როგორი იყო თამუნა წიკლაურის ცხოვრება?**

**თ.წ.** მნიშვნელოვანი არაფერი შეცვლილა და დღემდე მიკვირს, როცა ქუჩაში მცნობენ და ჩემთან სასაუბროდ მოდიან. ძალიან მიხარია, რომ ჩემ გარშემო მხოლოდ კეთილი ადამიანები არიან, რომლებიც არასოდეს იშურებენ პოზიტიურ კომენტარებს. ეს ფაქტი გულწრფელად მაბედნიერებს.

**სამაგალითოა არა მხოლოდ თქვენი ცხოვრების სტილი, არამედ ბედნიერი ოჯახიც. რა არის საჭირო იმისთვის, რომ წარმატებას კარიერაშიც მიაღწიო და პირად ცხოვრებაშიც?**

**თ.წ.** ვფიქრობ, ამ ბალანსის მისაღწევად კონკრეტული ფორმულა არ არსებობს. მე ძალიან გამიმართლა, რომ გვერდით ისეთი ადამიანი მყავს, როგორიც ჩემი მეუღლეა. ის ყველაფერში მეხმარება და ყოველთვის მხარში მიდგას. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ ბალანსს მივაღწიე.

**თქვენს გარდერობში ფეხსაცმელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კონკრეტულად რომელ ბრენდს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?**

**თ.წ.** დიახ, ფეხსაცმელი ჩემი სისუსტეა. მიმაჩნია, რომ ძვირადღირებული ტანისამოსის ყიდვა აუცილებელი არ არის. მთავარია ფეხსაცმელი იყოს ხარისხიანი და ლამაზი. ჩემი ფავორიტები Manolo Blahnik-ი, Gianvito Rossi და Chanel არიან. კლასიკური სტილის მოყვარული ვარ და ეს ბრენდები ჩემს გემოვნებას ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ.

**რას ნიშნავს თქვენთვის, იყოთ It Girl?**

**თ.წ.** ჩემს წარმოდგენაში, It Girl არის გოგონა, რომელსაც აქვს თავისი სტილი; რომელმაც იცის რა უხდება და დარწმუნებულია საკუთარ თავში. არ მგონია It Girl ვიყო, მაგრამ ძალიან მიხარია, ვინმეს ასე თუ მიაჩნია.

**როგორი დედაა თამუნა წიკლაური?**

**თ.წ.** მკაცრი დედა არ ვარ. ვფიქრობ ბავშვები სიყვარულში უნდა აღზარდო და კი არ დასაჯო, არამედ ყველაფერი კარგად აუხსნა. თუმცა არ მინდა ზედმეტად რბილი ვიყო და როცა ადამი ძალიან მაბრაზებს, „პოლიციელის" როლს მამამისი თამაშობს ხოლმე.

**რა შეიცვალა თქვენს სტილში ბავშვის დაბადების შემდეგ?**

**თ.წ.** სტილი კი არა, ყველაფერი შეიცვალა. გაჩნდა ჩვენი ცხოვრების მთავარი გმირი და ყველაზე დიდი ბედნიერება. ადამის დაბადების შემდეგ, მთელი სამყარო მის გარშემო ტრიალებს.

▶



# „საქართველოსთან ყველაზე თბილი და საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს“

**რა გაკავშირებთ საქართველოსთან?**
**თ.წ.** ის ჩემი სამშობლოა. ხშირად ჩამოვდივარ თბილისში, სადაც ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. საქართველოსთან ყველაზე თბილი და საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს.

**ღიმილი თქვენი განუყოფელი ნაწილია. როგორია ბედნიერების თქვენეული ფორმულა?**
**თ.წ.** ჩემი აზრით ბედნიერება არის ის, როცა იცი, რომ შენს საყვარელ ადამიანებს არაფერი უჭირთ.

**როგორია თამუნა წიკლაურის სამომავლო გეგმები?**
**თ.წ.** ყველა საიდუმლოს გამხელა არ მინდა. იმედია მომავალში კიდევ გვექნება საუბრის საშუალება და ყველაფერს შეგატყობინებთ. H

---

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი, მეგი ჯაში
**ფოტო**: KO INHO

„მკაცრი დედა არ ვარ. ვფიქრობ ბავშვები სიყვარულში აღზარდო და კი არ უნდა დასაჯო, არამედ ყველაფერი კარგად აუხსნა. თუმცა არ მინდა ზედმეტად რბილი ვიყო და როცა ადამი ძალიან მაბრაზებს, „პოლიციელის“ როლს მამამისი თამაშობს ხოლმე“



## Multi-Active

მიზანმიმართულად მოქმედებს წვრილ ხაზებზე, აღადგენს და ასხივოსნებს კანს.

# 30 წლიდან თქვენ ისევ აქტიური ხართ!

(და ასევე თქვენი კანიც)

Multi-Active დღის & ღამის ასაკსაწინააღმდეგო საშუალებები გამდიდრებულია თიზელის მცენარეული ექსტრაქტით, რომელიც მოთავსებულია კაფსულაში და მიზნობრივად უზრუნველყოფს კანის აღდგენასა და მის ანტიოქსიდანტურ მოქმედებას. ბუნების და მეცნიერების კავშირით შექმნილი საუკეთესო პროდუქტი ამცირებს წვრილ ხაზებს და სტრესის ნიშნებს, ამავე დროს, აცოცხლებს დაღლილ კანს. თქვენი კანი უნდა იყოს ისეთივე ბრწყინვალე და შრომისუნარიანი, როგორც თქვენ.

**თიზელის ექსტრაქტი**
ანტიოქსიდანტური და აღმდგენი თვისებებით.






It's all about you.

CLARINS

# HELLO!-ს განსაკუთრებული სტუმარი

# მაიკლ ბუბლე

## ახალ ნამუშევრებზე, ლუისანას სიყვარულზე, პოპულარობის სირთულეებსა და ოჯახურ ბედნიერებაზე საუბრობს



„რომანტიკა კეთილგანწყობის, სიკეთის, სიცილის, ბედნიერებისა და ასეთი გემრიელი და ჯადოსნური შეგრძნებების ნაკრებია“

მას ყველა იცნობს. სიმპათიურია და მხიარული. ისეთი ხმა აქვს, ყველა ქალბატონს რომ აჯადოებს. დაქორწინებულია გოგონაზე, რომელსაც საქართველოში მიას სახელით იცნობენ (სერიალიდან „მეამბოხე სულები“). ამბობს ხოლმე, რომ ლუისანა ლოპიატო, უპირველესად, მისი საუკეთესო მეგობარია. ორი შვილი ჰყავთ და შინ „გრემის“ ოთხ პრიზს ინახავენ. მაღაზიებში კი მისი „ცხელ-ცხელი“ ალბომი იყიდება.

HELLO! 41 წლის მაიკლსა და მის უსაყვარლეს ოჯახს – 29 წლის ლუისანას, 3 წლის ნოასა და 9 თვის ელიასს ტორონტოს სახლში ესტუმრა და მომღერალს ვარსკვლავურ ცხოვრებაზე, ოჯახსა და ახალ ალბომზე – Nobody But Me ესაუბრა.

**უკვე მეცხრე სტუდიურ ალბომს უშვებთ. მისალოცი ამბავია!**

მ.ბ. მართალია. თუმცა, ეს ალბომი დახურულ სტუდიაში არ ჩამიწერია და ყველაფერი ბუნებრივ გარემოში შევასრულე. მხარს ისეთი პარტნიორი მიჭერდა, ვიცოდი, რომ ყველაფერს შევძლებდი. ჩემს პროდიუსერს ვგულისხმობ. ალბომის მომზადებაში ყველა ჩართული იყო – პროდიუსერებიდან დაწყებული, ჩემი ცოლით დამთავრებული.

**როგორ დაახასიათებდით ახალ ალბომს?**

მ.ბ. მის დაბადებას უამრავი ადამიანი დაესწრო. ვიცი, თავისი ალბომი ყველას საუკეთესო ჰგონია ხოლმე, მაგრამ დამიჯერეთ – არ ვაზვიადებ. თავად დარწმუნდებით, რომ საუკეთესოა. სამზარეულოშიც კი მას ვუსმენ! ისეთია, როგორც... როგორც ყველაფერი, რაც გიყვართ! მნიშვნელობა არ აქვს, ეს ყველია, ბეკონი, ტკბილეული, ჩიპსი თუ „უბის წიგნაკი“. ყველაფერს აერთიანებს.

**ცნობილია, რომ საქმეს ყოველთვის გამორჩეულ მომღერლებთან იჭერთ. ამჯერად, თქვენი რჩეული მეგან ტრეინორია...**

მ.ბ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა დუეტის სიმღერა ჩემი დაწერილი არ არის. ერთხელ პროდიუსერმა მეგანისა და ჰარი სტაილსის სინგლი მომასმენინა. ტრეინორს არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი ჰარი, რომელზეც ძალიან კარგი წარმოდგენა მქონდა. მათი ნამუშევარი Someday ისე მომეწონა, რომ რამდენიმე წუთში უკვე მეგანს ვურეკავდი. სამი კვირის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე ნიჭიერმა 21 წლის გოგონამ სტუდიაში დედ-მამასთან ერთად მომაკითხა. არიანა გრანდეს ნაჩუქარი დათუნებიანი კაბა ეცვა და უსაყვარლესი იყო. ძალიან თბილი, უშუალო და ჭკვიანი გოგონაა.

**დაუჯერებელია, რომ 21 წლის ასაკში ამდენს მიაღწია...**

მ.ბ. ნამდვილად! პირადად მე თავიდან ღამის კლუბებში ვმღეროდი და ჩემი საქმე არცთუ კარგად მიდიოდა. ჰარი და მეგანი პოპულარობას შესანიშნავად „უმკლავდებიან“. იმავეს ვიტყოდი ჯასტინ ბიბერზეც. ვერც კი წარმოგიდგენიათ, რამდენად რთულია, როცა თითოეულ ნაბიჯს გიკონტროლებენ. გაზრდა შეცდომებზე სწავლას გულისხმობს. განსხვავება ისაა, რომ მათ შემთხვევაში ყველა შეცდომა წარუშლელი რჩება და დოკუმენტურად ინახება. არადა, ყველანი ხომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ?! ნებისმიერი ჩვენგანი უშვებს შეცდომებს...

**თქვენ როგორ მოიქცეოდით, პოპულარობა 18 წლის ასაკში რომ გწვეოდათ?**

მ.ბ. ძალიან ბევრ შეცდომას დავუშვებდი. ხშირად ახლაც ვცდები ხოლმე. 18 წლის ასაკში კი შეცდომების ნამდვილი ექსპერტი ვიქნებოდი. უბრალოდ, ინტერნეტი არ მექნებოდა და კრიტიკის ქარცეცხლისგან თავს უფრო მარტივად დავიძვრენდი. მე მგონი დღეს ვარსკვლავებისთვის ყველაზე რთული სოციალურ მედიაში გავრცელებულ იუმორთან გამკლავებაა.

**ისე, ფოტოების გამოქვეყნებისას არასოდეს იყენებთ ხოლმე ეფექტებს...**

მ.ბ. რას ვიზამ – ჩემი „ფილტრი“ გაფუჭებულია.




„18 წლის ასაკში შეცდომების ნამდვილი ექსპერტი ვიქნებოდი. უბრალოდ, ინტერნეტი არ მექნებოდა და კრიტიკის ქარცეცხლისგან თავს უფრო მარტივად დავიძვრენდი“

ბუბლე ახალი ალბომით Nobody But Me და ახალი სუნამოთი By Invitation დაბრუნდა








„ასე იწყება ახალი ტურნე. რეპეტიციების დროა!“ – დაწერა ბუბლემ სოციალურ ქსელში. კონცერტების ახალი სერია მომავალი წლიდან დაიწყება.

## „ჩემს ბედნიერებასაც და სტიმულსაც ბავშვები განსაზღვრავენ. უპირველესად მამა ვარ და მერე – სხვა დანარჩენი“

**საოცარი იუმორის გრძნობა გაქვთ. ვინ არის ოჯახში ყველაზე მხიარული?**

მ.ბ. ჩემი დაიკო – ბრენდი. იუმორის დედოფალია! ჩემი ორივე და ძალიან სასაცილოა. კრისტალს უფრო შავი იუმორი უყვარს. ისე კი, ორივეს ინტელექტუალური ხუმრობები ახასიათებთ. ჩემზე გაცილებით კარგები და საყვარლები არიან. წვეულებაზე მათ გვერდით ჯდომა მთელი დღესასწაულია!

**ლუისანას პირველ ინგლისურენოვან როლზე ვესაუბრეთ და რაღაცები თქვენზეც ვკითხეთ...**

მ.ბ. მართლა?

**დიახ. აშკარაა, რომ იუმორის გრძნობას არც ის უჩივის.**

მ.ბ. ასეა. გუშინ Nobody But Me-ს კლიპს ვიღებდით. როცა ავტობუსთან მივედი, ხელსახოცზე დაწერილი წერილი დამხვდა. სიყვარულს მთელი მონდომებით მიხსნიდა! საოცარი გოგოა – მხიარული, თბილი და მოუსვენარი.

**როგორც ვიცით, ის არგენტინაში დიდი ვარსკვლავია...**

მ.ბ. ჩემზე ბევრად პოპულარული! ამჟამად ფილმში ჰეიდენ კრისტენსენსა და ჰარვი კეიტელთან ერთად თამაშობს. ჩემი გოგო

## უკვე ხუთი წელია, მაიკლსა და ლუისანას მოსიყვარულე ოჯახი აკავშირებთ. ორი შვილის მშობლები ხან ვანკუვერში ცხოვრობენ, ხან ბუენოს-აირესში

ნათი ძალიან ვამაყობ. ის საოცარი დედა და ძალიან შრომისმოყვარე მსახიობია.

**როგორ ახერხებთ ასეთ რეჟიმში ცხოვრებას?**

**მ.ბ.** ზოგჯერ ვერც ვახერხებთ. ზოგჯერ ცუდადაც ვხდები, მაგრამ ვალდებული ვარ წინ ვიარო. წინ კი, ასე თუ ისე, მაინც ეკლიანი გზაა.

**არადა თქვენი ცხოვრება ყველას რომანტიკულ ფერებში გვაქვს წარმოდგენილი – მაიკლ ბუბლეს მუსიკითა და თბილი განათებით...**

**მ.ბ.** არა, ყოველთვის ასე არ არის.

**რას ურჩევდით რომანტიკოს გულშემატკივრებს? ან თქვენს რომელ სიმღერას ჩაურთავდით სასიყვარულო კრიზისის დროს?**

**მ.ბ.** ჩემს ერთ-ერთ სიმღერაში არის ფრაზა: Being real and kind and funny („იყავი ნამდვილი, კეთილი და მხიარული“). არაფერია ამაზე რომანტიკული. რომანტიკა სწორედ კეთილგანწყობის, სიკეთის, სიცილის, ბედნიერებისა და ასეთი გემრიელი და ჯადოსნური შეგრძნებების ნაკრებია...

**თქვენს ახალ სუნამოზეც ვისაუბროთ. მას By Invitation ჰქვია და როგორც ვიცით, პირველი მომხმარებლები თქვენი მეუღლე და დედა იყვნენ...**

**მ.ბ.** სანამ ეს მოხდებოდა, დიდი კვლევა ჩავატარე. მივაკითხე პარფიუმერებს, ლაბორატორიებს... სამი ვარიანტი შევქმენი და ერთ-ერთი განსაკუთრებულად მომეწონა. შემდეგ ბაზარი გამოვიკვლიე და 3000-ზე მეტი ერთმანეთისგან განსხვავებული ქალი გამოვკითხე. 90%-მა სწორედ ის სურნელი აირჩია, რომელიც მე მომეწონა. ამან თავდაჯერება შემმატა და სუნამო ჩემს ცოლს ვაჩვენე. მისმა დადებითმა შეფასებამ ყველაფერი გადაწყვიტა, იმიტომ, რომ ლუისანას სტილის საოცარი შეგრძნება აქვს. ჩემი მუსიკის შესახებაც კი ვეკითხები ხოლმე რჩევებს და აუცილებლად ვარკვევ, რომელი სიმღერა მოსწონს და რატომ. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია და მის აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**აზრს უკვე ნოასაც ხომ არ ეკითხებით?**

**მ.ბ.** არა, არ ვეკითხები, იმიტომ, რომ მისი ყველა რჩევა „ადამიან ობობას“ უკავშირდება.

**თქვენი სიმღერებიდან რომელი უყვარს ყველაზე მეტად?**

**მ.ბ.** მას მხოლოდ „ადამიანი ობობა“ უყვარს. სხვა არაფერი.

**ცოტა ხანში თქვენი დოკუმენტური ფილმიც გამოვა...**

**მ.ბ.** დიახ. მინდოდა რაიმე განსხვავებული გამეკეთებინა. ეს დოკუმენტური ფილმი არ იქნება სხვების მსგავსი. აქ ადამიანები ჩემს „დიდებულებაზე“ არ ისაუბრებენ და თავიანთ ამბებს მოყვებიან. მართალია სცენაზე ბევრი ადამიანის გრძნობებს გადმოვცემ, მაგრამ თითოეულ მათგანს მაინც თავისი ისტორია, ურთიერთობები და ტკივილები აქვს. სწორედ ამიტომ, ძალიან გამიხარდა, ▶









**მარჯვნივ: ნოას 3 წლის იუბილე, რომელიც აგვისტოში აღნიშნეს. „შენ ყველაზე კარგი დედიკო ხარ. ძალიან მიყვარხარ“, – ასეთი წარწერით გამოქვეყნდა მაიკლის ფოტო ინსტაგრამზე.**





**მარცხნივ: მაიკლი, ლუისანა, ნოა და ელიასი მომღერლის საიუბილეო წვეულებაზე, რომელიც „ვარსკვლავური ომების“ თემატიკაში იყო გადაწყვეტილი. სექტემბერში კანადელ შემსრულებელს 41 წელი შეუსრულდა.**








რომ როგორც იქნა წინ მათი ამბები წამოიწევს და ეს დოკუმენტური ფილმი საერთოდ არ იქნება მაიკლ ბუბლეს ქება-დიდება.

**როგორ ინარჩუნებთ მოწოდების სიმაღლეს?**

მ.ბ. ვისაც შვილები ჰყავს, კარგად გამიგებს – ჩემს ბედნიერებასაც და სტიმულსაც ბავშვები განსაზღვრავენ. უპირველესად მამა ვარ და მერე – სხვა დანარჩენი. ნოა და ელიასი ყველაფერს განსაკუთრებულ აზრს მატებენ, მათ შორის – საქმიანობასაც. მოწოდების შენარჩუნებისთვის ყოველდღე თავდაუზოგავად ვიბრძვი და მჯერა, რომ უმთავრესი გარშემომყოფი ადამიანების სიყვარულია. **H**

**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ**: ALISON EASTWOOD
**ᲤᲝᲢᲝ**: WARNER PHOTOS
EVAAN KHERAJ

**P. S.** მას შემდეგ, რაც **HELLO!**-მ მაიკლ ბუბლესთან ინტერვიუ ჩაწერა, მომღერლის სოციალურ ქსელში შემზარავი ამბავი გამოქვეყნდა – პატარა ნოას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. „ნოას დიაგნოზით განადგურებულები ვართ“, – წერს მაიკლი Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე, – „ჩვენი ბიჭი უკვე შეერთებულ შტატებში მკურნალობს. როგორც იცით, ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით ოჯახსა და იმ სიყვარულს, რომელსაც შვილების მიმართ ვგრძნობთ. ყველაფერი, რაც კარიერას უკავშირდება, მე და ლუისანამ გვერდით გადავდეთ. ახლა მთელი ჩვენი ყურადღება და დრო ნოას გამოჯანმრთელებას დაეთმობა. ერთადერთი თხოვნა გვაქვს: ამ უმძიმეს პერიოდში პატივი ეცით ჩვენს პირად სივრცეს და პატარა ნოასთვის ილოცეთ. წინ დიდი გზაა გასავლელი და იმედი გვაქვს, რომ ოჯახის, მეგობრების, გულშემატკივრების დახმარებითა და უფლის ნებით, ამ ბრძოლას მოვიგებთ“.

**HELLO!**-ს ᲒᲣᲜᲓᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲝᲐᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲡ!



GEOX
RESPIRA
ჯეოქსი
geox.com
Geox - Respira - are trademarks of Geox Spa
BREATHES
ფეხსაცმელი, რომელიც სუნთქავს
ვაჟა-ფშაველას გამზ. 26; ც. დადიანის 7 ს/ც "ქარვასლა";
www.icr.ge





# ქეთი მელუას

## საშობაო ალბომი ბრიტანული ჩარტის პირველ ათეულშია

ქართული წარმოშობის ბრიტანელი მომღერლის **ქეთი მელუას** ალბომი **In Winter** ბრიტანული ჩარტების ათეულშია. ეს სასიხარულო ამბავი მომღერალმა პირადად აცნობა **გორის ქალთა გუნდს**, რომელმაც ალბომის შექმნაში უშუალო მონაწილეობა მიიღო. ამ მომენტის ამსახველი ვიდეო ქეთიმ Facebook-ის ოფიციალურ გვერდზეც კი გააზიარა, სიტყვებით: ***„ქოროს შესანიშნავ ახალ ამბავს ვამცნობ – ჩვენი ალბომი ბრიტანული ალბომების ჩარტში მოხვდა. გუნდის წევრები ქართულად მილოცავენ“***.

მელუას რიგით მეშვიდე სტუდიური ალბომი 10 სიმღერასა და ოთხ სხვადასხვა ენას აერთიანებს. ალბომი დისკისა და ვინილის სახით გამოვიდა. მისი შეძენა ინტერნეტშიც არის შესაძლებელი.

**In Winter** ქეთის სამშობლოში ჩაიწერა. მომღერალი სპეციალურად ამისთვის საქართველოში ჩამოვიდა და **გორის ქალთა გუნდთან** ერთად რეპეტიციებიც გამართა. დისკის რელიზის შემდეგ კი მომღერალი გუნდთან ერთად ევროპულ ტურნეში გაემგზავრა, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში სრულდება. სხვათა შორის, ბრიტანეთის კონცერტებზე დასასწრები ბილეთები რამდენიმე თვით ადრე გაიყიდა.

ალბომიდან რამდენიმე სიმღერაზე ვიდეოც შეიქმნა. მათ შორისაა **Dreams On Fire**, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის განახლებულ თეატრში გადაიღეს. მომღერლის სიტყვებით, გორის ქალთა გუნდი მუსიკალური კლიპის გადაღებებში პირველად მონაწილეობდა.






**ტექსტი:** ლელა ქახიანი. **ფოტო:** GETTY IMAGES.


MESAUDA
MILANO
მესაუდა
მილანო
MAKE UP COLLECTION
იტალიური დეკორატიული კოსმეტიკა „მესაუდა მილანო“
შეიძინეთ ავერსის აფთიაქებში!
www.aversi.ge
ავერსი AVERSI
2-900-800



# გვანცა დარასელია
## პატარას მოლოდინში

ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-ის გადაცემის **„სხვა შუადღე“** პოპულარული წამყვანი **გვანცა დარასელია** მეორე შვილს ელოდება. პატარას დაბადებამდე კიდევ ორი თვეა დარჩენილი, შესაბამისად გვანცა კვლავაც აქტიური სამუშაო რეჟიმით ცხოვრობს. მისი უფროსი შვილი – 5 წლის ერეკლე მოუთმენლად ელის დაიკოს დაბადებას და აქედანვე განსაზღვრავს თავის როლს მის აღზრდა-მოვლის საქმეში. ***„მეორე ორსულობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ბევრად მშვიდი მაქვს. ერთადერთი სადარდებელი ერეკლეს რეაქციაა – როგორ მიიღებს ოჯახის ახალ წევრს, როგორი ემოცია ექნება. შესაბამისად, მთელი ამ პერიოდის მანძილზე ვცდილობ ბევრი ველაპარაკო მას და მოვამზადო ამ სიახლისთვის. ამ თემაზე მანამდეც ხშირად ვსაუბრობდით, ამიტომ ერეკლესთვის მოულოდნელი სიურპრიზი არ ყოფილა***“, – ამბობს ტელეწამყვანი Hello!-სთან საუბარში.

როგორც თავადაც ხედავთ, გვანცა შესანიშნავად გამოიყურება. ამას იმით ხსნის, რომ ორსულობამდე საკმაოდ გამხდარი იყო და ახლა ამის ხარჯზე წონის შენარჩუნება არ უჭირს. თუმცა იმ ფაქტსაც არ უარყოფს, რომ მის გარდერობზე ეს ცვლილება საგრძნობლად აისახა – მით უმეტეს, თუ სატელევიზიო ჩაცმულობის სპეციფიკასაც გავითვალისწინებთ. ***„პირველ ფეხმძიმობაზე 18 კგ მოვიმატე და ჩემს ჩვეულ წონას მალევე დავუბრუნდი. ვფიქრობ ამჯერადაც ასე მოხდება. ვცდილობ გვიან არ ვიკვებო, რაც ძალიან მიჭირს. ყოველთვის მიყვარდა სასუსნავები. ამაზე უარს ახლაც ვერ ვამბობ***“, – გამოგვიტყდა გვანცა.

გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, წამყვანი შეძლებისდაგვარად ორსულობის ბოლომდე ეკრანს არ მოსცილდება. პატარას დაბადების შემდეგ კი მცირეხნიან პაუზას აიღებს და მაყურებელს მალევე დაუბრუნდება.



**ტექსტი:** ლელა კახიანი. **ფოტო:** ბაჩო თაბათაძე.



# Leocrema

## სილამაზის ახალი ფორმულა იტალიიდან

მაღალი ხარისხის, 100%-ით ნატურალური შემადგენლობის მქონე სახისა და სხეულის მოვლის პროდუქცია




ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

**GCC LTD**

ნიკო ბურის ქ. 16

**032 254 16 94**



„თუ იმის ნახევარს მაინც შევძლებ, რასაც ჩემი მშობლები ახერხებდნენ, მაშინ ვიტყვი, რომ რაღაც გამომივიდა“

### რეჟისორ მეუღლესთან ერთად

# ბენედიქტ კამბერბეტჩი

## სასიხარულო ამბავს ამხელს და მამობის ბედნიერებაზე გვესაუბრება



ბენედიქტი და მისი მეუღლე „წითელ ხალიჩაზე“ პოზირებენ. ისინი Doctor Strange-ის ბრიტანულ პრემიერას ვესტმინსტერის სააბატოში ესწრებიან. მათთან ერთადვე არიან ფილმში მონაწილე ტილდა სუინტონი და რეიჩელ მაკადამსიც.

ბენედიქტი და მისი რეჟისორი მეუღლე – სოფი ჰანტერი, ყოველთვის ცდილობენ პირადი ცხოვრება და 17 თვის კრისტოფერი კამერებს მოარიდონ, თუმცა მათაც აქვთ სიახლეები, რომელთა გაუზიარებლობა ფაქტობრივად შეუძლებელია. „შერლოკ ჰოლმსი“ მალე მეორე შვილის მამა გახდება! ამ ბედნიერების გულშემატკივართათვის გაზიარება მსახიობმა Doctor Strange-ის ბრიტანულ პრემიერაზე გადაწყვიტა, სადაც ყველასათვის აშკარა იყო, რომ სოფი და მისი მეუღლე სიხარულისგან ბრწყინავდნენ.

Marvel-ის ახალ ნამუშევარში ბენედიქტი განსაკუთრებული შესაძლებლობების ექიმს განასახიერებს, რომლის როლის შესრულებაზეც დიდხანს ოცნებობდა. მასთან ერთად ფილმში ჩიუეტელ ეჯიოფორი, ტილდა სუინტონი, რეიჩელ მაკადამსი და მადს მიკელსენიც მონაწილეობენ. ვესტმინსტერის სააბატოში გამართულ პრემიერას ყველა მათგანი დაესწრო.

კამბერბეტჩს არასოდეს დაუმალავს, რომ ბევრ შვილზე ოცნებობს. „მინდა ბიჭების პარტია მყავდეს“, – გაუმხილა HELLO!-ს 40 წლის მსახიობმა და მამობის ბედნიერებაზეც ისაუბრა, – „ყველამ, ვისაც მამობა გამოუცდია, კარგად იცის როგორ ცვლიან ბავშვები ჩვენს ცხოვრებას“. ბენედიქტი იხსენებს, რამხელა ზეგავლენა ჰქონდა პირველი შვილის დაბადებას და როგორ იმოქმედა ამ მოვლენამ მის საქმიანობაზე. „ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით კი ქალებს, ეუბნებიან ხოლმე, რომ ბავშვის დაბადება მათ კარიერაზე იმოქმედებს. დიახ, ის მოქმედებს – ყველაფერს უკეთესობისკენ ცვლის“, – ამტკიცებს კამბერბეტჩი, – „ვიცი, ბევრი ადამიანისგან განსხვავებით, საქმიანობის მხრივ ძალიან პრივილეგირებული ვარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ როგორი რთული პერიოდიც უნდა გვქონდეს, ენერგიას ყველანი შვილებისგან ვიღებთ. ისინი ჩვენი მამოძრავებელი ძალა და შთაგონების წყარო არიან. სწორედ ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვები ჩემს კარიერულ ცხოვრებას კი არ ავნებენ, არამედ პირიქით – გაამდიდრებენ“. პატარა კრისტოფერმა, სხვა ყველაფერთან ერთად, ბენედიქტის დედ-მამისადმი დამოკიდებულებაც შეცვალა: „მოულოდნელად მთელი არსებით გავიაზრე, რამხელა ამაგი აქვთ ჩემზე მშობლებს და რად დაუჯდათ ის, რომ აქამდე მოვსულიყავი. ძალიან ვაფასებ ყველაფერს, რაც ჩემთვის გაუკეთებიათ“.

## მისაბაძი მაგალითი

ბენედიქტისთვის მშობლები ყოველმხრივ მისაბაძები არიან: „ეს პროფესია იმიტომ ავირჩიე, რომ გამზარდეს ადამიანებმა, რომლებმაც მაჩ-

ტექსტი: MICHELLE JOHNSON. ფოტო: GETTY IMAGES.

## „როგორი რთული პერიოდიც უნდა გვქონდეს, ენერგიას შვილებისგან ვიღებთ. ისინი არიან ჩვენი მამოძრავებელი ძალა და შთაგონების წყარო“

ვენეს, როგორ შეიძლება თავდაუზოგავი შრომისა და ოჯახური ცხოვრების შეთავსება. თუ იმის ნახევარს მაინც შევძლებ, რასაც ჩემი მშობლები ახერხებდნენ, მაშინ ვიტყვი, რომ რაღაც გამომივიდა. მათი სტანდარტები იმ ღირებულებებზეა დაფუძნებული, რომლებიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

აშკარაა, მსახიობის მშობლებიც ამაყობენ შვილის წარმატებით და უხარიათ, რომ მისმა პროფესიულმა არჩევანმა გაამართლა – ბენედიქტმა ჯერ BBC-ის „შერლოკით“ დაიპყრო მსოფლიო, შემდეგ კი ისეთი ფილმებით, როგორებიცაა 12 Years A Slave და The Imitation Game. სწორედ ამ ნამუშევრებს მოჰყვა „ოსკარის“ ნომინაციები. მომდევნო გაჩერება Doctor Strange-ია. როგორც ამბობს, ახალი პერსონაჟის განსახიერება არ გასჭირვებია: „გარკვეულწილად შერლოკ ჰოლმსიც სუპერგმირია, არა? Doctor Strange დიდი კინომოვლენაა. საინტერესო იყო მძაფრსიუჟეტიან ჟანრში სუპერგმირის როლის მორგება, კუნგ-ფუს სწავლა და სხვადასხვა ილეთის შესრულება. ჩემი სხეული და ხმა მთლიანად გარდაისახა. მოკლედ, სახალისო გადაღებები იყო“.

კამბერბეტჩმა ახალი ფილმის შინაარსითაც ისიამოვნა – ექიმი სტრეინჯი, რომელსაც ხელები უბედურმა შემთხვევამ დაუზიანა, მოსარჩენად ალტერნატიულ გზებს ეძებს. საიდუმლოებებით მოცული პერსონაჟი მედიტაციასა და გონების ძალას მიმართავს. „ექიმი სტრეინჯი რეალობას გონების ძალით ცვლის“, – აღნიშნავს ბენედიქტი, – „ჩემი აზრით, კულტურის ყველა წარმომადგენელს სჭირდება რწმენა, რომელსაც ვერაფერი შეურყევს“.

მსახიობს ძალიან უხარია, რომ ნეპალში ბრუნდება და „შერლოკის“ ახალი ეპიზოდების გადასაღებად ემზადება. მისი აზრით, როცა საქმე ამ სერიალს ეხება, არასოდეს უნდა თქვა არასოდეს – იმიტომ, რომ მართლა ვერასოდეს განსაზღვრავ, რა მოხდება. ეს არის როლი, რომელზეც ბენედიქტი არასოდეს იტყვის უარს: „არ ვდარდობ იმაზე, რომ ხალხისთვის ამ პერსონაჟთან ვასოცირდები. საკმარისად ბევრი საკულტო როლი ვითამაშე იმისთვის, რომ ერთ ტიპთან არ ვიყო გაიგივებული. რასაკვირველია, ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც შერლოკს დამიძახებენ. არც ის გამიკვირდება, მალე ექიმი სტრეინჯით რომ მომმართონ. ასეთი რამეები ბუნებრივია“. H





ბენედიქტი და სოფი, რომლებიც 17 თვის კრისტოფერზე ზრუნავენ, უკვე მეორე შვილსაც ელოდებიან. ორივეს მიაჩნია, რომ ბავშვები მათ ცხოვრებასა და კარიერაზე პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ.

# ქალები, რომლებიც მსოფლიოს ცვლიან



QUEEN ELIZABETH II



QUEEN MAXIMA

## სამეფო ოჯახი

ქალი, რომელიც ცვლილებების მხრივ ყველასგან გამოირჩევა, **ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორეა**. მის დასახასიათებლად საოცრად დადებითი აურა, მისაბაძი დამოკიდებულებები და უშრეტი შრომისმოყვარეობაც კმარა. მონარქმა უკვე შეძლო მოძველებულ ინსტიტუციებში სიახლეები შეეტანა და სამეფო ოჯახის ახალი თაობა ღირსეულად წარმოეჩინა. ასეთივე მისაბაძია 46 წლის **იორდანიის ქარიზმატული დედოფალი რანია**, რომელიც უამრავი ქალისთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. ის დიპლომატიის საოცარი ნიჭითა და ტერორიზმისა და შიშის წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩევა. მას არც **დედოფალი მაქსიმა** ჩამოუვარდება, რომელიც ნიდერლანდების სამეფოს წარმოადგენს და გაჭირვებულთა თავგამოდებული დამცველია.




QUEEN RANIA



PRISCILLA CHAN



NITA AMBANI



ANGELINA JOLIE

## ქველმოქმედება

მიუხედავად პირადი პრობლემებისა, **ანჯელინა ჯოლი** ფილანტროპებს შორის ისევ ლიდერობს. მსახიობი ძველებურად ზრუნავს ომის ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებზე, მათ პრობლემებსა და განათლებაზე. ამერიკელ ქველმოქმედთა შორის მარკ ცუკერბერგის მეუღლე – **პრისილა ჩანიც** გამოირჩევა. ფილანტროპი მილიარდობით დოლარს გამოყოფს და Facebook-იდან მიღებულ მოგებას გაჭირვებულებს უზიარებს. ინდოეთში ამ მხრივ **ნიტა ამბანი** ლიდერობს. ის ქვეყნის ყველაზე მდიდარი მამაკაცის – მუკეშის მეუღლეა და უამრავ სკოლას, საავადმყოფოსა და საქველმოქმედო დაწესებულებას აფინანსებს.

## ფორმაცია

ის, რომ ჰილარი კლინტონმა პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გადაწყვიტა, **მიშელ ობამას** დამსახურებაც იყო. პირველი ლედი, რომელსაც თითქმის მთელი ამერიკა აღმერთებდა, განსაკუთრებული საჯარო სიტყვებითა და ადამიანებისადმი უშუალო და თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. მან მნიშვნელოვნად შეცვალა პირველი ლედის ცნება და ადამიანებს კიდევ ერთხელ გაახსენა, რამდენად დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქალს, რომელიც ქვეყნის სათავეშია. შეიძლება ითქვას, რომ ბარაკ ობამას ძალიან გაუმართლა! ასეთივე იღბლიანი აღმოჩნდა ჯორჯ კლუნიც, რომლის მეუღლემ სახელი ადამიანთა უფლებების დაცვით, განათლებითა და საადვოკატო საქმიანობით გაითქვა. ის კოფი ანანის უშუალო მრჩეველიც გახლდათ.

**ამალი** და ჯორჯი ერთად განაგრძობენ ბრძოლას ლტოლვილთა უფლებებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. მართალია, ფინანსური საქმიანობის ლიდერები ვარსკვლავებად არ მიიჩნევიან, მაგრამ **ქრისტინ ლეგარდი** ამ მხრივ გამონაკლისია. ფრანგი პოლიტიკოსის დამსახურებებში მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურება შედის. მისი დევიზი შემდეგნაირია: *„თავს ძალა დაატანე და გაიღიმე მაშინაც კი, როცა უსამართლოდ გექცევიან, როცა უკეთესს იმსახურებ... უბრალოდ, გაიღიმე და გახდი უფრო ძლიერი“*.



MICHELLE OBAMA



AMAL CLOONEY



CHRISTINE LAGARDE

## მუსიკა

**ბიონსეს** თავდაჯერებულობა და ქალური ძალაუფლება შესანიშნავადაა წარმოჩენილი ცნობილ ვიდეორგოლში Girls Run the World, რომელიც გოგონათა ჰიმნად მიიჩნევა. მომღერალს გულშემატკივართა მთელი არმია ჰყავს და ყოველთვის ახერხებს ალბომები ყოველგვარი სარეკლამო კამპანიის გარეშე გამოაქვეყნოს და მაინც მსოფლიო რეკორდები მოხსნას. ამის მაგალითად ბოლოდროინდელი Lemonade-იც კმარა.

მუსიკალურ ინდუსტრიაში საოცრად გავლენიანია 28 წლის **ადელიც**, რომელიც ბავშვის გაჩენის შემდეგ განახლებული ენერგიით დაბრუნდა და კიდევ ერთხელ დაამსხვრია მითები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ან იქცეოდეს ნამდვილი ლედი. აუცილებლად აღსანიშნავია 26 წლის **ტეილორ სვიფტის** როლიც, რომელმაც Apple-ი დაარწმუნა დაბალანაზღაურებადი მუსიკოსებისთვის უკეთესი საქმიანი წინადადებები შეეთავაზებინა.

**ძალაუფლების სადავეებიდან „წითელ ხალიჩამდე“ – ქალებს მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ**



BEYONCE



ADELE



TAYLOR SWIFT



OPRAH WINFREY



KATHLEEN KENNEDY



JENNIFER LAWRENCE

## კინო და ტელევიზია

**ოპრა უინფრის**, რომლის შოუ ეკრანებს 25 წლის განმავლობაში ალამაზებდა, დღემდე წარმოუდგენელი გავლენა აქვს. მას თითოეული წიგნის, ფილმისა თუ ბრენდის გაჰიტება შეუძლია. რაც შეეხება კინოინდუსტრიას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სუპერპროდიუსერი **კეტლინ კენედი**, რომელიც ისეთი ფილმების მიღმა დგას, როგორებიცაა: E.T., „იურული პერიოდის პარკი“, „შინდლერის სია“ და „ვარსკვლავური ომები“. რაც შეეხება 26 წლის **ჯენიფერ ლოურენსს**, ის ჰოლივუდურ დოგმებს ამსხვრევს და ყოველთვის მკვეთრად გამოხატულ არჩევანს აკეთებს. ამავდროულად, სამართლიანად მიიჩნევა „წითელი ხალიჩის“ ყველაზე საყვარელ და მხიარულ სტუმრად.



DOMINIQUE CRENN



JOANNE ROWLING

## მწერლობა და კულინარია

ის, რომ „ჰარი პოტერის“ წინარე ისტორიამ უკვე ნამდვილი გადატრიალება მოახდინა და მსოფლიოს კინოთეატრები დაიპყრო, პირდაპირ მეტყველებს **ჯოან როულინგის** გავლენაზე. თანაც, წინ კიდევ ოთხი ფილმია იმისთვის, რათა ეს გავლენა კიდევ უფრო გაძლიერდეს. აღსანიშნავია, რომ მწერალმა 160 მილიონი დოლარი საქველმოქმედო საქმიანობისთვის გამოყო. რაც შეეხება კულინარიას, აქ აუცილებლად უნდა დავასახელოთ ფრანგი შეფი **დომინიკ კრენი**, რომელიც აშშ-ში მცხოვრები ერთადერთი ქალია „მიშლენის“ ორი ვარსკვლავით. მისი თქმით, ქალები სტერეოტიპებს უნდა ამსხვრევდნენ, თანაც – ელეგანტურად.

მოდის ინდუსტრიაში ყველაზე გავლენიან ქალბატონად დღემდე რჩება **ანა ვინტური** – Vogue-ის რედაქტორი, რომელმაც უკვე 67 წელს გადააბიჯა და მაინც არ დაკარგა ის ელეგანტურობა და დისციპლინა, რომელმაც სახელი მსოფლიოს გარშემო გაუთქვა. ანა უკვე 30 წელია მოდის სტანდარტებს ამკვიდრებს. მის სახელს უკავშირდება ისეთი მოდელების წარმატება, როგორებიც **ჯიჯი ჰადიდი**, **კენდალ ჯენერი** და **კარა დელევინი** არიან. რაც შეეხება ქუჩის მოდას, აქ აუცილებლად აღსანიშნავი სახელია **მარტა ორტეგა**, რომელიც Zara-ს $74.6 მილიარდიან იმპერიას ხელმძღვანელობს.



ANNA WINTOUR



MARTA ORTEGA



GIGI HADID

ეს ადამიანები, მისაბაძი საქციელითა და დამოკიდებულებებით, მსოფლიოს გარშემო მცხოვრებ ქალებს შინაგანად აძლიერებენ



KENDALL JENNER



CARA DELEVINGNE

SIRAJKHANA

wine restaurant

# Original Georgian - Persian Cuisine

The place, where you can discover original food & finest
Georgian and international wine varieties.




wine restaurant

Orbeliani st. 10, Tbilisi, Georgia
+995 322 244 999



„ხშირად წარმატებულ ქალთან მიმართებაში იყენებენ ეპითეტს – „კარიერისტი“, ნეგატიური გაგებით. საკუთარ თავზეც ბევრჯერ მომისმენია და სწორედ ამიტომ ყველა გაოცებით შეხვდა ჩემი დაოჯახების ამბავს”.

# „სუსტი სქესის“ ძლიერი მხარე

**საინტერესოა როგორი იქნებოდა სამყარო, სახელმწიფოთა უმრავლესობას ქალები რომ მართავდნენ? როგორ შეიცვლებოდა მსოფლიო, ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ისინი რომ იღებდნენ, ვისაც „სუსტ სქესად“ მოიხსენიებენ, მაგრამ რეალურად ყოველდღე ამტკიცებენ, რომ წარმოუდგენლად ძლიერები არიან**

# თათია დოლიძე

## „პირად ცხოვრებასაც კარიერის პარალელურად ვაწყობდი, რადგან კარიერაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად პირადი ბედნიერება მიმაჩნდა“

ჩვენი სტატიის მთავარ გმირს ალბათ თქვენი Facebook-ის გვერდზეც შეხვედრიხართ. თუ ისე მოხდა, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე  მისი გამოსვლა არ გინახავთ და შემდეგ მეგობრებისთვის არ გაგიზიარებიათ, ფაქტია – უმცირესობაში ხართ. თათია დოლიძე საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელია გაეროში. მცირე ასაკის მიუხედავად, მის მრავალფეროვან ბიოგრაფიაში ბევრი საინტერესო ფაქტის მოძებნა შეიძლება.

„ვერ გეტყვით, რომ ბავშვობიდან დიპლომატად წარმომედგინა თავი.  დედას ვეკითხებოდი ხოლმე, შეიძლებოდა თუ არა, რომ ხუთი პროფესია მქონოდა.  მახსოვს, ლურჯი კალმით ვწერდი ესსეებს, შემდეგ წითლით ვასწორებდი – „მასწავლებლობანას“ ვთამაშობდი. დღესაც ისეთივე სიამოვნებას ვიღებ ლექტორობით, როგორც მაშინ – საკუთარ ნაწერებში სპეციალურად დაშვებული შეცდომების შესწორებისას. მახსოვს, მსახიობობაც მინდოდა. ერთი პერიოდი ამოვიჩემე, რომ არქეოლოგი უნდა გავმხდარიყავი. შემდეგ იურისტობაზე ვფიქრობდი“.

ხუთიანების დროს „ხუთოსანი“ იყო, ათიანების დროს – „ათოსანი“. წინა მერხზე იჯდა და ყოველთვის ჰქონდა პასუხი მასწავლებლების შეკითხვებზე. უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარებისას საკუთარ ფაკულტეტზე რეიტინგში პირველი იყო.

„16 წლის ვიყავი, როდესაც ამ არჩევანზე შევჩერდი. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მინდოდა მრავალფეროვანი, აზრიანი პროფესიული ცხოვრება მქონოდა, საქმე სიხარულით და ინტერესით მეკეთებინა. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ერთადერთი სირთულე, რაზეც მეფიქრებოდა, იყო დასაქმება. პროფესია „საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი“ ბევრი არაფრის მთქმელია დამსაქმებლისთვის“.

პრობლემა არც დასაქმება აღმოჩნდა. პრაქტიკა გაიარა საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში. კონკურსში გაიმარჯვა და სასწავლებლად  ვილნიუსში წავიდა. მოგვიანებით სტაჟირება ტურინში გაიარა. შემდეგ იტალიური ენისა და კულტურის შესასწავლად სიენას უნივერსიტეტში გაემგზავრა. მაგისტრატურაზე ჰოლანდიაში ჩააბარა. ბრიუსელში ანაზღაურებად სტაჟირებაზე აიყვანეს. ►



„ახალგაზრდა დიპლომატს უწევს დროს გაუსწროს. თუ მსგავსი პასუხისმგებლობა აიღე საკუთარ თავზე, პატარა ასაკით უკვე ვეღარაფერს გაამართლებ. ისევე მოგეთხოვება, როგორც იმ დიპლომატს, რომელსაც შენს ასაკზე დიდი მხოლოდ გამოცდილება აქვს“.



„ვერ გეტყვით, რომ ბავშვობიდან დიპლომატად წარმომედგინა თავი.  დედას ვეკითხებოდი, შეიძლებოდა თუ არა, რომ 5 პროფესია მქონოდა.  მახსოვს, ლურჯი კალმით ვწერდი ესსეებს, შემდეგ წითლით ვასწორებდი, „მასწავლებლობანას“ ვთამაშობდი. დღესაც ისეთივე სიამოვნებას ვიღებ ლექტორობით, როგორც მაშინ – საკუთარ ნაწერებში სპეციალურად დაშვებული შეცდომების შესწორებისას. მინდოდა მსახიობობაც. ერთი პერიოდი ამოვიჩემე, რომ არქეოლოგი უნდა გავმხდარიყავი. შემდეგ იურისტობაზე ვფიქრობდი“.

## „ვფიქრობ ჩემი ცხოვრებით ბევრი სტერეოტიპის დამსხვრევას ვუწყობ ხელს“

ამას მოჰყვა ბრიუსელში კვლევით ასისტენტად მუშაობა, სადოქტორო კვლევა, ლექციების კითხვა ჩეხეთში და ბოლოს გამარჯვება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის შესარჩევ კონკურსში.

ერთი შეხედვით მისთვის სირთულეები არ არსებობს, თუმცა: „რთულია, როდესაც არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ქვეყანას წარმოადგენ. შესაბამისად შეცდომებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ შენ კი არა, სახელმწიფოსაც მოუწევს. ქვეყნის სახე ხარ. აქედან გამომდინარე, რაღაც მომენტებში საკუთარ თავზეც კი გიწევს უარის თქმა. ხშირ შემთხვევაში საკუთარ რეალურ აზრს ვერ აფიქსირებ. ემოციების მოთოკვა გმართებს.  ახალგაზრდა დიპლომატს უწევს დროს გაუსწროს. თუ მსგავსი პასუ-

**ფოტო**: ლეკო ჭყონია. **სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი. **მაკიაჟი**: ART HOUSE. **ჩაცმულობა**: TAMUNA INGOROKVA. **ლოკაცია**: MUSEUM HOTEL.

## „რთულია, როდესაც შენ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ქვეყანას წარმოადგენ. შესაბამისად, შეცდომებზე პასუხისგება მხოლოდ შენ კი არა, სახელმწიფოსაც მოუწევს. ქვეყნის სახე ხარ. აქედან გამომდინარე, რაღაც მომენტებში საკუთარ თავზეც კი გიწევს უარის თქმა. ხშირ შემთხვევაში საკუთარ რეალურ აზრს ვერ აფიქსირებ“

ხისმგებლობა აიღე საკუთარ თავზე, პატარა ასაკით უკვე ვეღარაფერს გაამართლებ. ისევე მოგეთხოვება, როგორც იმ დიპლომატს, რომელსაც შენს ასაკზე დიდი მხოლოდ გამოცდილება აქვს“.

ალბათ ხშირად მოგისმენიათ, რომ წარმატებული კარიერა ბედნიერ პირად ცხოვრებას გამორიცხავს. თუ ეს ასეა, დროა ამ ფრაზის აბსურდულობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ.

„ბევრის გასაკვირად, ჩემი კარიერის ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე ოჯახიც შევქმენი. პატრიარქთან ვიყავი შეხვედრაზე. მირჩია პრიორიტეტები ისე დამელაგებინა, რომ ახლადშექმნილი ოჯახისთვის ყურადღება არ მომეკლო და რომ მთავარი ახალგაზრდა ჩემს ცხოვრებაში სწორედ საკუთარი მეუღლეა, რომელსაც ჩემი გვერდით დგომა სჭირდება – ისევე, როგორც მე მისი. ვცდილობთ ერთმანეთს ხელი შევუწყოთ. პირად ცხოვრებასაც კარიერის პარალელურად ვაწყობდი, რადგან კარიერაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნდა პირადი ბედნიერება“.

მეუღლე ხუმრობით ამბობს, რომ თათია ქალი ედუარ პეისონ უესტონია – სპორტული სიარულის დამაარსებელი. ეს შედარება მისი დღის განრიგიდან გამომდინარეობს. არის პერიოდები, როდესაც მთელ დღეს კომპიუტერთან მუშაობაში ატარებს. თუმცა ისეც ხდება, რომ 24 საათში სამ სატელევიზიო ეთერში სტუმრობა, საჯარო ლექცია, ქასთინგი და ბოლოს მოდების ჩვენებაზე გამოსვლა უნდა მოასწროს. დიახ, თათია სამოდელო საქმიანობასაც ითავსებს.

„როდესაც უნივერსიტეტში მოვეწყე, მივაკითხე სამოდელო სააგენტოსაც. სანამ საქართველოში ვიყავი, ჩვენებებში ვმონაწილეობდი. შემდეგ, მაასტრიხტში რომ წავედი, იქაც გავაფორმე ხელშეკრულება. ცოტა ხანი ფოტომოდელად ვიმუშავე. თბილისის მოდის კვირეულზე, რამდენიმე ჩვენებაზე გამოსვლა წელსაც მოვახერხე. მსგავსი საქმიანობების მიმართ ჩემი პოლიტიკაა „რატომაც არა“.

როდესაც ხარ დიპლომატი მოდელის გარეგნობით, შესაძლოა ყურადღება მიიქციო როგორც ლამაზმა ქალმა და არა როგორც პროფესიონალმა. თუმცა ეს თათიას ამბავი არ არის. ცდილობს შორს იყოს სტერეოტიპულად მოაზროვნე ადამიანებისგან და ამბობს: „ყოველთვის შორს მეჭირა თავი ადამიანებისგან, ვისი ქათინაურებიც არარელევანტურად მეჩვენებოდა. პირობითად რომ ვთქვათ, ჩემი გარეგნობა უნდა აინტერესებდეს დიზაინერს, ვისაც უნდა, რომ ჩვენებაზე გამომიყვანოს, მაგრამ ინტელექტუალური სამუშაოს შესასრულებლად სამსახურში აყვანისას, ჩემი გონებრივი შესაძლებლობები უნდა იყოს გადამწყვეტი. პოლიტიკოსი ქალი, ქალის იდეალი ბევრისთვის არ არის. ასე იმიტომ ხდება, რომ პოლიტიკა ხასიათის ისეთი თვისებების გამოვლენას მოითხოვს, რომელიც ფართო მასების „სტერეოტიპში“ არ ჯდება. ეს სექსიზმის თემაა. ხშირად წარმატებულ ქალთან მიმართებაში იყენებენ ეპიტეთს „კარიერისტი“, თანაც ნეგატიური გაგებით. სამწუხაროდ, მსგავსი რამ საკუთარ თავზეც ბევრჯერ მომისმენია და სწორედ ამიტომ, ყველა გაოცებით შეხვდა ჩემი დაოჯახების ამბავს. ვფიქრობ ჩემი ცხოვრებით ბევრი სტერეოტიპის დამსხვრევას შევუწყობ ხელს და მხოლოდ იმით ვიამაყებ, რომ ვარ ქალი, ძლიერი ქალი, და სუსტი მხოლოდ ჩემი წონის გამო თუ გამოვჩნდები“.





ევროპის პარლამენტში ვიტორიასთვის გადაღებული ფოტოების რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. თუ პირველ ფოტოზე ის წყნარად ზის დედასთან ერთად, ფოტოგრაფების მიერ დაფიქსირებულ სხვა მომენტებში ლიჩიასთან ერთად იღებს მონაწილეობას ხმის მიცემის პროცესში.



# ლიჩია რონზული

## „მანამდეც ძალიან ბევრს ვმუშაობდით, მაგრამ ჟურნალისტები ამით არ ინტერესდებოდნენ. მივედი სესიაზე ბავშვთან ერთად და ყველას ჩემთან ინტერვიუს ჩაწერა მოუნდა. ეს, უპირველესად, დედობრივი ჟესტი იყო და არა პოლიტიკური “

შეიძლება არ იცით მისი სახელი და გვარი, არც იმით დაინტერესებულხართ როდის და რომელ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ თუ წლების წინ წააწყდით ევროპის პარლამენტის სესიაზე გადაღებულ დედა-შვილის ფოტოს, დღეს მარტივად გაიხსენებთ ლიჩია რონზულის და მის ქალიშვილს. როდესაც ქალების ძალაზე, უფლებებზე ვსაუბრობთ, მათი გახსენება საინტერესო იქნება.

2010 წლის 22 სექტემბერს ევროპის პარლამენტის წევრი, იტალიელი ლიჩია რონზული სესიაზე თავის 44 დღის ქალიშვილ ვიტორიასთან ერთად მივიდა. ამ ჟესტით მას სურდა კიდევ ერთხელ გაეკეთებინა აქცენტი ქალთა უფლებების მნიშვნელობაზე.

„მანამდეც ძალიან ბევრს ვმუშაობდით, მაგრამ ჟურნალისტები ამით არ ინტერესდებოდნენ. მივედი სესიაზე ბავშვთან ერთად და ყველას ჩემთან ინტერვიუს ჩაწერა მოუნდა. ეს უპირველესად დედობრივი ჟესტი იყო და არა პოლიტიკური. მინდოდა შვილთან რაც შეიძლება მეტი დრო გამეტარებინა. ვიფიქრე ქალებზე, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ბავშვები სამსახურში წაიყვანონ და გადავწყვიტე ხალხისთვის შემეხსენებინა, რომ ამ საკითხზე აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ“.

ევროპის პარლამენტში ვიტორიასთვის გადაღებული ფოტოების რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. თუ პირველ ფოტოზე ის წყნარად ზის დედასთან ერთად, ფოტოგრაფების მიერ დაფიქსირებულ სხვა მომენტებში ლიჩიასთან ერთად იღებს მონაწილეობას ხმის მიცემის პროცესში.

ყველას ისე არ უმართლებს, როგორც 41 წლის ლიჩია რონზულის გაუმართლა. ვიღაცისთვის რონზულის საქციელი ხელოვნურიც კი იყო. მაგრამ ფაქტია – მან მოახერხა მომუშავე დედებისკენ მიემართა ყურადღება და მშობლებისთვის მნიშვნელოვან თემებს შეხებოდა – დროს, რომელსაც შვილებთან უნდა ატარებდნენ, სამუშაო პირობებსა და დეკრეტულ შვებულებას.

„ქალი თავისუფალი უნდა იყოს არჩევანში – ბავშვის გაჩენის შემდეგ რამდენ ხანში დაბრუნდება სამსახურში. თუ ამის სურვილი 48 საათში ექნება, ეს უნდა გააკეთოს, მაგრამ თუ 6 თვე, ან 1 წელი დასჭირდება, ესეც უნდა გავხადოთ შესაძლებელი. მე სამსახურში ერთი თვის შემდეგ დავბრუნდი. მაგრამ არ ვარ მაგალითი. ყველამ საკუთარი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს“.

სანამ ყველა საკუთარ არჩევანს გააკეთებს, იმედი დავიტოვოთ, რომ თუ ვიტორია დედის გზას გაჰყვება, მისი ნამდვილი, რეალური ხმის დაფიქსირებისას ქალთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მსოფლიოში გაცილებით ნაკლები პრობლემა იქნება.

**ტექსტი**: მაკო მჭედლიშვილი

**ფოტო**: GETTY IMAGES.




15 იანვრამდე,

შეიძინეთ ბინა **m²** იპოდრომთან 2 და **ფასდაკლებასთან** ერთად

**მიიღეთ ჭკვიანი საჩუქარი**

%

**პროექტის უპირატესობები:**

- მოსახერხებელი მდებარეობა ქალაქის ცენტრში;
- კომფორტი და უსაფრთხოება;
- **23%**-მდე ენერგოეფექტურობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები;
- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა - საბავშვო ბაღი, სპორტული და გასართობი ზონები, მიწისქვეშა ავტოსადგომები.

გარემონტებულ ბინაში დაგხვდებათ **იტალიური სამზარეულო ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით.**

ბარდება **2018** წლის ოქტომბერში

**გაყიდვების ოფისები თბილისში:**

- ვაჟა-ფშაველას გამზ. №35
- ალ. ყაზბეგის გამზ. №19ᵃ
- პ. ქავთარაძის ქ. №1 (**m²** გალერეა)

www.m2.ge 2 444 111



# დონალდ ტრამპი

## ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტად აირჩიეს




**დონალდ ტრამპი** აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი გახდა. საბოლოო გამარჯვებისთვის კოლეგიაში 270 ხმის მოპოვება იყო საჭირო, მან კი 276 ხმა დააგროვა და მთავარი მოწინააღმდეგე – დემოკრატების წარმომადგენელი **ჰილარი კლინტონი** დაამარცხა.

სიტყვით გამოსვლისას ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ყოფილ კონკურენტს მადლობა გადაუხადა თავდაუზოგავი მონდომებისთვის და ქვეყნის მოსახლეობას მიმართა: „***პირობას ვდებ, რომ ვიქნები ყველა ამერიკელის პრეზიდენტი. მოგმართავთ მათაც, ვინც მხარი არ დამიჭირეთ – ჩვენ ერთიანი ძალებით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა. გპირდებით, რომ გავაორმაგებთ ზრდას და გვექნება მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ეკონომიკა. გარდა ამისა, ვიმუშავებთ ყველა იმ ქვეყანასთან, რომელსაც ამის სურვილი ექნება. არაფერი, რისი მიღწევაც გვსურს, არ არის შეუძლებელი. ამერიკას წინ ყველაფერი საუკეთესო ელის***“.

აღსანიშნავია, რომ ტრამპის გამარჯვებამ გლობალურ ბაზარზე შოკისმომგვრელი გავლენა იქონია: შესუსტდა დოლარის ინდექსი (DXY), რომელმაც რამდენიმე საათის მანძილზე 98-დან 95-მდე დაიწია, მექსიკური პესო კი 12%-ით დაეცა. ბაზარზე არსებული გაურკვევლობის გამო, 4.9%-ით გაიზარდა ოქროს ღირებულებაც, რაც BREXIT-ის შემდეგ ყველაზე დიდი მონაცემია. არჩევნების შედეგებს არაერთგვაროვანი

**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES.





„პირობას ვდებ, რომ ვიქნები ყველა ამერიკელის პრეზიდენტი არაფერი, რისი მიღწევაც გვსურს, არ არის შეუძლებელი. ამერიკას წინ ყველაფერი საუკეთესო ელის“.

გამოხმაურება მოჰყვა შოუბიზნესის წარმომადგენლების მხრიდანაც. უმეტესი მათგანი, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ჰილარის წინასაარჩევნო კამპანიაში უშუალოდ მონაწილეობდნენ, შეშფოთებას გამოთქვამენ და ამბობენ, რომ ამ ფაქტით ამერიკის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი დაიწყო.

არჩევნებს გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილიც**, რომელმაც **დონალდ ტრამპს** გამარჯვება საჯაროდ მიულოცა: „***8 ნოემბერს ამერიკელმა ხალხმა ხმა მისცა შემდგომ განვითარებას, წარმატებას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობის შემდგომი სიმაღლეების მისაღწევად. თქვენი საპრეზიდენტო მისია იწყება იმ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, როდესაც მსოფლიო და კაცობრიობა დგას ახალი გამოწვევების, მზარდი და ურთიერთგადაჯაჭვული საფრთხეების წინაშე, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ისეთი უნივერსალური ღირებულებების დასაცავად, როგორებიც თავისუფლება, დემოკრატია და მშვიდობაა. ამერიკის როლი იყო და რჩება უნიკალურად მსოფლიო სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებული შტატების მტკიცე ლიდერობით ჩვენ ვიხილავთ კიდევ უფრო დაცულ, უსაფრთხო და წარმატებულ სამყაროს***“.

შეგახსენებთ, რომ წინასწარი გამოკითხვები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა, **ჰილარი კლინტონის** გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, თუმცა საბოლოო შედეგებით, დემოკრატების წარმომადგენელმა გამარჯვება ვერ შეძლო და საპრეზიდენტო ასპარეზი საკმაოდ კატეგორიული და აგრესიით სავსე განცხადებებით ცნობილ ლიდერს დაუთმო. **დონალდ ტრამპი** საპრეზიდენტო საქმიანობას 2017 წლის 20 იანვრიდან შეუდგება.



საბოლოო გამარჯვებისთვის კოლეგიაში 270 ხმის მოპოვება იყო საჭირო, ტრამპმა კი 276 ხმა დააგროვა და მთავარი მოწინააღმდეგე – დემოკრატების წარმომადგენელი ჰილარი კლინტონი დაამარცხა.



დემოკრატების წარმომადგენელმა გამარჯვება ვერ შეძლო და საპრეზიდენტო ასპარეზი საკმაოდ კატეგორიული და აგრესიით სავსე განცხადებებით ცნობილ ლიდერს დაუთმო.

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა





**გიორგი მარგველაშვილი** აშშ-ში ჩატარებულ არჩევნებს გამოეხმაურა და დონალდ ტრამპს გამარჯვება მიულოცა. საქართველოს პრეზიდენტმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა: „დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ქართულ-ამერიკული მრავალწლიანი მეგობრობა და ძლიერი ურთიერთკავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ“. შეგახსენებთ, რომ არჩევნებში დონალდ ტრამპმა ჰილარი კლინტონი დაამარცხა და საჭიროზე მეტი – 274 ხმა მოიპოვა.



**ლევან წულაძე** კულტურის დარგში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრემიაზე წარადგინეს. მისი სპექტაკლი „დანაშაული და სასჯელი“, რომელიც ანესის თეატრის პროდუქციაა, ათინორამას პრემიების ხუთ კატეგორიაში იყო ნომინირებული. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი საბერძნეთში, 8 ნოემბერს გაიმართა. ქართველმა რეჟისორმა კომპეტენტური ჟიურის განსაკუთრებული მოწონება და დადებითი შეფასებები დაიმსახურა. ცნობისთვის: ათინორამას პრემია უკვე 40 წლისაა და საბერძნეთში ყველაზე პრესტიჟულ მოვლენად მიიჩნევა.



**ყველის ფესტივალი** თბილისში 6 ნოემბერს გაიმართა. ვარდების მოედანზე მოწყობილი ღონისძიება სტუმრებს საშუალებას აძლევდა ქართული ყველის უგემრიელესი და რჩეული სახეობები დაეგემოვნებინათ. მათ წინაშე ყველის მწარმოებელი 45 კომპანიის პროდუქცია გახლდათ წარმოდგენილი. იქვე იყო ქართული ღვინისა და თაფლის ნაირსახეობებიც. ყველაფრის ორგანიზატორი სოფლის მეურნეობის სამინისტრო გახლდათ. პირველად ყველის საერთაშორისო ფესტივალი სახელად „კავკასიური ყველი 2015“ გასული წლის ოქტომბერში გაიმართა.



**მერილ სტრიპი** საპატიო „ოქროს გლობუსის“ მფლობელი გახდება. 8 იანვარს, სამგზის „ოსკაროსან“ მსახიობს „სესილი დემილის სახელობის საპატიო ჯილდოს“ გადასცემენ. ამერიკელი ვარსკვლავი, რომელიც ამ დაჯილდოებაზე 29-ჯერ იყო ნომინირებული, პრიზს კინოსამყაროში შეტანილი განუსაზღვრელად დიდი წვლილის გამო მიიღებს. მერილს წელს კიდევ ბევრ სიურპრიზს უწინასწარმეტყველებენ – მისმა ახალმა ფილმმა – „ფლორენს ფოსტერ ჯენკინსმა“, უკვე ბევრი დადებითი შეფასება და პოზიტიური პროგნოზი დაიმსახურა.



**დავით ბაქრაძე** საპარლამენტო უმცირესობას უხელმძღვანელებს. მე-9 მოწვევის პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე ნიკა მელია იქნება, ვიცესპიკერი კი – სერგი კაპანაძე. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, აქ ოპოზიციის კვოტით გათვალისწინებულ თანამდებობაზე გიორგი ტუღუში წარადგინეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორტურიანი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სულ 27 საპარლამენტო მანდატი მიიღო.



**ვიქტორია კოჩეროვა** „მის საქართველო 2016“ გახდა. სილამაზის კონკურსის გამარჯვებული ამ ტიტულის მოპოვებას გასულ წელსაც ცდილობდა, თუმცა 2015-ში მხოლოდ „ვიცე მის საქართველოს“ წოდებას დასჯერდა, ამჯერად კი ქვეყნის ყველაზე ლამაზი გოგონას გვირგვინი მოირგო. 21 წლის ვიქტორია, რომლის სიმაღლე 174 სანტიმეტრია, „მის მსოფლიოზე“ საქართველოს სახელით გაემგზავრება და 21 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ საყოველთაო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

ფოტო: ლევან მარგველაშვილი



# ტრამპი და ობამა
## შეხვედრა თეთრ სახლში

**დონალდ ტრამპი და ბარაკ ობამა აშშ-ის არჩევნების შემდეგ ერთმანეთს თეთრ სახლში შეხვდნენ და საათნახევრის განმავლობაში სხვადასხვა თემაზე ისაუბრეს. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მოქმედი მმართველისგან საჭირო რჩევები მიიღო. ბარაკ ობამამ კი, რომელიც პოსტს ოფიციალურად იანვარში დატოვებს, აშშ-ის მომავალ ლიდერს მხარდაჭერა აღუთქვა. ქვეყნის პირველმა პირებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკაზეც იმსჯელეს. ტრამპი პრეზიდენტის მოვალეობების შესრულებას იანვრიდან შეუდგება და თეთრ სახლში ოფიციალურად გადასახლდება.**





**„ანას ცხოვრება“** ორი კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ნინო ბასილიას ფილმმა პალმა დე მალიორკაზე გამართულ კინოფესტივალზე მთავარი პრიზი მიიღო. ამ ამბიდან სულ რამდენიმე საათში კი, კიდევ ერთი საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა – საფრანგეთში, Arras Film Festival-ზე, ნინო ბასილიას პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის გადასცეს. აღსანიშნავია, რომ ქართული ფილმი არგენტინის კინოფესტივალის Construir Cine მთავარი ჯილდოს, Merit Award-ისა და სხვა საერთაშორისო პრემიების მფლობელიც გახლავთ.



**ჯეკი ჩანი** საპატიო „ოსკარით“ დააჯილდოვეს. ეს გადაწყვეტილება 12 ნოემბერს გახდა ცნობილი. 62 წლის მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი ყველასთვის კარგადაა ცნობილი თავისი განუმეორებელი საბრძოლო ილეთებითა და დაუვიწყარი კომედიებით. ამერიკის კინოაკადემია საპატიო „ოსკარს“ ყოველწლიურად აძლევს მათ, ვისაც კინოინდუსტრიაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი. საპატიო ჯილდოებს სპეციალურად შერჩეული და დამოუკიდებელი საბჭო გასცემს, რომელშიც აკადემიის არცერთი წევრი არ შედის.



**AEROSMITH** საქართველოში კონცერტს გამართავს. ამის შესახებ ინფორმაცია ჯგუფმა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. საკონცერტო ტურთა ჩამონათვალში მითითებულია, რომ ლეგენდარული ბენდი Black Sea Arena-ს 20 მაისს ეწვევა და ქართველ გულშემატკივარს საყვარელ ჰიტებს ცოცხლად შეუსრულებს. საქართველოს გარდა, კონცერტები ისრაელში, გერმანიაში, დანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაიმართება. შეგახსენებთ, რომ Aerosmith ცნობილი ამერიკული როკბენდია, რომელიც 1970 წელს შეიქმნა და სახელი უამრავი ჰიტით გაითქვა.



**ქართველი ძიუდოისტები** ოქროს ორი მედლის მფლობელები გახდნენ. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ცნობით, თელ-ავივში გამართულ 23 წლამდელ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენებმა თავი გამოიჩინეს. ბექა ღვინიაშვილმა 90 კილოგრამიან წონით კატეგორიაში გაიმარჯვა და ბელარუს იაჰორ ვარაპაევს სძლია. კობა მჭედლიშვილმა კი 81 კილოგრამიან წონით კატეგორიაში მოიგო და იტალიელი ანტონიო ესპოზიტო დაამარცხა. ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი 12 ნოემბერს გაიმართა.



„ივნისში 30 წელი გახდება მას შემდეგ, რაც პირველი სინგლი გამოვაქვეყნე. მაშინ 17-ის ვიყავი და დღეს 47-ის ვარ. გული მიჩუყდება, როდესაც გულშემატკივრებისგან ისევ უზარმაზარ სიყვარულს ვგრძნობ“.

## ჰოლივუდის „მისტერ ჯენტლმენი“

# უილ სმითი

## ფილმებზე, ქორწინებასა და საყვარელ ქვეყნებზე გვესაუბრება



სამაგალითო ოჯახი შოუბიზნესიდან: უილი და ჯადა, რომლებსაც 20-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებთ, და მათი შვილები - ტრეი, ჯეიდენი და უილოუ. სამი შვილის მამა პოლიტიკაშიც ჩართულია და თავისი პოზიციის დაფიქსირებას არასოდეს ერიდება. მსახიობი დაუფარავად ემხრობა ბარაკ ობამას, ჰილარი კლინტონსა და დემოკრატებს.

**„როცა წარმოვიდგინე, რომ გადასაღებ მოედანზე ბეტმენსა და სუპერმენთან ერთად ვიმუშავებდი, შემოთავაზებას მაშინვე დავთანხმდი“**

მის წარდგენას ბევრი სიტყვა არ სჭირდება. უილ სმიტს ყველა იცნობს, როგორც პროფესიონალ მსახიობს, პროდიუსერს, მუსიკოსსა და ფილანტროპს, რომელიც საკუთარი ქარიზმითა და მომხიბვლელობით ყველანაირი გემოვნების ადამიანს აჯადოებს. დამსახურებულადვე აქვს მოპოვებული „ჰოლივუდელი ჯენტლმენის“ ტიტულიც. გარდა ამისა, უილი გაყიდვების დიდი მაჩვენებლითაც გამოირჩევა. მის ფილმებს 7 მილიარდ დოლარზე მეტი მოგება აქვს მიღებული. მსახიობს, რომელიც შოუბიზნესში თითქმის 30 წელიწადს ითვლის, HELLO!-ს გუნდს პირადად ესაუბრა.

## კინოგაქირავების ვარსკვლავი

„არც ისე დიდი ხანია, რაც „თვითმკვლელთა რაზმმა“ მსოფლიო მოიარა და კინოჰიტად იქცა. ეს ფილმი ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდია და შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ივნისში 30 წელი გახდება მას შემდეგ, რაც პირველი სინგლი გამოვაქვეყნე. მაშინ 17-ის ვიყავი და დღეს 47-ის ვარ. გული მიჩუყდება, როდესაც გულშემატკივრებისგან ისევ უზარმაზარ სიყვარულს ვგრძნობ“, – გაგვიმხილა მსახიობმა, – „ყველაფერზე ვარ წამსვლელი იმისთვის, რომ სამყაროს ცოტაოდენი პოზიტივი მაინც შევმატო“.

ყველა კინომოყვარულს ახსოვს მისი პირველი მნიშვნელოვანი როლი 1990-იანი წლების ტელეშოუში The Fresh Prince of Bel-Air. „ტელესერიალის იდეა ქუინსი ჯონსს ეკუთვნოდა. სიუჟეტი კი ნამდვილ ამბავზე იყო დაფუძნებული და მოგვითხრობდა ერთი ჩვეულებრივი Beverly Hills-ელი ბიჭის არაჩვეულებრივ ცხოვრებაზე“, – გაიხსენა უილმა, რომელიც როლზე უშუალოდ ჯონსმა დაამტკიცა – „ქუინსი ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენის დიდოსტატია მუსიკაშიც და კინოშიც. ამის დასტურად მაიკლ ჯეკსონისა და ოპრა უინფრის მაგალითებიც კმარა“.

## „თვითმკვლელთა რაზმი“

„თვითმკვლელთა რაზმის“ პრემიერასთან ერთად, უილმა ბევრი ქვეყანა შემოიარა. როგორც იცით, ცნობილ ბლოკბასტერში მსახიობმა პირველად განასახიერა „ცუდი ბიჭის“ – დედშოტის პერსონაჟი.

როცა ფილმში მონაწილეობა შესთავაზეს, სმიტს ბევრი არ უფიქრია: „დღეს მსოფლიოს კომიქსების ეკრანიზაციები იპყრობს. ამ ჟანრში ის მომწონს, რომ სულ სხვა სამყაროში გადადიხარ და ადამიანთა მოდგმასა და ცხოვრებას სხვა კუთხით უყურებ. როცა წარმოვიდგინე, რომ გადასაღებ მოედანზე ბეტმენსა და სუპერმენთან ერთად ვიმუშავებდი, შემოთავაზებას მაშინვე დავთანხმდი“.

გადასაღებ მოედანზე მართლაც ვარსკვლავთცვენა იყო. მონაწილეთა შორის იყვნენ უილისთვის კარგად ნაცნობი კოლეგა – მარგოტ რობი, რომელთან ერთადაც „ფოკუსში“ ითამაშა; ასევე ჯარედ ლეტო, კარა დელევინი და პროფესიონალ მსახიობთა მთელი არმია.

სმიტის თქმით, გადაღებები იმდენად სახალისოდ მიმდინარეობდა, რომ ხშირად საკუთარი ასაკი საერთოდ ავიწყდებოდა და ეგონა ისევ ახალგაზრდა იყო. „გარშემო საოცარი აურა ტრიალებდა, მაგრამ ვიცოდი – განწყობის შექმნა, უპირველესად საკუთარი თავიდან იწყებოდა. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობდი სწორი დამოკიდებულება და შესაფერისი ენერგია წარმომეჩინა“, – ღიმილით იხსენებს მსახიობი, – „ჩემს კოლეგათა უმრავლესობა 20 წლის ფარგლებში იყო, მე კი 40-ს გადაბიჯებული ვიყავი. საბედნიეროდ, ეს წამითაც არ მიგრძნია“.

## ჯენტლმენის იარლიყი

„თვითმკვლელთა რაზმმა“ უილ სმიტის „ჯენტლმენობა“ წარსულს ჩააბარა. იარლიყი, რომელიც მსახიობს წლების განმავლობაში ჰქონდა „მიკრული“, სადღაც გაქრა და დარჩა მისი ბოროტმოქმედი პერსონაჟი – დედშოტი. „საინტერესო აღმოჩენა იყო ის, რომ ცუდ ტიპებს თავი ცუდ ტიპებად არ მიაჩნიათ. ამ ფილმში რთულია იმის გარჩევა რას ნიშნავს კარგი, ცუდი და ბოროტი. რა ხდება მაშინ, როცა ცუდსა და ბოროტს შორის არსებული ზღვარი იშლება?“, – კითხულობს უილი და პასუხს თვითონვე გვცემს, – „სიყვა- ▶




„თვითმკვლელთა რაზმში“ მონაწილე მსახიობთა ერთობლივი სელფი.



„ორ ქალაქზე ვარ შეყვარებული - დუბაისა და მაიამიზე. დუბაიში მაშინ მივდივარ ხოლმე, როცა დასვენება და გართობა მჭირდება“.





რულია ერთადერთი, რაც ნებისმიერ ადამიანში ჰუმანურ ბუნებას აღვიძებს“.

გადაღებების პერიოდში სმიტების ოჯახში საინტერესო საუბრები მიმდინარეობდა. ჯადა მონაწილეობდა ფილმში „ცუდი დედები“, მაშინ, როცა ოჯახის უფროსი ბოროტ გმირს განასახიერებდა. „ძალიან უცნაურია ხოლმე ის დღეები, როცა ორივენი საქმეში ვართ ჩაფლულნი“, – აღნიშნავს მსახიობი, – „რთულია ემოციები გადასაღებ მოედანზე დატოვო და შინ არ წამოგყვეს. წარმოიდგინეთ, მუდმივად ვსწავლობდი სერიული მკვლელებისა და სამხედრო ფორმირებების ხასიათს! თუმცა ეს სახალისო იყო და ოჯახის წევრებიც მეხმარებოდნენ. ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც ბავშვების ხათრით არ განვასახიერე, ჯანგო იყო. მაშინ უილოუმ სცენარის რამდენიმე გვერდს გადახედა და დაასკვნა, რომ ამ გმირის ხასიათი ჩემზე ზედმეტად დიდხანს იმოქმედებდა. მეც დავუჯერე და როლზე უარი ვთქვი“.

## ცხოვრება, სიყვარული და პოლიტიკა

უილი ხშირად აღნიშნავს, რომ შეყვარებულია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებზე, სადაც მინიმუმ 10-ჯერ მაინც არის ნამყოფი და უმეტესად დასასვენებლად ჩადის ხოლმე. საემიროებშივე აღნიშნა ქორწინების იუბილე 46 წლის ჯადასთან. „ორ ქალაქზე ვარ შეყვარებული – დუბაისა და მაიამიზე. დუბაიში მაშინ მივდივარ, როცა დასვენება და გართობა მჭირდება. ვგიჟდები საჰაერო დაივინგზე. მე და ჩემი შვილები ხშირად ერთადაც გადმოვმხტარვართ“, – იხსენებს მსახიობი.

ზოგადად, უილისა და ჯადას წყვილი შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე მყარ ოჯახად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, ჭორები მათ დაშორებაზეც ვრცელდებოდა ხოლმე, მაგრამ არცერთი მათგანი სიმართლე არ ყოფილა. HELLO!-სთან საუბრისას სმიტი აღიარებს, რომ ცოლ-ქმრის ურთიერთობაში სირთულეებიც იყო: „ფსიქოლოგის დახმარებაც დაგვჭირვებია. იყო ეტაპი, როცა პირისპირ ვისხედით, ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით და ყველაფერს ვამბობდით, რაც პირზე მოგვადგებოდა. ასეთ დროს იმასაც კი ვფიქრობდით, რომ ერთად ვეღარ ვიცხოვრებდით, მაგრამ ეს ბნელი მომენტები მომენტალურადვე ქრებოდა და რჩებოდა სუფთა, ახალი ფურცელი, რომელზეც ჩვენი ისტორია კიდევ უფრო გაძლიერებული ემოციებით იწერებოდა“.

სამი შვილის მამა პოლიტიკაშიცაა ჩართული და თავისი პოზიციის დაფიქსირებას არასოდეს ერიდება. მსახიობი დაუფარავად ემხრობა ბარაკ ობამას, ჰილარი კლინტონსა და დემოკრატებს, და ამბობს: „ის სასირცხვილო და სრულიად მიუღებელი შეხედულებები, რომლებსაც დონალდ ტრამპი ამჟღავნებს, კარგად წარმოაჩენს ადამიანის ბნელ ბუნებას, რომლის დამარცხებაც ჩვენს ქვეყანაში ერთობლივად შეგვიძლია“.

როგორც ჩანს, უილი კიდევ ბევრჯერ ეწვევა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს – ამჟამად ის შარჯაში მცხოვრებ ბადრ ჯაფართან ერთად მუშაობს, რომელიც „შუა აღმოსავლეთის თეატრალური აკადემიის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელია. „ბადრს ადგილობრივი ისტორიები აქვს შეგროვილი და ერთად ვეძებთ ამბავს, რომელიც იდეალურ კინოსიუჟეტს შექმნის“, – ამბობს სმიტი და დარწმუნებულია, რომ წინ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი აქვს გასავლელი... H

ტექსტი: MICHELLE JOHNSON. ფოტო: GETTY IMAGES.

# SAMSUNG

# Galaxy **J5 Prime**




Galaxy J5 Prime-ს აქვს საოცრად ერგონომიული და დახვეწილი დიზაინის მეტალის კორპუსი. საკმაოდ თხელი დიზაინის მიუხედავად (8.1 მმ), მისი კამერის მოდული 1 მილიმეტრითაც კი არ არის გამოწეული მთლიანი კორპუსიდან.

J5 Prime სამსუნგის პირველი სმარტფონია თავის სეგმენტში, რომელსაც აქვს თითის ანაბეჭდის სკანერი. მისი საშუალებით სმარტფონის გამოყენება კიდევ უფრო უსაფრთხო და მოსახერხებელია.

Samsung Note აპლიკაციის საშუალებით ჩანიშვნების წარმოება ძალიან მარტივი და ეფექტურია, ასევე ხატვისას რამოდენიმე ფერის კომბინირება ზუსტად ისე, როგორც ამას მხატვარი აკეთებს ნამდვილ პალიტრაზე. უახლესი ოპერაციული სისტემის - Android 6.0.1 Marshmallow, 2 GB ოპერატიული მეხსიერების და 4 ბირთვიანი ახალი ტიპის პროცესორის წყალობით Galaxy J5 Prime-ის მუშაობის სიჩქარე ძალიან მაღალია.

შეიძინეთ სამსუნგის მობილურები
სამსუნგის ჰოლოგრამით

SAMSUNG FOR SALE IN GEORGIA



# ძველი ეპოქა, შავ-თეთრი კინო და ექსპერიმენტი კინოში

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი პროექტი 10 დამოუკიდებელ სატელევიზიო ფილმს აერთიანებს. ყველა პიესის ავტორი **აკა მორჩილაძე** გახლავთ. რაც შეეხება რეჟისორებს, ისინი კონკურსის წესით შეირჩნენ. ყოველ ფილმს თავისი რეჟისორი ჰყავს.

პროექტის ფარგლებში ათივე კინოფილმი უკვე გადაღებულია. რეჟისორ **ივა ფეზუაშვილის** ნამუშევარი ტარანტინოს კომიქსებისა და 1940-1950 წლების ამერიკული შავ-თეთრი კინოს ელემენტებს უხვად შეიცავს. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები: **ნატალია ყულოშვილი, შაკო მირიანაშვილი, მახო აბულაძე, ნუცა მესტუმრიშვილი, ნინო ქორიძე** და **ბესო მეგრელიშვილი**.

***„ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, საინტერესო იყო ეპოქის შეცვლა. არაჩვეულებრივი გუნდი მყავდა. მსახიობების უმეტესობასთან შეხება მანამდეც მქონდა. მახო აბულაძესთან „ტიფლისის“ მეორე სეზონზე ვიმუშავე. ასევე ბესოსთან. პირველად მომეცა საშუალება მემუშავა მსახიობ ნინო ქორიძესთან და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. სამუშაო პროცესი ყველა მხრივ საინტერესოდ მიმდინარეობდა“***, – ამბობს რეჟისორი.





ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის **ნატალია ყულოშვილის** სიტყვებით, ეს ფილმი მის კარიერაში სრულიად განსხვავებული ეტაპია. რეჟისორის ექპერიმენტული მიდგომა, ძველი ეპოქა, შავ-თეთრი კინო – ყოველივე ამან მსახიობი სხვა განზომილებაში გადაიყვანა.

***„სამაგიდო“ განხილვების დროს ივა ყველა მსახიობის აზრს ითვალისწინებდა, ყურადღებას ყველა დეტალს აქცევდა. რეჟისორის ასეთი დამოკიდებულება მსახიობისადმი მუშაობას გიადვილებს, თავს უფრო თავისუფლად გაგრძნობინებს. რაც შეეხება ჩემს პერსონაჟს, თავიდან მის მიმართ გარკვეული პროტესტის გრძნობაც კი მიჩნდებოდა. ის რაღაც არაამქვეყნიური არსებაა, რომანტიკოსი გოგონაა, რომელსაც ძალიან ახალგაზრდა ასაკში თავისი კერპი შეუყვარდება და მასთან ურთიერთობას მხოლოდ თავის ფანტაზიებში აჩაღებს. ტკივილით აღსავსე და იმედგამაცრუებელი მოლოდინი ჩემი გმირის მთელ ცხოვრებას თან სდევს***“, – ამბობს მსახიობი.

ფილმი სამი ქალის ისტორიას მოგვითხრობს, რომლებსაც სხვადასხვა დროს ერთი და იგივე ადამიანი შეუყვარდებათ. ისინი ამ პიროვნების ტყვეობაში მოექცევიან, სანამ ერთ-ერთი მათგანი შეყვარებულ მამაკაცს არ მოკლავს. ვინ, რატომ და როგორ მოკლავს მხატვარს – ამას მაყურებელი დეტექტივთან ერთად გამოიძიებს.

პროექტის სატელევიზიო პრემიერა ახალი სეზონიდან იგეგმება.



**ტექსტი:** ლუკა კახიანი. **ფოტო:** ბაჩო თაბათაძე



# ზაზა ურუშაძის ახალი ფილმი „ბერი“

ტექსტი: ლელა კახიანი. ფოტო: GETTYIMAGES.

გასულ წელს „ოსკარსა“ და „ოქროს გლობუსზე“ ნომინირებული ქართული ფილმის „მანდარინების“ რეჟისორი **ზაზა ურუშაძე** ახალ კინოსურათზე ასრულებს მუშაობას. ამჯერად მან როგორც რეჟისორის, ასევე სცენარისტისა და პროდიუსერის ამპლუა მოირგო.

ფილმი „**ბერი**“ მოგვითხრობს წინამძღვარ გიორგიზე – წარსულში სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტზე, რომელიც ახლა ერთ-ერთ სოფელში ბერად გაამწესეს. გიორგის სოფელში კინოკლასიკის შედევრები ჩააქვს, რომელსაც დიდ ეკრანზე სოფლის მაცხოვრებლებს უჩვენებს. ფილმში მთავარ როლებს **დიმიტრი ტატიშვილი**, **სოფო სებისკვერაძე** და **იოსებ ხვედელიძე** ასრულებენ.

***„ასეთი საინტერესო გადაღებები არასოდეს მქონია. პირველად მომეცა საშუალება ზაზასთან მემუშავა და ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ზაზა ის რეჟისორია, რომელიც ნიჭიერად და გასაგებ ენაზე ხსნის ყველაფერს. ზუსტად აქვს გააზრებული ყველა დეტალი. გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფილმი უკვე ნანახი აქვს***“, – ყვება Hello!-სთან საუბარში გიორგის როლის შემსრულებელი **დიმიტრი ტატიშვილი**. მსახიობის სიტყვებით, მან ისეთ დონეზე შეიგრძნო თავისი პერსონაჟი, რომ სცენარს ნამდვილი ბერის თვალებითა და გონებით კითხულობდა.

**სოფო სებისკვერაძე** ახალ ფილმში სოფლის მკვიდრ მუსიკის მასწავლებელს თამაშობს, რომელიც გიორგის თავისებური დამოძღვრის მონაწილე ხდება. მსახიობის აზრით, ნამუშევარი ყველა პერსონაჟითა და იდეითაა გამორჩეული.

***„ჩემთვის ზაზასთან მუშაობის პროცესი ძალიან ემოციური იყო. სიზმარივით მახსენდება. ჩემი გმირი – ლილი, საინტერესო და ეკრანზე აქამდე განსახიერებული სახეებისგან რადიკალურად განსხვავებულია. ჩემი ანტიპოდია და ეს ფაქტი სამუშაო პროცესს უფრო დიდ ხიბლს მატებდა. გადაღებების პერიოდში მთელი ჯგუფი ერთად ვცხოვრობდით, რამაც უფრო დაგვაახლოვა და ფილმზე მუშაობა გაგვიიოლა***“, – იხსენებს **სოფო სებისკვერაძე**.

**ზაზა ურუშაძის** ახალი ნამუშევარი ევროპის კინოფესტივალებზე იქნება ნაჩვენები, რის შემდეგაც მისი ნახვა ქართველ მაყურებელს, სავარაუდოდ მომავალი წლის დასაწყისში შეეძლება.

**ფილმი „ბერი“ მოგვითხრობს წინამძღვარ გიორგიზე – წარსულში სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტზე, რომელიც ახლა ერთ-ერთ სოფელში ბერად გაამწესეს**





# მეგან მარკლზე შეყვარებული
# პრინცი ჰარი
## ალაპარაკდა და საზოგადოებას თხოვნით მიმართა



ჰარისა და მეგანის რომანზე ჭორები ჯერ კიდევ ზაფხულში ვრცელდებოდა. ამბობდნენ, რომ წყვილმა ერთმანეთი საერთო მეგობრის დახმარებით გაიცნო, თუმცა ინფორმაცია დიდხანს არ დასტურდებოდა

პრინცმა ჰარიმ, როგორც იქნა, საჯაროდ განაცხადა შეყვარებულის შესახებ და მედიას მეტი პატივისცემის გამოჩენისკენ მოუწოდა. 32 წლის პრინცი მეგან მარკლს ექომაგება და ხალხს სთხოვს შეწყვიტონ მის მიმართ გამოვლენილი აგრესია.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირადი ცხოვრება განსაკუთრებულად გაინტერესებთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს სხვისი პირადი ცხოვრებაც არის. ძალიან განვიცდი, რომ ამ ყველაფრისგან მეგანის დაცვა ვერ შევძელი“, – აღნიშნავს ჰარი საჯარო მიმართვაში და განაგრძობს, – „ყოველთვის ძალიან მახარებდა ის სითბო და სიყვარული, რომელსაც ხალხისგან ვგრძნობდი. ვიცი, რომ ძალიან გამიმართლა, ჩემი ბედი ამდენ ადამიანს რომ აღელვებს. იშვიათად გამოვხმაურებივარ იმ მოგონილ ამბებს, რომლებიც ჩემზე იწერებოდა, მაგრამ ბოლოდროინდელმა სიახლეებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა“.

უკვე საკმაოდ დიდი ხანია პრინცი ჰარის შეყვარებულს წარსულისა და ზოგადი იმიჯის გამო დაუნდობლად აკრიტიკებენ. მასზე დაწერილი უხამსი სტატიები დიდი გამოცემების პირველ გვერდებზეც კი აღმოჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ჭორებზე.

ეს ყველაფერი არ არის – მეგანის დედას უკვე დიდი ხანია ფოტოგრაფების გამო სახლის კართან მიღწევა უჭირს. მათ ოჯახში ხშირად ცდილობენ უკანონოდ შეჭრასა და ფოტოების გადაღებას, მარკლის მეგობრებსა და საყვარელ ადამიანებს კი დიდ ქრთამს სთავაზობენ უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებაში.

მოკლედ, ჰარის შეყვარებულის ცხოვრება ნამდვილ კოშმარს ჰგავს და ეს თანაბრად აწუხებთ ამერიკელი მსახიობისა და ბრიტანელი პრინცის ოჯახებს.

„მისთვის ეს თამაში არ არის – მისი პირადი ცხოვრებაა და ყველას გთხოვთ შეწყვიტოთ ძალადობა, ვიდრე სავალალო შედეგებამდე არ მივალთ“, – აცხადებენ პრინცის წარმომადგენლები, – „ბრიტანეთის სამეფო ოჯახისგან უჩვეულოა მსგავსი განცხადებების გამოქვეყნება, მაგრამ პრინცს სხვა გზა არ ჰქონდა – თქვენამდე სათქმელი უნდა მოეტანა“.

შეგახსენებთ, რომ ჰარისა და მეგანის რომანზე ჭორები ჯერ კიდევ ზაფხულში ვრცელდებოდა. ამბობდნენ, რომ წყვილმა ერთმანეთი საერთო მეგობრის დახმარებით გაიცნო, თუმცა ინფორმაცია დიდხანს არ დასტურდებოდა. დღეს უკვე ყველაფერი აშკარაა და როგორც ჩანს, საქმე სერიოზულ ურთიერთობასთან გვაქვს. ასე თუ გაგრძელდა, სულ მალე შესაძლოა ახალი სამეფო ოჯახიც ვიხილოთ. H

**32 წლის პრინცი მეგან მარკლს ექომაგება და საზოგადოებას სთხოვს შეწყვიტონ მის მიმართ გამოვლენილი აგრესია.**

**ტექსტი**: ელენე მარგველაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.



„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირადი ცხოვრება განსაკუთრებულად გაინტერესებთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს სხვისი პირადი ცხოვრებაც არის. ძალიან განვიცდი, რომ ამ ყველაფრისგან მეგანის დაცვა ვერ შევძელი“



„ოჯახი  სიმშვიდესთან, მყუდროებასთან, პასუხისმგებლობასთან და ზრდასთან ასოცირდება. ყველაზე კარგი ადგილი, სადაც ვისვენებ და მშვიდად ვარ, ჩემი ოჯახია“



მთავარი ძალა, სტიმული და შთაგონების წყარო

# ავთანდილ ცქვიტინიძე

## საახალწლო სამზადისი ყველაზე საყვარელი და ოჯახური დღესასწაულისთვის

# „ოჯახში ცალკე, დამოუკიდებლად არაფერს არ ვწყვეტთ. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ოჯახის წევრებთან ერთად ხდება“



ფერწერული სილუეტები, მრავალფეროვანი და ამავე დროს ჰარმონიული ფერთა გამები, ძლიერი, პრეტენზიული, განსხვავებული, მიმზიდველი და თამამი – რისკიანი ქალბატონის ხასიათის შტრიხები არის ის, რაც ავთანდილ ცქვიტინიძის მიერ შექმნილ თითოეულ კაბაში იგრძნობა. მის ხელწერას ერთი შეხედვითვე ყველასგან გამოარჩევთ. წლიდან წლამდე ავთანდილის კოლექციები მილანში, პარიზსა თუ მსოფლიო მასშტაბით ბევრ ქვეყანაში, სხვა წამყვანი დიზაინერების გვერდით ყველაზე სასურველი, დიდი მოთხოვნის მქონე, და ექსკლუზიური ხდება.

ძაფთან და ფერებთან პირველი შეხება ბებიის წყალობით მოხდა, რომელიც ძაფსახვევი ფაბრიკის მთავარი ბუღალტერი იყო. ფაბრიკაში ავთო შესვენებაზე, ბაღიდან მიჰყავდა, სადაც მისთვის უცხო და უცნაურ სივრცეში, შინ დაბრუნებამდე ბებიასთან ერთად ყოფნა უწევდა ხოლმე. სწორედ აქედან დაიწყო მისი ნაჭრებთან, ქსოვილებთან და ტანსაცმლის ჯადოსნურ სამყაროსთან „დამეგობრება“.

მოდის სფეროში მოღვაწეობა საქართველოსთვის რთულ, ომის პერიოდში დაიწყო, როცა ძალიან პატარა იყო და არ ჰქონდა არანაირი რესურსი. იმ დროს ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა ელექტროენერგია, მობილური ტელეფონები, არ მოიპოვებოდა უცხოური „პრიალა“ ჟურნალები და ინტერნეტსივრცე. მისი საქმიანობა აბსოლუტურ ენთუზიაზმსა და შემოქმედებაზე იყო აწყობილი. სხვადასხვა ფაბრიკასთან თანამშრომლობდა, როდესაც მიხვდა, რომ მასაც შეეძლო საკუთარი მოდა შეექმნა და საზოგადოებისთვის შეეთავაზებინა. მას შემდეგ მუდმივად ვითარდებოდა, იხვეწებოდა, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია და 2000 წელს თბილისში პირველი საკუთარი მაღაზია გახსნა. მას შემდეგ მუდმივად სიახლეს ეძებს, არასოდეს იღლება და ჩერდება. დღეს ავთანდილ ცქვიტინიძე ქალბატონებს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ, მასობრივ მარკეტს მორგებულ – AVTANDIL 73-ის ხაზს, გამოსასვლელი კაბების „ავთანდილ ლუქსის“ ხაზსა და „კონცეპტუალურ“ ხაზს სთავაზობს.

ხათუნას პირველად, თავის პირველ მაღაზიაში, როგორც კლიენტს შეხვდა, თუმცა ავთოში მანამდე ისეთი ინტერესი არცერთ სხვა კლიენტს გაუღვიძებია, როგორიც მან გამოიწვია. შეხვედრების ინტენსივობა ნელ-ნელა მატულობდა. ჯერ დამეგობრდნენ, მერე ერთმანეთის გარეშე ვეღარ ძლებდნენ, შემდეგ მიხვდნენ, რომ დამკვეთისა და დიზაინერის ურთიერთობა დიდ სიყვარულში გადაიზარდა და ბოლოს დაოჯახება გადაწყვიტეს.

მეცამეტე წელია ხათუნა და ავთო ერთად ცხოვრობენ. ორივეს საოცრად დატვირთული გრაფიკი აქვს: ავთო მუდმივად ახალ კოლექციაზე მუშაობს, ძირითადად სამსახურშია ან ქვეყნის გარეთ ჩვენებებს მართავს და სამუშაო შეხვედრებს აწყობს. ხათუნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. ერთმანეთს კარიერულ ზრდასა და წინსვლაში ყოველთვის ხელს უწყობენ. აქტიური და რთული სამუშაო საათების მიუხედავად ▶



„ახალი წელი ოჯახური დღესასწაულია, ბედნიერებასთან, მთელი ოჯახის ერთად შეკრებასთან და სასიამოვნო გრძნობებთან ასოცირდება“

## „ახალი წელი მიყვარს იმიტომ, რომ მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებით. კარგი გრძნობაა, რომ რამე ცუდი თუ მოხდა, ძველ წელიწადში ტოვებ და ახალ წელს ყველაფერს თავიდან იწყებ“



ყოველთვის ახერხებენ, რომ სამსახურის შემდეგ, საღამოს, ოჯახის წევრები ერთად იყვნენ და დღის მანძილზე მომხდარი და ახალი ამბები ერთმანეთს გაუზიარონ.

ავთოსთვის საუკეთესო დასვენებაც და გართობაც ოჯახის წევრებთან ერთად დროის გატარებაა. დადებით ემოციებს მათთან ურთიერთობისას იღებს, თავისუფალ თუ არათავისუფალ დროს მისი გონება ოჯახზე ფიქრით არის დატვირთული და ნამდვილ სიამოვნებას ამით იღებს.

ავთო შემოქმედია, ხათუნა – დიპლომატი, ერთმანეთს ავსებენ და მათთვის ოჯახი ყველაფერია. მაქსიმალურად ცდილობენ ყურადღება ისე გადაანაწილონ, რომ ერთმანეთის დეფიციტი ოჯახის წევრებს არასოდეს ჰქონდეთ. თუ ავთო საზღვარგარეთაა, ერთმანეთს ვიდეოჩართვებითა და ფოტოების გაგზავნით ეკონტაქტებიან. „როცა წყვილი ერთმანეთს ხელს უწყობს ზრდაში და ერთიმეორეს არ ჩამორჩებიან, იქ ძალიან იშვიათია პრობლემები. როცა სწავლობთ ერთმანეთის გაფრთხილებას, შენს ეგოს არ აძლევ იმის უფლებას, რომ მარტო შენ იყო და ერთმა ადამიანმა იფიქრო საკუთარ თავზე. ნახევარი გამოხედვით ვხვდებით რა გვინდა და როგორ ვუშველოთ თუ განვიხილიოთ ესა თუ ის პრობლემა, ბედნიერება, რთული თუ მარტივი პერიოდი“, – ამბობს ავთანდილი.

ცამეტი წლის მანძილზე საერთო ინტერესები და ხასიათი ჩამოუყალიბდათ. მათი ურთიერთობა დროთა განმავლობაში უფრო ვითარდება და სხვადასხვა ეტაპზე გადადის. წლების მანძილზე ორი ადამიანისგან შემდგარ ნამდვილ წყვილად ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც კიდევ ერთი ძვირფასი ადამიანი – ანასტასია აერთიანებთ.

ანასტასია 11 წლისაა და მეექვსე კლასის მოსწავლეა. დილით სკოლაში ყოველთვის მშობლები აცილებენ. დადის ფრანგულისა და ინგლისურის კერძო გაკვეთილებზე, ასევე ცეკვისა და ხატვის წრეებზე. კვირა ერთადერთი დღეა, როცა სრულიად თავისუფალია და შეუძლია მთელი დღე ავთოსთან და ხათუნასთან ერთად გაატაროს. ანასტასიას მიმართ მამა სიმკაცრეს არასოდეს იჩენს. მომთხოვნი უფრო დედაა. დასასვენებლად ოჯახის წევრები ყოველთვის ერთად დადიან, ანასტასიაც 3 წლის ასაკიდან მუდამ თან დაჰყავთ. „თვეში ერთხელ ხედავს ოჯახი შვილს – ჩვენთან ასეთი რამ არ არსებობს“, – აცხადებს ავთანდილი.

ავთოს ყველაზე დიდი სტიმული და ინსპირაცია მისი ოჯახია. მეუღლე ავთანდილის შემოქმედებაში მთავარი ფიგურაა, რომელიც საქმიანობაში საოცრად ეხმარება როგორც მუზა, როგორც შემფასებელი და როგორც მისი სამოსის მატარებელი, რადგან ძალიან ხშირად სწორედ მისი დამსახურებაა ავთოს კოლექციების მიმართ პრესისა და ე.წ. „ბაიერთა“ ინტერესი. მისი შემოქმედების ყველაზე კრიტიკული და პირველი შემფასებელიც ხათუნაა, რომელსაც ავთოს ახალი ხედვა და განახლებული AVTANDILI ნაკლებად მოსწონს – უპირატესობას კლასიკურ AVTANDIL-ს ანიჭებს, თუმცა MERCEDES-BENZ FASHION WEEK TBILISI-ზე წარმოდგენილი, სიყვარულის თემაზე შექმნილი გაზაფხული-ზაფხული 2017 წლის კოლექცია ძალიან მოეწონა. მიუხედავად იმისა, რომ ავთომ ხათუნას გემოვნება უკვე ზეპირად იცის, როცა მისთვის მუშაობს, უფრო დაძაბულია და განსაკუთრებულ ►



„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ ჩამოვყალიბდით მეორე ნახევრებად. ეს ძალიან ბანალური სიტყვაა, თუმცა რეალობაში უზომოდ რთულია, წყვილად ჩამოყალიბდე“



**„საახალწლოდ ბავშვობიდან განსაკუთრებული სამზადისი მაქვს. არასოდეს ვხვდები ახალ წელს სხვაგან, ამ დღეს აუცილებლად უნდა ვიყო ოჯახის წევრებთან და ყველაზე საყვარელ ადამიანებთან ერთად“**

პასუხისმგებლობასაც გრძნობს. „ახლობლები ხშირად მეუბნებიან, რომ როგორ კარგსაც ხათუნას კაბებს ვქმნი, ისეთი სხვების სამოსი არასოდეს გამომდის“, – გვიმხელს ავთანდილი.

ოჯახის სამივე წევრის საყვარელი დღესასწაული ახალი წელია, რომლისთვისაც სამზადისს უკვე ნელ-ნელა იწყებენ. ბევრჯერ ჰქონდათ იდეა, რომ ახალი წლის მოსვლას სხვა ქვეყანაში შეხვედროდნენ, მაგრამ ყველაზე ოჯახური დღესასწაულის შეხვედრას მაინც საკუთარ სახლში, ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად ამჯობინებენ.

ნაძვის ხესა და საახალწლო დეკორაციაზე ფიქრს დეკემბერში იწყებენ. ინტერიერის მორთვაში ხათუნა, ავთო და ანასტასია ერთად მონაწილეობენ. ხათუნას ბავშვობიდან განსაკუთრებულად უყვარს ეს დღესასწაული და ეს დღე მისთვის მთელი ოჯახის ერთად შეკრებასთან, სასიამოვნო ისტორიებთან და მოგონებებთან ასოცირდება.

ავთოს განსაკუთრებით საახალწლო სუფრის მორთვა უყვარს. ცდილობს ოჯახის წევრებსა და სტუმრებს გემრიელ კერძებთან ერთად სუფრის ლამაზი გაფორმებითაც ასიამოვნოს. სუფრის გაწყობასა და საახალწლო ფუსფუსში მამას ანასტასიაც ეხმარება. ოჯახის საახალწლო ტრადიციაა მეკვლე, რომელიც ავთო, ანასტასია და ავთოს ძმისშვილი – ანდრია არიან ხოლმე. 12 საათის დადგომამდე გარეთ გადიან და ახალი წლის მოსვლისთანავე შინ ტკბილეულით დატვირთულნი, დიდი კალათით ხელდამშვენებულები, პირველები შემოდიან და სადღესასწაულო განწყობით, შოკოლადის კანფეტებს, წვრილ ფულსა და ბრინჯს ყრიან. ანასტასიას თოვლის ბაბუასთან გასაგზავნ საახალწლო წერილზე ფიქრი უკვე დაწყებული აქვთ, თუმცა საახალწლო სურვილს ჩვენ არ გვიმხელს და საიდუმლოდ ინახავს.

წლის გეგმა ავთოს ყოველთვის აქვს, რომელიც 2017 წლისთვის ასე გამოიყურება: თითო ხაზის მინიმუმ ორი ახალი კოლექცია, რომელსაც აუცილებლად დაემატება მოდის რომელიღაც კვირეულზე გასვლა და საქმიანი ვიზიტები. სად იქნება ყოველივე ეს, ჯერ არ იცის, თუმცა ზუსტად იცის, რომ AVTANDILI წელიწადში ორჯერ აუცილებლად უნდა იყოს პარიზისა და მილანის SHOWROOM-ში, მაგრამ ეს ორი ხშირად რვად, ცხრად და ათად გადაიქცევა ხოლმე. H

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: იკა პირველი



ბოში
BOSCH
შექმნილია ცხოვრებისთვის
მოიგეთ
50.000₾
რაც გულს უნდა
ამ ახალ წელს!
რაც გულს უნდა
ამ ახალ წელს!
ელიტ
ელექტრონიქსი
ELIT
ELECTRONICS

## ახალი ცხოვრების ზღვარზე მყოფი

# ანჯელინა ჯოლი

## მომავალს გეგმავს და თავისი გამოცდილების გასაზიარებლად ემზადება



ანჯელინა პირად და გლობალურ პრობლემებს ერთმანეთში არ ურევს და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვეული მონდომებითაა ჩართული. იგი ქალთა უფლებების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ ლექციების წაკითხვას აპირებს. მსახიობის რჩეული სასწავლებელი London School of Economics-ია, რომელსაც ლორდ ჰეიგთან ერთად ეწვევა (ზევით).





დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც „ბრანჯელინას" სიყვარული წარსულს ჩაბარდა. ჯოლი, რომელიც ყოველთვის სევდანარევ ისტორიებში იყო გახვეული, კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ემოციურ „კარუსელზე". „ოსკაროსანი" მსახიობი, ჰუმანიტარი და კეთილი ნების ელჩი ექვს შვილზე მეურვეობის სრულ უფლებას ითხოვს. ამავდროულად იმასაც ახერხებს, რომ ახალი როლი შეითავსოს და ბრიტანულ სასწავლო ცენტრში (*London School of Economics' (LSE) Centre for Women, Peace and Security*) მოწვეული პროფესორი გახდეს. ანჯელინა პირველი იქნება, რომელიც ამ საკითხში მაგისტრატურის კურსს გაუძღვება, ლექციებს წაიკითხავს და სხვადასხვა პროექტსა და კვლევაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს.

სასწავლო ცენტრი, რომელიც ბრიტანულ სკოლაში მდებარეობს, ანჯელინამ უილიამ ჰეიგთან ერთად დააარსა. მათვე წამოაყენეს ინიციატივა კონფლიქტების ზონაში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. ინიციატივის მთავარი მიზანი აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა, სამართლიანობის აღდგენა და გადარჩენილთათვის უკეთესი, უსაფრთხო პირობების შექმნაა. ენჯისაც და ლორდ ჰეიგსაც იმედი აქვთ, რომ ეს კამპანია გლობალურ ინტერესს დაიმსახურებს და პოლიტიკურ ქმედებებს უკეთესი მიზნებისთვის საბრძოლველად მიმართავს. ჯოლი, რომელიც ლექციებს ქალთა უფლებების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ წაიკითხავს, ამბობს: „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე საუბრის წამოწყება და ქალთა დაცვა ყველა იმ დანაშაულისგან, რომელიც მათზე განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება. ერთი სული მაქვს, სტუდენტებს ვასწავლო და მათგანაც ვისწავლო. მინდა, რომ გამოცდილება, რომელიც გაეროსა და ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობასთან მუშაობისას მივიღე, ყველას გავუზიარო".

ანჯელინას მსგავსად, ლექციებს უხელფასოდ წაიკითხავს ლორდი ჰეიგიც. 2011 წელს ისინი ერთად მოგზაურობდნენ ქვეყნებში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. 2014 წლიდან კი ერთად იბრძვიან სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ. უკვე დადასტურდა, რომ ჯოლი და ჰეიგი ლექციებს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტშიც წაიკითხავენ. უილიამი, რომელიც გაოცებულია ანჯელინას თავდაუზოგავი შრომით, HELLO!-სთან საუბრისას აღნიშნავს: „იგი საკითხში ყველაზე კარგადაა გათვითცნობიერებული. თანაც ეს ყველაფერი მის მსგავსად არავის აღელვებს".

### ბრძოლა ცვლილებებისთვის

ანჯელინა თავდაუზოგავად იბრძვის იმისთვის, რომ კონფლიქტის ზონებში არსებული სექსუალური ძალადობის პრობლემა ►



ანჯელინა თავდაუზოგავად იბრძვის იმისთვის, რომ კონფლიქტის ზონებში არსებული სექსუალური ძალადობის პრობლემა გლობალური ყურადღების ცენტრში მოაქციოს.

ანჯელინა პირველი იქნება, რომელიც ამ საკითხში მაგისტრატურის კურსს გაუძღვება, ლექციებს წაიკითხავს და სხვადასხვა პროექტსა და კვლევაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს

## „ერთი სული მაქვს სტუდენტებს ვასწავლო და მათგანაც ვისწავლო. მინდა ჩემი გამოცდილება ყველას გავუზიარო“



ანჯელინას პირად ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ „ბრანჯელინამ“ განშორება გადაწყვიტა. ეს ამბავი მათი ქორწინებიდან ორ წელიწადში, სექტემბრის თვეში გახდა ცნობილი. ყოფილ ცოლ-ქმარს ერთმანეთთან ექვსი შვილი აკავშირებს: 15 წლის მედოქსი, 12 წლის პაქსი, 11 წლის ზაჰარა, 10 წლის შაილო და 8 წლის ტყუპები – ვივიენი და ნოქსი. მათზე მეურვეობის სრული უფლებისთვის უკვე ორივე მშობელი იბრძვის. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ბავშვები დედასთან, ლოს-ანჯელესის სახლში რჩებიან. ბრედი კი იძულებულია მხოლოდ დაგეგმილი ვიზიტებით დაკმაყოფილდეს.





ანჯელინა „მალეფისენტას“ მომდევნო ნაწილში მონაწილეობისთვისაც ემზადება. პარალელურად კი ბრედთან განქორწინების საკითხს აგვარებს და ბავშვებზე მეურვეობის უფლებისთვის იბრძვის.

ყველა საჭირო ორგანოს ყურადღების ცენტრში მოაქციოს. მსახიობთან დაახლოებული წყარო HELLO!-სთან საუბრისას აღნიშნავს: „წლებია საჭირო იმისთვის, რომ ეს მწვავე საკითხი მოგვარდეს. ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება და ფაქტია, რომ ანჯელინამ გადამწყვეტი როლი შეასრულა პრობლემის წინ წამოწევასა და ჩვენთვის თვალის ახელაში“.

ერთობლივ ინიციატივაში ჩართულები არიან არმინკა ჰელიკი და ქლოი დალტონიც. ჰელიკი ის ქალბატონია, რომელიც იძულებული გახდა ომისგან განადგურებული სამშობლოდან გამოქცეულიყო. 1992 წელს ის ბრიტანეთში დასახლდა, მოგვიანებით კი ჰეიგის პირადი მრჩეველი გახდა. ანჯელინას თქმით, ჰელიკი მისთვის სამაგალითო ქალბატონია.

რაც შეეხება ქლოი დალტონს, სწორედ მასთან ერთად ჩამოყალიბდა „ჯოლის, პიტის, დალტონისა და ჰელიკის ფონდი“, რომელიც განათლების ხელმისაწვდომობის, ლტოლვილთა და ქალთა უფლებების დასაცავად იბრძვის.

### სამომავლო გეგმები

როგორც ჩანს, ანჯელინას დატვირთული დღეები ელის. გარდა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ის „მალეფისენტას“ მომდევნო ნაწილში მონაწილეობისთვისაც ემზადება. პარალელურად კი ბრედთან განქორწინების საკითხს აგვარებს და ბავშვებზე მეურვეობის უფლებისთვის იბრძვის.

ანალოგიური მიზნისთვის იბრძვის პიტიც, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ სასამართლოში საჩივარი შეიტანა და შვილებზე სრულუფლებიანი მეურვეობის უფლება მოითხოვა. როგორც ჩანს, მას მხოლოდ დაგეგმილი ვიზიტები არ აკმაყოფილებს და ექვს შვილთან შეუზღუდავი, უპირობო ურთიერთობა სურს. არავინ იცის, როგორ გადაწყდება ცნობილი ოჯახის პრობლემები. ის კი ნათელია, რომ გლობალური პრობლემების მოგვარებაში ანჯელინას ბადალი არ ჰყავს.

ტექსტი: SALLY MORGAN. ფოტო: GETTY IMAGES.

# ოკტოპუს ფიტნეს კლუბი



# რთული ბავშვობიდან ვარსკვლავურ ცხოვრებამდე

## ცნობილი ადამიანების პირადი ტრაგედიები



„ის შეგრძნება და მომენტები მახსოვს, როცა შვიდი წლის ვიყავი, შინისკენ მივდიოდი და ვიცოდი, რომ საჭმელი არ დამხვდებოდა“





## ნატალია ვოდიანოვა

რუსი სუპერმოდელი უკვე დიდი ხანია რუს ბავშვებს აბედნიერებს. ნატალია ვოდიანოვას საქველმოქმედო ფონდი Naked Heart Foundation სათამაშო პარკებს რუსეთის მასშტაბით აშენებს. მისი მეგობარი დიანა ფონ ფიუნსტენბერგი ხშირად აღნიშნავს: „ნატალია არასოდეს ივიწყებს თავის წარსულს, თავის დას... ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა შრომა, რამდენ მოლაპარაკებაზე სიარული, როგორი ხვეწნა და რამდენი რამის მოთმენა შეუძლია ბავშვების ხათრით“. მას იმისი უნარიც კი აქვს, რომ ბავშვობის მტკივნეული წლები ღიმილით გაიხსენოს: „მახსოვს, ფსიქოლოგთან პირველად რომ მივედი, ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა. მან დამწუხრებით მითხრა – ყველანაირი ტიპის ადამიანი მინახავს, დაწყებული როკვარსკვლავებიდან, გაგრძელებული ნარკომანებით, მაგრამ მსგავსი ისტორია არასოდეს მომისმენიაო“.

საქმე იმაშია, რომ მამამ ჯერ კიდევ მაშინ მიატოვა, როცა ორი წლის იყო. ცივ და დაბინძურებულ ნიჟნი-ნოვგოროდში დარჩენილი ოჯახი დედის იმედზე დარჩა. ლარისა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ნატალიასა და მის ორ დას საჭმელი არ მოჰკლებოდათ. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ შვილს ცერებრალური დამბლა ჰქონდა. „ძალიან რთული ბავშვობა მქონდა. უკიდურესად გაჭირვებულები ვიყავით. ის შეგრძნება და მომენტები მახსოვს, როცა შვიდი წლის ვიყავი, შინისკენ მივდიოდი და ვიცოდი, რომ საჭმელი არ დამხვდებოდა“.

11 წლის გოგონა დედას ხილის გაყიდვაში ეხმარებოდა. ყინვასა და ქარში უწევდა მძიმე ტვირთის აწევა და გადატანა. იხსენებს, რომ მუდმივად გადაღლილი იყო. სკოლაში ბავშვები აბუჩად იგდებდნენ და გამხდარი ფეხების, გაცვეთილი ტანსაცმლისა და ფერმკრთალი სახის გამო დასცინოდნენ.

15 წლის ნატალი მეგობართან საცხოვრებლად გადავიდა. გოგონები თავს ხილით ვაჭრობით ირჩენდნენ. სწორედ მაშინ, როცა საქმიანობაში იყო ჩაფლული, ფრანგმა აგენტმა შეამჩნია და პარიზში წასვლისკენ უბიძგა. 1999 წელს ის უკვე საფრანგეთში იყო და პოპულარობას პირველად უსინჯავდა გემოს. განსხვავებული გარეგნობის გამო Vogue-სა და სხვა პოპულარულ გამოცემებში მოხვდა, შემდეგ კი პირველი კონტრაქტები Calvin Klein-თან და L'Oréal-თან გააფორმა.

2002 წელს ნატალია არისტოკრატ ბრიტანელ ბიზნესმენს – ჯასტინ პორტმანს გაჰყვა ცოლად. დედამისის მსგავსად, პირველი შვილი 19 წლის ასაკში გააჩინა და ორი კვირის შემდეგ უკვე პოდიუმზე პოზირებდა. სანამ მეუღლეს გაეყრებოდა, მისგან კიდევ ორი შვილი შეეძინა. ორი ბავშვი ეყოლა მეორე ქმრისგანაც – LVMH-ს მემკვიდრე ანტუან არნოლტისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთ შვილზე ზრუნავს, არც ის რუსი ბავშვები ავიწყდება, რომლებიც გაჭირვებაში იზრდებიან. მისი ფონდი უზრუნველყოფს, რომ თითოეულ მათგანს მოსიყვარულე ოჯახი ჰყავდეს და ჰქონდეს ადგილი, სადაც უსაფრთხოდ და ბედნიერად ითამაშებს.

მაშინ, როდესაც არიანა ჰაფინგტონმა ვოდიანოვა 2014 წლის ყველაზე გლამურულ ქალბატონად დაასახელა და ჯილდო გადასცა, რუს სუპერმოდელზე საჯაროდ განაცხადა: „ნატალიას სხვებისგან თავისი წარმატება და საოცარი პოპულარობა კი არ გამოარჩევს, არამედ გამოარჩევს ის, რა საოცრებებიც ამ წარმატების წყალობით ჩაიდინა“.





# შარლიზ ტერონი

შარლიზ ტერონს კარიერულ ისტორიაში ბევრი დასამახსოვრებელი მომენტი ჰქონია. მისი მეხსიერებიდან ალბათ არასოდეს წაიშლება „ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ გამარჯვებები და ძვირფასი წუთები „წითელი ხალიჩიდან“. თუმცა ლამაზმანის მოგონებებში ბევრად მძაფრი და დაუვიწყარი ამბებიც არსებობს.

1991 წლის 21 ივნისი იყო. მაშინ 15 წლის შარლიზი მშობლიურ სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა. შინ ახალი მისული იყო, როცა ტრაგედია მის თვალწინ მოხდა – დედამ მამა მოკლა. ბავშვმა იცოდა, რომ მშობლების ქორწინება ბედნიერი არ იყო, მაგრამ ამას ვერასოდეს წარმოიდგენდა. „მამაჩემი დიდი ბიჭი იყო. მაღალი, გამხდარი ფეხებითა და პატარა ღიპით,“ – იხსენებს ტერონი, – „როცა საჭირო იყო, ყველაფერს სერიოზულობით ეკიდებოდა, მაგრამ სიცილი ძალიან უყვარდა და ცხოვრებისგან ყოველთვის სიამოვნებას იღებდა. სამწუხაროდ, ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული“. იმ ღამესაც გარეთ იყო და შარლიზის ძმასთან ერთად სვამდა. მსახიობის დედა ამტკიცებს, რომ როცა მისი მეუღლე და ვაჟიშვილი შინ დაბრუნდნენ, ჩარლზი გოგონას ოთახთან მივიდა, კარზე დააბრახუნა და დაემუქრა, რომ იმ ღამით ცეცხლსასროლი იარაღით მოკლავდა. „ყველაზე ცუდი ის არის, რომ სამხრეთ აფრიკაში ყველას აქვს იარაღის ტარების უფლება“, – აღნიშნავს შარლიზი, – „ეს საშინელი ფაქტია, იმიტომ, რომ ირაციონალური, ემოციური და ნასვამი ადამიანები საქციელს ვერ აკონტროლებენ და შედეგად უამრავი ტრაგედია ხდება“.

როცა მამამ სროლა დაიწყო, დედამ საკუთარი იარაღი აიღო და ქმარსა და ვაჟიშვილს ესროლა. ჩარლზი გარდაიცვალა, შარლიზის ძმა კი დაიჭრა. გოგონა შეშინებული იყო და ვერ ხვდებოდა რა მოხდა. „შარლიზ, მოვკალი, მოვკალი!..“ – ისტერიკულად ყვიროდა დედა, რომელმაც თავის ერთადერთ გოგონას ქვეყნის დატოვება და ახალი ცხოვრების დაწყება აიძულა. არ უნდოდა მისი ქალიშვილიც უბედური ყოფილიყო. „ის, რომ წასვლისა და ახალი ცხოვრების დაწყებისკენ მიბიძგებდა, დედაჩემისგან საოცრად ღირსეული საქციელი იყო“, – აღნიშნავს ტერონი, – „ეს ის მსხვერპლია, რომელსაც ალბათ მხოლოდ შვილისთვის გაიღებ. ყოველთვის ყველაფერზე წინ მაყენებდა. ჩემი ქალიშვილი ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოჩენილიყო, მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი“. რაც მთავარია, შარლიზის დედა არ გაუსამართლებიათ და მისი საქციელი თავდაცვის მცდელობად აღიარეს.

დედა-შვილი ერთმანეთს მაშინ შეხვდა, როცა 16 წლის შარლიზმა მილანურ სამოდელო სააგენტოსთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარკვეული ხნის შემდეგ მათი ცხოვრება ნიუ-იორკში გაგრძელდა, სადაც ტერონმა ბალერინობა სცადა. სამწუხაროდ, მუხლის ტრავმის გამო, ეს ოცნებაც ვერ აისრულა. ხსნა ამჯერადაც დედამ მოუვლინა და ქალიშვილს უთხრა: „უნდა გადაწყვიტო, რის გაკეთებას აპირებ! ცხვირის ჩამოშვება სამხრეთ აფრიკაშიც შეგეძლო“. შემდეგ კი თვითმფრინავის ბილეთი ჰოლივუდის მიმართულებით უყიდა და შვილი წარმატებული სამსახიობო კარიერისკენ გაამგზავრა.

მას შემდეგ შარლიზის ცხოვრება მთლიანად კინოინდუსტრიას უკავშირდება. ის ქებას მხოლოდ სამსახიობო ოსტატობის კი არა, დაუღალავი საქველმოქმედო საქმიანობისთვისაც იმსახურებს. 2007 წელს ტერონმა პროექტი Charlize Theron Africa Outreach Project (CTAOP) ჩამოაყალიბა და მას შემდეგ სამხრეთ აფრიკელ ახალგაზრდებს შიდსთან ბრძოლაში ეხმარება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გაერომ მსახიობი კეთილი ნების ელჩად დაასახელა. ბან კი-მუნმა კი საუბრისას აღნიშნა: „მისი ცხოვრების დიდი ნაწილი სამხრეთაფრიკელი ქალებისა და ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებას ეთმობა. ის ძალადობას თავდაუზოგავად ებრძვის“.

2012 წლის მარტში შარლიზმა ჯერ ბიჭუნა – ჯექსონი, შემდეგ კი გოგონა – ავგუსტი იშვილა. სხვადასხვა ინტერვიუში დღესაც ხშირად აღიარებს, რომ იმ ღამის ტკივილი წარუშლელ მოგონებად რჩება: „ის ჩემი განუყოფელი ნაწილია, თუმცა უფლებას არ ვაძლევ, დღევანდელ ცხოვრებაზეც იმოქმედოს“.



„ის, რომ წასვლისა და ახალი ცხოვრების დაწყებისკენ მიბიძგებდა, დედაჩემისგან საოცრად ღირსეული საქციელი იყო. ეს ის მსხვერპლია, რომელსაც ალბათ მხოლოდ შვილისთვის გაიღებ“

# ოპრა უინფრი

„აქციე ჭრილობები გამოცდილებად“ – ამბობს ოპრა უინფრი, ამერიკული თოქშოუების „პირველი ლედი“, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვა ადამიანების ცხოვრების გალამაზებასა და მათ პრობლემებსა თუ ბედნიერებაზე საუბარს მიუძღვნა. თუმცა ვიდრე აშშ-ის უდიდესი ვარსკვლავი და უკონკურენტო ფილანტროპი გახდებოდა, მის ცხოვრებაში დაუჯერებელი სირთულეებითა და მოუშუშებელი ტკივილებით სავსე ბავშვობა იყო...

დედას ოპრა ჯერ კიდევ თინეიჯერობის ასაკში შეეძინა. მომავალმა ჟურნალისტმა ბავშვობის წლები მისისიპიში, ბებიამისის ფერმაში გაატარა. ამასობაში, დედამისი ჩრდილოეთში ცხოვრობდა და სამსახურს ეძებდა. ფერმერული ცხოვრება ერთფეროვანი და პრიმიტიული იყო. ბებია იმდენად მკაცრი გახლდათ, რომ ოპრას ხშირად სცემდა ხოლმე. სამაგიეროდ, სწორედ ამ ქალბატონის დამსახურებაა ის, რომ უინფრის ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში შეეძლო კითხვა და სამი წლის გოგონა ეკლესიაში ბიბლიასა და სხვადასხვა პოემას კითხულობდა.



„ჩემი ცხოვრებისეული მოგზაურობიდან არცერთ მონაკვეთს არ ამოვჭრიდი. მადლიერი ვარ იმ გაჭირვებული წლებისა, რომლებიც ბავშვობაში გავატარე“

ცხოვრება ჯოჯოხეთად მაშინ გადაიქცა, როცა ექვსის გახდა და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა. სახლში მარტო დარჩენილ გოგონაზე დედამისის ნაცნობი მამაკაცები და ნათესავებიც კი ძალადობდნენ. ამ სისასტიკემ, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ოპრა ემოციურად გაანადგურა. 13 წლისამ კი აღმოაჩინა, რომ ორსულად იყო და საცხოვრებლად ტენესის შტატში, მამასთან გადავიდა. სამწუხაროდ, ახალშობილი ორ კვირაში გარდაიცვალა. ოპრამ და მამამისმა გადაწყვიტეს, რომ ეს მწარე გამოცდილება მეორე შანსად მიეჩნიათ და ახალი ცხოვრება დაეწყოთ. ვერნონი მკაცრი და დისციპლინის მოყვარული მშობელი იყო. მან ქალიშვილს სწორედ ისეთი გარემო შეუქმნა, როგორიც სჭირდებოდა. ოპრა ხშირად იხსენებს: „მამა დარწმუნებული იყო, რომ უსაზღვრო შესაძლებლობები მქონდა. ამიტომ არასოდეს კმაყოფილდებოდა ჩემი მიღწევებით და მუდამ მიმტკიცებდა, რომ მეტი შემეძლო“.

ახალი ცხოვრება გოგონაზე შესაბამისად აისახა და სკოლაში სამაგალითო მოსწავლედ დასახელდა. 17 წლის იყო, როდესაც თეატრალურ დადგმაში მიიღო მონაწილეობა და ნეშვილის რადიოსადგურში წამყვანად მუშაობა დაიწყო. ამას ტენესის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული დაფინანსება და სრულყოფილი უმაღლესი განათლება მოჰყვა. მოგვიანებით, დიპლომიანი ოპრა სამუშაოდ ტელევიზიაში მიიწვიეს, სადაც Baltimore is Talking-ის გამოშვებები მიჰყავდა.

1984 წელს ახალი ეტაპი დაიწყო. უინფრი ჩიკაგოს დილის გადაცემის წამყვანი გახდა და არხს იმხელა პოპულარობა მოუტანა, რომ სულ მალე მის შოუს „ოპრა უინფრის შოუ“ დაარქვეს. გადაცემა ტელეეკრანებზე 25 წლის განმავლობაში გადიოდა!

ტკივილსა და ტანჯვაზე გამარჯვებული ოპრა წარსულს დღემდე მადლობას უხდის იმ გაკვეთილებისთვის, რომლებმაც დიდი გამოცდილება მისცა: „ჩემი ცხოვრებისეული მოგზაურობიდან არცერთ მონაკვეთს არ ამოვჭრიდი. მადლიერი ვარ იმ გაჭირვებული წლებისა, რომლებიც ბავშვობაში გავატარე და რომლებიც დამეხმარა, წარმატებისთვის მეტი შემართებით მებრძოლა და მეტად დამეფასებინა ის, რაც დღეს მაქვს“.





ყველაზე დიდ ჯილდოდ მაინც ის მიაჩნია, რომ სხვების დახმარების საშუალება აქვს. მან სამხრეთ აფრიკაში „ოპრა უინფრის სახელობის ლიდერთა აკადემია გოგონებისთვის“ დააარსა, რომელიც ყველა პატარა გოგონას მძიმე ბავშვობის დაძლევასა და განათლების მიღებაში ეხმარება. ახალგაზრდების განათლებისთვისვე გამოყო 400 მილიონი დოლარი!

გარდა ამისა, 1998 წელს უინფრიმ „ოპრას ანგელოზის ქსელი“ (Oprah’s Angel Network) შექმნა, რითაც მსოფლიო მასშტაბით საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და პროექტებს დაეხმარა. „სხვების დახმარებას არასოდეს შევწყვეტ“, – ამბობს ცნობილი ფილანტროპი და ჟურნალისტი, – „ეს პროცესი მუდმივად გაგრძელდება. საქმე მხოლოდ ჩეკებზე ხელის მოწერას კი არა, ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას ეხება“.







# ლეიტონ მისტერი

მაშინ, როცა ლეიტონ მასტერი „ჭორიკანაში“ გამოჩნდა და ბლერ უოლდორფი განასახიერა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მისი ცხოვრება იმაზე გაცილებით დრამატული იყო, ვიდრე სერიალის ეპიზოდები...

გოგონა ქვეყანას მაშინ მოევლინა, როცა დედამისი ჯერ კიდევ ციხეში იჯდა და სასჯელს ნარკოტიკის ჯგუფური გასაღებისთვის იხდიდა. სამი თვის განმავლობაში ბავშვი ციხის სპეციალურ განყოფილებაში ცხოვრობდა, შემდეგ კი ბებიასთან გაგზავნეს.

დედამისი – კონსტანსი – მხოლოდ 16 თვის შემდეგ გათავისუფლდა. როგორც გაირკვა, გოგონაზე მაშინ დაორსულდა, როცა შეყვარებულთან, დუგთან, და თავის დასთან ერთად იამაიკიდან 544 კილოგრამი მარიხუანა გადმოჰქონდა. სხვათა შორის, ლეიტონის დეიდამ – ჯუდიმ, ციხიდან გაქცევა მოახერხა და ამერიკის ისტორიაში პირველი ქალი გახდა, რომელიც 15 ყველაზე საშიშ გაქცეულ პატიმართა შორის დაასახელეს.

„ჩემს ოჯახს გიჟური ისტორია აქვს. მსგავსი არაფერი მსმენია“, – აღიარებს ლეიტონი ჟურნალ Marie Claire-თან საუბრისას და სხვათა შორის ამატებს, რომ მისი ბავშვობა ისეთი ცუდიც არ ყოფილა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს, – „წარსულს ახლა რომ ვიხსენებ, ყველაფერი მაინც ლამაზ ფერებში მეხატება. რთული ცხოვრება მქონდა, მაგრამ გარეთ თამაში და პლაჟზე სიარულიც შემეძლო. ბევრი ბედნიერი და სახალისო მომენტი მახსენდება“. ისიც საინტერესოა, რომ მსახიობს უფროსკლასელებთან ერთად სწავლა უნდოდა და თავის ტოლ ბავშვებს ვერაფრით უგებდა: „თანატოლებისგან განსხვავებით, ჩემი საზრუნავი ის იყო, რომ ბუნებრივი აირი ან საჭმელი არ მქონდა“.

ლეიტონმა მოდელობა ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში დაიწყო და აგენტის დახმარებით ნიუიორკში გადასახლდა. ოთხი წლის შემდეგ, გოგონა, დედასთან ერთად, ლოს-ანჯელესში გაემგზავრა და სამსახიობო გაკვეთილებზე დასწრება დაიწყო. მალე მიიღო შემოთავაზებები პატარ-პატარა როლებზე ისეთ ფილმებსა და სერიალებში, როგორებიცაა „კანონი & წესრიგი“, „ექიმი ჰაუსი“, „24“ და სხვა. დიდების „კვარცხლბეკზე“ კი მაშინ შედგა, როცა 2006 წელს ცნობილ „ჭორიკანას“ გადაღებაზე მიიწვიეს.

2012 წელს საკულტო სერიალი დასასრულს მიუახლოვდა და ლეიტონის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ის ადამ ბროდიზე დაინიშნა – მსახიობზე, რომელიც ერთ-ერთი ფილმის (Oranges) გადაღებისას გაიცნო. ქორწილი 2014 წელს გაიმართა, პირველი შვილი კი 2015 წელს გაჩნდა. გოგონას არლო დეი დაარქვეს.

მსახიობი დღესაც მონაწილეობს სარეკლამო კამპანიებში და არც ქველმოქმედებას ივიწყებს. ის Safe Horizon-თან თანამშრომლობს და ოჯახურ ძალადობას ებრძვის. გარდა ამისა, მონაწილეობს Sunsilk-ის კამპანიაში Life Can’t Wait, რომელიც მსოფლიოს გარშემო მცხოვრებ ქალბატონებს ოცნებებისთვის ბრძოლისკენ უბიძგებს. „შეიძლება ამა თუ იმ გამოწვევის სირთულე საკუთარი უმოქმედობის გამართლებად აქციო, მაგრამ ისიც შეგიძლია, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდე და ოცნებები აისრულო. მე ასე ვიქცეოდი და გამიმართლა“, – ამბობს მისტერი, – „ბედნიერი ვარ, რომ თავი არასოდეს მომიტყუებია, არც სხვებს მოვუტყუებივარ და ჩემთვის ძვირფასი ადამიანებისგან ყოველთვის დიდ სიყვარულს, ყურადღებასა და პატივისცემას ვგრძნობდი“.

**„თანატოლებისგან განსხვავებით, ჩემი საზრუნავი ის იყო, რომ ბუნებრივი აირი ან საჭმელი არ მქონდა“**




# ჰიუ ჯეკმანი

როდესაც ვოლვერინის როლი შესთავაზეს, წარმოდგენა არ ჰქონდა თავს როგორ გაართმევდა. სხვა თუ არაფერი, მის პერსონაჟს ძალიან ცოტა უნდა ესაუბრა და უზომოდ ბევრი გამოეხატა – ბრაზიც და სხვა ემოციებიც. მიუხედავად იმისა, რომ შთაგონებისთვის კლინტ ისტვუდისა და მელ გიბსონის სამსახიობო ოსტატობას აკვირდებოდა, ავსტრალიელი მსახიობის პირადი დრამატიზმიც საკმარისი იყო იმისთვის, რომ საკულტო როლი იდეალურად განესახიერებინა და ბავშვობაში განვლილი სირთულეები და მიღებული ტრავმა სწორედ ვოლვერინის პერსონაჟში გაეცოცხლებინა.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, ერთ-ერთ გადაცემაში, ძლიერი ხასიათით ცნობილი ჰიუ ჯეკმანი ემოციურად გატყდა და ტირილით გაიხსენა დღე, როდესაც დედამისი შინიდან სამუდამოდ წავიდა. მსახიობი ოთხშვილიანი ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი იყო და ძალიან გაუჭირდა, როცა დედამ 8 წლის ასაკში მიატოვა. ინტერვიუს დროს ცრემლებს ვერ იკავებდა და ტირილით ყვებოდა: „დეტალურად მახსოვს ის დილა, როცა დედა უკანასკნელად ვნახე. თავზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული და მემშვიდობებოდა. სკოლაში წავედი და რომ დავბრუნდი, შინ აღარ იყო. მეორე დღეს ინგლისიდან წერილი მივიღეთ – დედა საცხოვრებლად იქ გადავიდა. ეგ იყო და ეგ“.

ყველაფრის მიუხედავად, პატარა ჰიუს იმედი ჰქონდა, რომ დედა მალე დაბრუნდებოდა: „ახლაც არ მგონია, რომ სამუდამოდ წასვლას გეგმავდა. ალბათ ფიქრობდა, რომ ყველაფრისგან დაისვენებდა და დაბრუნდებოდა. მახსოვს, მამა ყოველდღე ლოცულობდა და მის გამოჩენას ნატრობდა“, თუმცა არასოდეს გამოჩენილა. პირველი წლების განმავლობაში ჰიუ ძალიან მარტოსულად გრძნობდა თავს, თინეიჯერობის ასაკში კი ტკივილი ორმაგად გაუმძაფრდა. ჟურნალ Parade-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იხსენებს: „ყველაფერი ბოლომდე არ მქონდა გააზრებული, ვიდრე 12-13 წლის არ გავხდი. მთელი წლების განმავლობაში ვებღაუჭებოდი იმედს, რომ დედა და მამა შერიგდებოდნენ, თუმცა ასე არ მომხდარა“.

გარდატეხის ასაკში პროტესტის გრძნობამ პიკს მიაღწია. „ჩემში ემოციებისა და ჰორმონების ნამდვილი ქარიშხალი ტრიალებდა“, – იხსენებს ჰიუ, – „ეს ყველაფერი გარეთ რომ გამოსულიყო, სისულელეებს ვაკეთებდი და მეგობრებს სკოლის კარადებზე თავის მირტყმაშიც კი ვეჯიბრებოდი. მაინტერესებდა, ვინ უფრო ძლიერი და გადარეული იყო“.

საბოლოოდ, ბრაზის მართვა სპორტის დახმარებით ისწავლა. შემდეგ კი ეს ბრაზი ჰოლივუდური კარიერის აწყობაშიც დაიხმარა. „რაგბის თამაში შინაგანი მძვინვარების გამოხატვაში მეხმარებოდა. იმ შეგრძნებას დღეს „ვოლვერინის მძვინვარებას“ ვეძახი“, – იხსენებს ჯეკმანი, რომელსაც ურთულესი წლების გადატანაში მამამისი – ქრისტოფერ ჯონი დაეხმარა. „მამაჩემი საყრდენი იყო. სწორედ მან მასწავლა ლოიალურობა, სწორი დამოკიდებულებები და ერთგულება“.

**„რაგბის თამაში შინაგანი მძვინვარების გამოხატვაში მეხმარებოდა. იმ შეგრძნებას დღეს „ვოლვერინის მძვინვარებას“ ვეძახი“**

სულ ცოტა ხანია, რაც ჰიუ დედას შეხვდა და ყველაფერი აპატია. ერთმანეთს წელიწადში 3-4-ჯერ ნახულობენ. ტკივილისა და ბრაზის გავლასთან ერთად, ჯეკმანმა გაიაზრა, რომ წარსულის გამოცდილება ოჯახური ცხოვრების დაფასებაში ძალიან დაეხმარა. სწორედ ამიტომ, როგორი დაკავებულიც უნდა იყოს, თავის ოჯახს ორ კვირაზე მეტხანს არასოდეს ტოვებს. მსახიობსა და მის მეუღლეს – დებორა-ლი ფერნესს ორი ბავშვი – ოსკარი და ავა ჰყავთ ნაშვილები. წყვილი ერთმანეთს 1995 წელს შეხვდა. დაოჯახება კი მომდევნო წელსვე გადაწყვიტეს. მას შემდეგ 20 წელი გავიდა და ცოლ-ქმარს ერთმანეთი არცერთი წამით არ მიუტოვებია. სულ ცოტა ხნის წინ ისინი ერთად ებრძოდნენ კანის სიმსივნეს, რომელიც ჰიუს აღმოაჩნდა. მსახიობმა დადებითი მხარე ამ გამოცდილებასაც მოუძებნა და გულშემატკივრებს დღემდე აწვდის ყველანაირ ინფორმაციას დაავადების საპრევენციო საშუალებების შესახებ.





ტექსტი: SINEM KIN. ფოტო: GETTY IMAGES



LOOK-Ი
ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ
ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲓᲐᲜ
IKKS
IKKS
IKKS JUNIOR
ი. ჭავჭავაძის გამზ. 48
995 (032) 229 13 11
IKKS Tbilisi

# 17 სურვილი 2017 წელს

დეკემბერი ყველაზე დატვირთული, განსაკუთრებული და სადღესასწაულო თვეა. ახალ წლამდე ზუსტად ერთი თვე გვაშორებს. თბილისის ქუჩებში, გასართობ ობიექტებსა თუ სავაჭრო ცენტრებში საახალწლო ფუსფუსი იწყება, საგანგებოდ მორთული და ბრჭყვიალა ვიტრინებიდან საზეიმო განწყობა თითოეულ ჩვენგანზე გადმოდის, ველოდებით რაღაც ახალს, განსაკუთრებულს, რომელსაც სახელს ვერ ვარქმევთ. უკეთესი წლის იმედით კი საკუთარ თავს ახალ ამოცანებს ვუსახავთ და ახალ წლამდე დღეების ათვლას ვიწყებთ.

საჩუქრების არჩევისა და საახალწლო საყიდლების პარალელურად, კალენდრის შეცვლამდე, ცოტა დრო გასული წლის შეფასებისა და გაანალიზებისთვისაც გვრჩება. წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები, მოგზაურობები, საინტერესო სიახლენი, პლუსები – მინუსებიც, ახალი შენაძენები – დანაკარგებიც, შესრულებული და შეუსრულებელი პუნქტები. წინასაახალწლოდ HELLO! რუსკა მაყაშვილის, დათო ევგენიძის, ნინო დარასელის, კოტე ყუბანეიშვილისა და გრეგორი რეჯინის სურვილებს გიზიარებთ, რომლებიც 2017 წელს 17-პუნქტიანი ე.წ. TO DO LIST-ით ხვდებიან.

## ნინო დარასელი
### ჟურნალისტი

**2017 წელს ვიყო უფრო** ნაკლებად მგრძნობიარე „ყველას“ აზრის მიმართ
**შევძლო** არასასურველის მარტივად იგნორირება და „სპამში“ გადაშვება
**დავიწყო** დღეს, რასაც ყოველდღე ხვალ ვიწყებ
**მეტი დრო დავუთმო** შვილებს
**გადავეჩვიო** თუ არა, შევამცირო მაინც ჩემი და ტელეფონის „ურთიერთობა“
**წავიკითხო** წიგნები, რომელთა უკვე საკმაოდ უხერხული რაოდენობა დაგროვდა ჩემს სასთუმალთან
**შევიძინო** ბილეთები იაპონიის მიმართულებით
**ვისწავლო** უარის თქმა
**ვნახო მეტი** მეტი, მეტი და მეტი
**შევხვდე** გუკას, მაიას
**დავივიწყო** წყენა, რადგან ჩარჩენილი უსიამოვნო მოგონებები ყველაზე მეტად მე მვნებს
**გავიცნო/გავეცნო** საკუთარი თავი უკეთესად. ამ ბოლო დროს ჩემთვის დრო საერთოდ არ მრჩება, არადა საინტერესოა
**დავასრულო** დაწყებული
**დავზოგო** დრო
**მოვუსმინო** სხვების აზრს ისე, რომ ჩემს აზრზე დარჩენა შევძლო
**წავიდე** დასასვენებლად
**გავიღიმო** ისე გულახდილად, როგორც მამაჩემს შეეძლო ეს





## კოტე ყუბანეიშვილი
### პოეტი

**2017 წელს ვიყო უფრო** ერუდირებული
**შევძლო** შეუძლებელი
**დავიწყო** თავიდან
**მეტი დრო დავუთმო** საკუთარ თავს
**გადავეჩვიო** ლაყბობას
**წავიკითხო** მაკულეის ინგლისის ისტორია დედანში
**შევიძინო** კუნძული
**ვისწავლო** წერა
**ვნახო მეტი** სასწაული
**შევხვდე** გარდაცვლილ ახლობლებს
**დავივიწყო** სიკვდილი და სიბერე
**გავიცნო/გავეცნო** ჭეშმარიტ სიბრძნეს
**დავასრულო** მოთხრობა
**დავზოგო** ენერგია და დრო
**მოვუსმინო** საკუთარ გულისხმას
**წავიდე** საზღვარგარეთ
**გავიღიმო** და მოვკვდე

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი. **ფოტო:** ბაჩო თაბათაძე. **ლოკაცია:** მაღაზია "ცაჟველი"; სასტუმრო ROOMS HOTEI TBILISI.



## რუსკა მაყაშვილი
### მსახიობი

**2017 წელს ვიყო უფრო** ჭკვიანი
**შევძლო** უფრო მეტი
**დავიწყო** ვარჯიში
**მეტი დრო დავუთმო** ოჯახს
**გადავეჩვიო** ფრჩხილების ჭამას
**წავიკითხო** რამე
**შევიძინო** ბავშვი
**ვისწავლო** ინგლისური
**ვნახო მეტი** მეგობარი
**შევხვდე** პედრო ალმოდოვარს
**დავივიწყო** ყველა შეცდომა
**გავიცნო/გავეცნო** რაც შეიძლება მეტი ადამიანი
**დავასრულო** ის, რაც დასასრულებელია
**დავზოგო** ფული
**მოვუსმინო** ლენი კრავიცს
**წავიდე** ნიუ-იორკში
**გავიღიმო** სულ მუდამ და ყოველთვის

## გრეგორი რეჯინი
### ფოტოხელოვანი

**2017 წელს ვიყო უფრო** მშვიდი
**შევძლო** უფრო მეტი
**დავიწყო** ახალი და საინტერესო ეტაპი
**მეტი დრო დავუთმო** საკუთარ პროექტებს
**გადავეჩვიო** სიგარეტს
**წავიკითხო** ბიბლია
**შევიძინო** ბევრი რამ მაქვს შესაძენი
**ვისწავლო** უკომპრომისობა
**ვნახო მეტი** კარგი ადამიანი, ნიჭიერი და უბოროტო
**შევხვდე** დონალდ ტრამპს
**დავივიწყო** არაფრის დავიწყება არ მსურს
**გავიცნო/გავეცნო** საინტერესო ხალხს
**დავასრულო** უაზრო ურთიერთობები
**დავზოგო** დრო
**მოვუსმინო** ჰმმ... არ ვიცი
**წავიდე** არსად არ წავალ
**გავიღიმო** ისედაც სულ მეღიმება





## დათო ევგენიძე
### მუსიკოსი

**2017 წელს ვიყო უფრო** ვიდრე ვარ!
**შევძლო** შეუძლებელი
**დავიწყო** ყველაფერი თავიდან
**მეტი დრო დავუთმო** დროს!
**გადავეჩვიო** არაფერს
**წავიკითხო** სიზმრები
**შევიძინო** ისევ ნინო!
**ვისწავლო** ღამის რუკის წაკითხვა
**ვნახო მეტი** ბედნიერი ადამიანი
**შევხვდე** შემთხვევით
**დავივიწყო** არაფერი
**გავიცნო/გავეცნო** ანგელოზებს
**დავასრულო** დასასრულის არსებობა
**დავზოგო** ზოგ-ზოგი, ვინც არ დამიზოგავს
**მოვუსმინო** ღმერთის ჩურჩულს
**წავიდე** რომ მოვიდე
**გავიღიმო** იმდენჯერ, რომ დავიღალო



# თვის დღიური







## HELLO!-ს ვარსკვლავური წვეულება

**HELLO!**-მ **MUZEUM HOTEL**-ში გრანდიოზული გალავახშამი გამართა და **MERCEDES-BENZ FASHION WEEK**-ის განსაკუთრებულ სტუმრებს უმასპინძლა. წვეულება, რომელიც ქართულ სამზარეულოსა და ქართულ ღვინოს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენდა, პრესტიჟული მოდის კვირეულის გლამურულ კულმინაციად იქცა.

საღამოს, რომელიც Cocktail Party-ით გაგრძელდა, **DAVID KOMA**, გამორჩეული ქართველი დიზაინერები და შოუბიზნესისა თუ ბიზნესსექტორის საპატიო წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ▶












HELLO!
Museum Hotel
COLOSSEUM
ARTTIME


HELLO!
Museum Hotel
COLOSSEUM
MARINA
ARTTIME













**MUSEUM HOTEL** სწორედ ის ადგილია, სადაც ძველ დროში ქართველი არისტოკრატები და ხელოვნების მოყვარულები იკრიბებოდნენ, ერთმანეთს საინტერესო ამბებს უზიარებდნენ და სასიამოვნო აურით ტკბებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალი **HELLO! MERCEDES-BENZ FASHION WEEK TBILISI**-ის ერთადერთი ბეჭდური მედიაპარტნიორი იყო.










**თბილისი**

მიმინოშვილის ქ. 2; ა. მიცკევიჩის ქ. 18; ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-3 კვ. მე-5 კორპუსის მიმდებარედ (*მარიჯანის ქ. 16*); პეკინის გამზ. 25ა; აღმაშენებლის ხეივანი 1,6 კმ.; აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ (*თბილისი მოლის „კარფური“*); ა. თვალჭრელიძის ქ. 2 (*ისთ ფოინთის „კარფური“*); თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (*I სართული*)

**ბათუმი**

გორგილაძის ქ. 1/3 (*ბარათაშვილის ქ. 16-18*)

**ქუთაისი**

ბუხაიძის ქ. 23 (*სუპერმარკეტი „დეილი“*)

WWW.BADAGI.GE

ბადაგი / BADAGI











# „ფინკა ბანკმა“ საბავშვო პროექტი წარადგინა

**„ფინკა ბანკმა“** ბავშვებისა და მოზარდებისთვის ახალი გასართობ-შემეცნებითი პროექტი შექმნა. **„ჩემი კლასის წიგნი“** 7-დან 14 წლამდე მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მისი მთავარი მიზანია ბავშვებსა და მოზარდებს მისცეს საჭირო ცოდნა თანხის დაზოგვის შესახებ და განუვითაროს ბიზნესის საბაზისო უნარ-ჩვევები. რაც ყველაზე მთავარია, წიგნში ინფორმაცია მარტივი ენითა და შესაბამისი ილუსტრაციებითაა წარმოდგენილი. **„ჩემი კლასის წიგნზე“**, **„ფინკა ბანკის“** გუნდთან ერთად, კრეატიულმა სააგენტო **„ვინდფორსმაც“** იმუშავა. პროექტის პრეზენტაცია კი, სიმბოლურად, დაზოგვის მსოფლიო დღეს გაიმართა.











Diplona®
PROFESSIONAL
აღმოაჩინე
საკუთარი თმა
ინტენსიური მოვლა
ზამთრის პერიოდში
Diplona®
PROFESSIONAL
HAIR SALON
PERMANENTLY DRY + DAMAGED HAIR
DAUERHAFT TROCKENES + STRAPAZIERTES HAAR
1
HYDRO+ REPAIR
SHAMPOO
AQUAXYL™ + D-PANTHENOL
FÜR PERFEKTE GESCHMEIDIGKEIT
SILICONE-FREE | VEGAN
2
HYDRO+ REPAIR
AQUAXYL™ + D-PANTHENOL
FÜR PERFEKTE GESCHMEIDIGKEIT
ფარმადეპო
PHARMADEPOT

საჩუქარი HELLO! -სგან

# გამოიწერეთ ჟურნალი

## და მიიღეთ საშობაო საჩუქარი




HELLO!
GEORGIA



გამოიწერეთ ფასდაკლებით

38₾ ერთი წლით / 21₾ ექვსი თვით

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველ თვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ **დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**



კიარა ფერანი ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე 1960-იანი წლების ეპოქით შთაგონებული LOOK-ით გამოცხადდა.

ტექსტი: თათია ლეჟავური. ფოტო: GETTY IMAGES.




SHOPPING

# GET THE LOOK!

**კიარა ფერანის** ჩაცმულობა ყოველთვის ქუჩის მოდის საუკეთესო LOOK-ებს შორის ხვდება. მოდის ბლოგერი და დიზაინერი, როგორც წესი რამდენიმე სტილსა და კონცეფციას ურევს ერთმანეთში. ამჯერადაც, ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე, კიარა **1960-იანი წლების სტილით შთაგონებული დიდი ზომის ქურქითა და განიერი შარვლით** გამოცხადდა, რასაც 29 წლის იტალიელმა მუქი ლურჯი მინიმალისტური სვიტერი, კლასიკური ქუსლიანი ფეხსაცმელი და პატარა ზომის ჩანთა შეუხამა. ყველაზე საინტერესო ამ თითქოს უბრალო LOOK-ში ფერთა შეხამების საკმაოდ საინტერესო ტექნიკაა – **ყავისფრის სხვადასხვა მონოქრომული ტონები** და **კონტრასტული ლურჯი**.

**1.** სათვალე **SHERIFF&CHERRY** 372₾ **net-a-porter.com; 2.** პოლო **RALPH LAUREN** 341₾ **harrods.com; 3.** ქურქი **J-CREW** 713₾ **net-a-porter.com; 4.** შარვალი **MAX MARA** 1287₾**farfetch.com; 5.** ჩანთა **PROENZA SCHOULER** 2934₾ **net-a-porter.com; 6.** ფეხსაცმელი **SAINT LAURENT** 1845₾ **ssense.com**

FASHION

# *Fairytale Dresses*

თუ ცრურწმენებს დავუჯერებთ, განწყობა რომლითაც ახალ წელს შეხვდებით, შემდეგ მთელი წელიწადი გაგყვებათ. იყავით მაქსიმალურად თამამი სადღესასწაულო პერიოდში და მოირგეთ ახალი, სრულიად განსხვავებული სტილი.

ზღაპრის გმირების კოსტიუმებით შთაგონებული მოდური კაბები ჯადოსნური განწყობის შექმნაში დაგეხმარებათ. შუა საუკუნეების სილუეტები, ნაქარგები, ორნამენტები და სხვადასხვა ფაქტურის მიქსი სწორედ ის დეტალებია, რომლებიც დეკემბერში აუცილებლად უნდა ამშვენებდეს თქვენს საახალწლო გარდერობს. მეტი შთაგონებისთვის, თვალი გადაავლეთ **Delpozo**-ს, **Marc Jacobs**-ის, **Gucci**-ისა და **Giambattista Valli**-ის ჩვენებებს.



DELPOZO
F/W 16/17

**KETI CHKHIKVADZE**
კაბა
1 500₾

**KETI CHKHIKVADZE**
კაბა
1 700₾

**MARCHESA**
კაბა
10 238₾
**theoutnet.com**

**OSCAR DE LA RENTA**
კაბა
15 264₾
**theoutnet.com**

ALBERTA FERRETTI
F/W 16/17

GIAMBATTISTA VALLI
F/W 16/17



GUCCI F/W 16/17

GIAMBATTISTA VALLI F/W 16/17

DOLCE & GABBANA F/W 16/17

DOLCE & GABBANA F/W 16/17

**ACCESSORIZE**
საყურე
24₾
**accessorize.com**



**YVONNE LEON**
ბეჭედი
11 106₾
**farfetch.com**



**CALVIN KLEIN**
ყელსაბამი
186₾
**Arttime**



**CALVIN KLEIN**
საყურე
155₾
**Arttime**



**AVTANDIL**
შუზი
500₾




**CALVIN KLEIN**
საათი
618₾
**Arttime**



Dolce & Gabbana F/W 16/17

Nino Babukhadia F/W 16/17

Eloshi F/W 16/17

*FASHION*

# SNOW QUEEN

თუ აქამდე ახალი წლის ღამეს უმეტესად წითელი და სხვა მკვეთრი ფერის სამოსს ვიცვამდით, ამჯერად მოდის კრიტიკოსები თოვლის დედოფლის სტილის მორგებას გვირჩევენ

Head to toe თეთრი სამოსი წვეულებებთან ერთად ყოველდღიურადაც შეგიძლიათ ჩაიცვათ. ეს სტილი ერთი შეხედვით საკმაოდ პრეტენზიული და ზამთრის სეზონისთვის შეუსაბამოა, თუმცა სწორი შეხამებით და აქსესუარებით მარტივად შეძლებთ თავი ნამდვილ თოვლის დედოფლად იგრძნოთ. შეუხამეთ **VALENTINO**-სა და **DOLCE&GABBANA**-ს სტილის თეთრ **Maxi** კაბებს კრემისფერი ლაბადები და მონოქრომული ტონები.



**ANNA OCTOBER**
კაბა
1 647₾
**matchesfashion.com**

**AVTANDIL**
მოსაცმელი
900₾

**Dolce & Gabbana F/W 16/17**

**Valentino F/W 16/17**

**LALO**
კაბა
935₾

**SAINT LAURENT**
კლატჩი
3 350₾
**matchesfashion.com**

**AVTANDIL**
კაბა
1 200₾

**AVTANDIL**
კაბა
1 300₾

**CHRISTIAN LOUBOUTIN**
ფეხსაცმელი
1 209₾
**matchesfashion.com**



**IKKS**
ჟილეტი
595₾



**CHLOE**
ქურქი
8 410₾
**theoutnet.com**



**LISKA**
ქურქი
24 950₾
**farfetch.com**



**VERA WANG**
ქურქი
24 820₾
**farfetch.com**



**SHRIMPS**
ქურქი
1 836₾
**net-a-porter.com**



**IKKS**
ქურქი
528₾



**ZARA**
შუზი
159₾
**zara.com**



**Antonio Marras F/W 16/17**

FASHION

# Colorful FUR

1990-იანი წლების მინიმალიზმით შთაგონებული ზაფხულის შემდეგ, ზამთრის მოდური ტრენდები მკაცრად მაქსიმალისტურია.

ფერადი ბეწვის ვარიაციები, განიერი მხრები და დიდი დოზით სიჭრელე დეკემბრის Must Have ტრენდებია. ბეწვის ვარიაციებს თითქმის ყველა ფორმასა და ფერთა გამაში შეხვდებით. **ALTUZARRA** ამ სეზონზე მუხლამდე ბორდოსფერ კლასიკურ ქურქებს გვთავაზობს გრძელი შავი საყელოთი. **DSQUARED2**-ისა და **ANTONIO MARRAS**-ის ბეწვი კი ძირითადად ეთნოდეტალებითაა ინსპირირებული. **EMPORIO ARMANI**, **VALENTINO** და **SALVATORE FERRAGAMO** ამ სეზონზე გეომეტრიული ფორმებითა და ფერთა გრადაციებით შექმნილ ქურქებს წარმოგვიდგენენ.



Altuzarra F/W 16/17

FENDI F/W 16/17

MACH & MACH F/W 16/17

Dsquared 2 F/W 16/17

Emporio Armani F/W 16/17

Salvatore Ferragamo F/W 16/17

FASHION

# MUSKETEER BOOTS

მაღალყელიანი ჩექმები „3 მუშკეტერის“ სტილში ამ სეზონის პოდიუმზე უამრავი განსხვავებული ფორმით ვიხილეთ. განურჩევლად ფორმის, სტილისა და ფაქტურისა, მაღალყელიანი ჩექმა ზამთრის ბოლომდე საოცრად მოდური იქნება.

**BALMAIN**-მა კრემისფერი ზამშის ბოტფორდები კლასიკური ქუსლით შემოგვთავაზა, **FENDI**-მ აქცენტი პასტელის ფერებზე გაამახვილა, **ANNA SUI**-მ მოდურ ფეხსაცმელს მოდური ფაქტურა მოარგო და ხავერდის ბოტფორდები წარმოგვიდგინა. შეუხამეთ ისინი თბილ ნაქსოვ სვიტერებს, მაღალყელიან შარვლებს და Statement-ქურქებსა და ლაბადებს.



**SAM EDELMAN**
673₾
**net-a-porter.com**

**AQUAZZURA**
2 702₾
**net-a-porter.com**



**STUART WEITZMAN**
2 357₾
**stuartweitzman.com**



**GIANVITO ROSSI**
2 652₾
**net-a-porter.com**



Alexander Arutyunov F/W 16/17



ANNA SUI
F/W 16/17



BALMAIN
F/W 16/17



**ZARA**
ჩანთა
69₾
**zara.com**



**AVTANDIL**
800₾



**ZARA**
299₾
**zara.com**



**NINA ZARKUA**
550₾



**ZARA**
169₾
**zara.com**



**SAM EDELMAN**
462₾
**net-a-porter.com**



**ZARA**
ჩანთა
99₾
**zara.com**



**BERSHKA**
129₾
**bershka.com**



**SACAI**
3 570₾
**farfetch.com**



**ALEXANDER MCQUEEN**
4 638₾
**net-a-porter.com**



RAG & BONE F/W 16/17

*FASHION*

# *Biker Boots*

კლასიკურ LOOK-ზე უხეში ზამთრის ფეხსაცმლის ტარება უკვე რამდენიმე წელია რაც საკმაოდ ტრენდულია. ამ კუთხით გამონაკლისი არც წლევანდელი ზამთარი გახდა. ყელიანი ფეხსაცმელი მსხვილი ქუსლით, თასმებითა თუ მასიური ელვით, ამ სეზონზე ნებისმიერ სტილს შეგიძლიათ მოარგოთ.



**ZARA**
299₾
**zara.com**



**ZARA**
269₾
**zara.com**






**ZARA**
299₾
**zara.com**

**ZARA**
269₾
**zara.com**

**NINA ZARKUA**
440₾

**MCM**
ზურგჩანთა
5 231₾
**farfetch.com**

**OFF-WHITE**
1 718₾
**farfetch.com**

FASHION

# PARTY Heels

## ახალი წლის ღამე და სადღესასწაულო ჩაცმულობა შესაბამისი ფეხსაცმლის გარეშე წარმოუდგენელია

კლასიკური სტილეტო, მბზინვარე სანდლები ან Statement-ფეხსაცმელი მკვეთრ ფერებში – მოდის წამყვანი სახლები წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დღისთვის უამრავ განსხვავებულ სტილსა და ფორმას გვთავაზობენ. შეუხამეთ თქვენი ფეხსაცმელი სადღესასწაულო ჩაცმულობასა და Festive-აქსესუარებს.



MILLY F/W 16/17

CUSHNIE ET OCHS F/W 16/17



**BERSHKA**
89₾
**bershka.com**



**VALENTINO**
6 010₾
**farfetch.com**

**SOPHIA WEBSTER**
1 276₾
**net-a-porter.com**



**BERSHKA**
59₾
**bershka.com**



**TOPSHOP**
182₾
**topshop.com**



**TOPSHOP**
142₾
**topshop.com**



**CHRISTIAN LOUBOUTIN**
1 116₾
**net-a-porter.com**



**MIU MIU**
1 674₾
**net-a-porter.com**



**CHRISTIAN LOUBOUTIN**
2 175₾
**net-a-porter.com**



**JIMMY CHOO**
1 019₾
**net-a-porter.com**

**ALEXANDER MCQUEEN**
3 692₾
**net-a-porter.com**

**APERLAI**
2 689₾
**farfetch.com**



**GIORGIO ARMANI**
შლაპა
1 232₾
farfetch.com



**ZARA**
შლაპა
69₾
zara.com



**ZARA**
შლაპა
89₾
zara.com



**ZARA**
კაშნე
99₾
zara.com

FASHION

# WINTER Must Haves

ზამთარი ყველა Fashionista-ს საყვარელი აქსესუარების – შარფების, ხელთათმანებისა და შლაპების სეზონია. გაიხალისეთ თქვენი LOOK-ი მოდური დეტალებით. ნაქსოვი კაშნეებისა და პონჩოების, ტყავის ხელთათმანებისა და თბილი ქუდების დახმარებით, ზამთრის სუსხიან დღეებში მოდურთან ერთად, მხიარულიც იქნებით



CHANEL F/W 16/17



CHANEL F/W 16/17



CHANEL F/W 16/17



**FENDI**
ქუდი
525₾
**farfetch.com**



**ZARA**
ქუდი
35₾
**zara.com**



**ZARA**
ხელთათმანი
55₾
**zara.com**



**ROCHAS**
ხელთათმანი
893₾
**farfetch.com**



**MOSCHINO**
ხელთათმანი
1 266₾
**farfetch.com**



**FAITH CONNEXION**
ხელთათმანი
1 375₾
**farfetch.com**



**DSQUARED2**
ხელთათმანი
757₾
**farfetch.com**



**ISABEL MARANT**
კაშნე
1 792₾
**net-a-porter.com**



**ETRO**
პონჩო
1 625₾
**net-a-porter.com**



**MISSONI**
პონჩო
3 785₾
**net-a-porter.com**



ადრიანა
ლიმა

# David KOMA

გარდა იმისა, რომ დავით კომახიძემ სრულიად ახალ, არქიტექტურულ სილუეტებს ჩაუყარა საფუძველი, მან ასევე მოახერხა 29 წლის ასაკში 2 უმსხვილეს მოდის სახლს ჩადგომოდა სათავეში. ახალგაზრდა დიზაინერი ამჟამად DAVID KOMA-სა და THIERRY MUGLER-ის კრეატიული ხელმძღვანელი და თანამედროვე მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურაა


ბიონსე


რიზ უიზერსპუნი

სწორედ დავით კომახიძე იყო პირველი ქართველი დიზაინერი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მსოფლიო მოდის რუკაზე მონიშნა და ზუსტად ამიტომ მასთან პირადად შეხვედრა განსაკუთრებით ემოციური და საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. HELLO! ქართველ დიზაინერს თბილისის MERCEDES-BENZ-ის მოდის კვირეულის ფარგლებში ვიზიტისას პირადად ესაუბრა.

**როგორ გახსენდებათ საქართველოში გატარებული ბავშვობა?**
დ.კ. შესანიშნავი მოგონებები მაქვს. თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია, იდეალური კლიმატით, გემრიელი სამზარეულოთი და ყოველთვის კარგი ამინდით. მიყვარს ქართული კულტურა – აქ ჩემი ბავშვობის უბედნიერესი წლები გავატარე.

**როდესაც თბილისზე ფიქრობთ, პირველი რა გახსენდებათ, როგორ დაუხასიათებდით ქალაქს თქვენს უცხოელ მეგობრებს?**
დ.კ. ვეტყოდი, რომ თბილისი არის ულამაზესი პეიზაჟების, განსაკუთრებული არქიტექტურისა და უძველესი ტაძრების ქალაქი.

**როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ქალაქში თქვენი ბოლო ვიზიტიდან დღემდე?**
დ.კ. დღეს დილით ჩამოვედი და ჯერ ვერ მოვასწარი ქალაქში გასვლა, თუმცა ძალიან მაინტერესებს. იშვიათად ვახერხებ ჩამოსვლას, მაგრამ როცა აქ ვარ, ვცდილობ ბევრი რამ მოვასწრო.

**ესთეტიკის თვალსაზისით, როგორ აისახა თქვენს შემოქმედებასა და ხედვაზე პოსტსაბჭოთა საქართველოში გატარებული ადრეული წლები?**
დ.კ. ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციაა. სიმართლე გითხრათ აქამდე ამ კუთხით არასოდეს მიფიქრია ჩემს შემოქმედებაზე. რა თქმა უნდა ქართულ კულტურას ძალიან დიდი გავლენა აქვს ჩემზე, თუმცა მიჭირს კონკრეტულად ავხსნა. ▶



ოლივია კალპო და დევიდ კომა



კარლი კლოსი, ჯორგია მეი ჯაგერი და დევიდ კომა



ჯენიფერ ლოურენსი

ემილი ბლანტი

ევა ლანგორია

ნატალია ვოდიანოვა და დევიდ კომა

**საქართველოში ყოფნისას, გრძნობთ თუ არა თავს სახლში?**
დ.კ. რა თქმა უნდა. თბილისი ჩემი ქალაქი და ჩემი სახლია, და ამას ვერაფერი შეცვლის.

**ახლა, როდესაც განვლილ წლებზე ფიქრობთ, გამოარჩევთ თუ არა მნიშვნელოვან მომენტს, რომელმაც დიზაინერად ჩამოგაყალიბათ?**
დ.კ. მოდა ძალიან ადრეული ასაკიდან მაინტერესებდა და ზუსტად ვიცოდი, რომ ამ კუთხით წავიდოდი. 13 წლისამ პირველი კოლექცია შევქმენი და სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. მას შემდეგ საოცარი ტემპით განვითარდა ჩემი კარიერა. 2009 წელს საკუთარი ბრენდი დავაარსე, რამაც უკვე საერთაშორისო აღიარება მომიტანა და ეს ყველაფერი უფრო გლობალური გახდა.

**თქვენს კოლექციებს ხშირად მოიაზრებენ როგორც არქიტექტურითა და სკულპტურით შთაგონებულს. თავად როგორ დაახასიათებდით საკუთარ სტილს – თქვენივე სიტყვებით?**
დ.კ. ვეთანხმები თქვენს შეფასებას – ჩემი სტილი გრაფიკული და ემოციურია, სკულპტურასა და ფორმებზე ორიენტირებული. ყოველთვის ვცდილობ შევქმნა სილუეტები, რომლებიც დროს გაუძლებს.

**რამდენად ადევნებთ თვალს ქართულ მოდას? გამოარჩევდით რომელიღაც დიზაინერს და მათ კოლექციებს?**
დ.კ. სამწუხაროდ ადგილობრივი მოდის სფეროში არ ვარ გარკვეული, თუმცა ახლა სწორედ ამისთვის ჩამოვედი. ვეცდები მაქსიმალურად ბევრ ჩვენებას დავესწრო და ახალი ქართველი ტალანტები აღმოვაჩინო.

**ამჟამად, DAVID KOMA-ს გარდა, THIERRY MUGLER-ის კრეატიული ხელმძღვანელიც ხართ, რამდენიმე წლის წინ კი TOPSHOP-თან კოლაბორაციის ფარგლებში კოლექცია შექმენით. რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან მასმარკეტსა და მაღალ მოდაში მუშაობა?**
დ.კ. დემოკრატიულ ბრენდზე მუშაობა უფრო გლობალური პროექტია. ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო.

**10 წლის წინ წარმოიდგენდით, რომ ისეთი წარმატებული და გავლენიანი იქნებოდით, როგორიც დღეს ხართ?**
დ.კ. დიახ. ძალიან ბევრს ვმუშაობდი, მქონდა კონკრეტული მიზნები და ვიცოდი რისი მიღწევა მინდოდა.

**თქვენი და დემნა გვასალიას წარმატება ქართველი დიზაინერების მთელი თაობისთვის გახდა მაგალითი. რას ურჩევდით მათ, ვისაც მოდის სფეროში სურს მოღვაწეობა?**
დ.კ. იყავით ინდივიდუალურები, ნუ მიბაძავთ სხვებს და იმუშავეთ საკუთარ თავზე.

**DAVID KOMA-ს რეკომენდაცია ქალბატონებს სტილთან დაკავშირებით...**
დ.კ. იყავით მაქსიმალურად ბუნებრივი და ინდივიდუალური. არ გაიმეოროთ სხვისი სტილი.

H

ტექსტი: თათია ლუაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

# elite

## MODEL LOOK

## GEORGIA

IC MODEL MANAGEMENT-ი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული საერთაშორისო სამოდელო კონკურსის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში იწვევს 14-22 წლამდე ასაკის გოგონებს და ვაჟებს Elite Model Look Georgia 2017-ში მონაწილეობის მისაღებად.

დარეგისტრირდით: FB: EliteModelLookGeorgia E-mail:castingicmodels@gmail.com

თბილისი, ნიკო ნიკოლაძის 6. ტელ: 32 298 51 48 მობ.579 775575



FASHION

# Mercedes-Benz Fashion Week TBILISI

თბილისის FASHION SCENE სეზონიდან სეზონამდე იზრდება, იხვეწება და სრულიად ახალი მიმართულებებით მიდის. ჩვენი ქალაქი რომ აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ადგილია, ამაზე თითქმის უკვე აღარავინ დავობს. ქართველი დიზაინერების ახალი ტალღა და ისინი, ვისაც უკვე კარგად იცნობენ საზღვრებს გარეთ, წელიწადში ორჯერ ადგილობრივ და საერთაშორისო პუბლიკას ახალ კოლექციებს MERCEDES-BENZ-ის ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘᲡ ფარგლებში წარუდგენენ. ამ სეზონზე ღონისძიება არნახული მასშტაბის აღმოჩნდა და დიდი რეზონანსიც გამოიწვია. კვირეულის ფარგლებში თბილისს წარმოშობით ქართველ დიზაინერ ᲓᲔᲘᲕᲘᲓ ᲙᲝᲛᲐᲡᲗᲐᲜ ერთად ᲔᲚᲘᲝᲢ ᲡᲐᲛᲜᲔᲠᲘ და ᲚᲣᲡᲘ ᲕᲝᲜ ᲐᲚᲢᲔᲜᲘᲪ ესტუმრნენ. საპატიო სტუმრებმა მედიისთვის გამართულ FASHION TALK-ზე საქართველოს შესახებ საკუთარ შთაბეჭდილებებსა და იმ ვიდეორგოლზე ისაუბრეს, რომელიც MERCEDES BENZ-ის მოდის კვირეულის ოფიციალურ სიმბოლოდ იქცა.





## DJABA DIASAMIDZE

ახალგაზრდა ქართველი დიზაინერი ყოველთვის ახერხებს სხვადასხვა ეპოქებში გვამოგზაუროს, მისი ჩვენებები კი მუდამ თეატრალიზებულ პერფორმანსებს უფრო ჰგავს. ამჯერადაც, ჯაბას კოლექცია მკაცრად ქალური, დახვეწილი და ემოციური იყო – თეთრის, შავისა და წითელის ვარიაციებით, საოცრად დახვეწილი კლასიკური სილუეტებითა და ორიგინალური აქსესუარებით.





## AVTANDIL

ხელოვანი ადამიანი და მისი დამოკიდებულება საკუთარი ქმნილებების, მუზებისა და ინსპირაციის წყაროების მიმართ – AVTANDIL-ის 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის მთავარი შთაგონების წყარო არტისტის ცხოვრების გასხვავებული ფაზები გახდა. ქალის სხეულის, სილუეტების, ფერებისა და ფაქტურების სიყვარული, როგორც კოლექციის მთავარი თემა, პოპარტითა და გრაფიტით შთაგონებული სამოსით იყო ხორცშესხმული. ერთდროულად კონცეპტუალური და ფემინური კოლექცია საკმაოდ ეკლექტური და უნივერსალური აღმოჩნდა – ისევე, როგორც თავად სიყვარული – ზოგჯერ ეიფორიული და ზოგჯერ სევდიანი, გამაერთიანებელი ყველა იმ ემოციისა, რომელსაც არტისტი განიცდის.





## ALEXANDER ARUTYNOV

კოლექციამ 3 სრულიად განსხვავებული იდეა საკმაოდ წარმატებულად გააერთიანა – სამხედრო სტილის, დენიმისა და კლასიკური Medieval-ესთეტიკის სილუეტები ერთმანეთს ძალიან ჰარმონიულად შეერწყა. მთლიან კოლექციას თან სდევდა თავთავების ფორმის აქსესუარები და პრინტები. მთლიანობაში, არუთინოვის „ჭვავის ყანა“ საკმაოდ მრავალფეროვანი და განსხვავებული სტილებითა თუ ეპოქებით შთაგონებული აღმოჩნდა.





## GEORGE KEBURIA

გიორგი ქებურიას „ქალი“ 2017 წლის გაზაფხული/ზაფხულისთვის იაპონური კულტურითა და ესთეტიკითაა ინსპირირებული. საკურას ყვავილობის ფერები და მკაცრი რგოლები პრინტად – მთელ კოლექციას ამომავალი მზის ქვეყანასთან დაკავშირებული სიმბოლიკა გასდევს.





## TAMUNA INGOROKVA

თამუნა ინგოროყვამ მინიმალიზმსა და ფარულ სექსუალურობას სრულიად ახალი ფორმა მოუძებნა. მაღალწელიანი შარვლები, კომბინეზონები და ლაბადები ძალიან კარგად ჩაჯდა მკაცრი, თუმცა ფემინური ქალის კონცეფციაში. Head To Toe – ლაქისა და ტყავის Look-ებით შექმნილი კოლექცია საკმაოდ ძლიერი ენერგეტიკის მატარებელი და შთამბეჭდავი იყო.





## ATELIER KIKALA

ანდროგენული სილუეტებითა და უხეში ფაქტურებით ცნობილი ქართველი დიზაინერი ლადო ბოკუჩავა ამ სეზონზე სრულიად ახალ სამყაროში ტრანსფორმირდა. სიმსუბუქეზე, ნათელ ფერებსა და ფემინურ ფორმებზე ორიენტირებულ კოლექციაში საკმაოდ განსხვავებული ტონები და კონცეფციები ვიხილეთ.





## BESSARION

საბჭოთა ეპოქის ესთეტიკის გაცოცხლება ბესარიონ რაზმაძეს უკვე მეორე სეზონია საკმაოდ წარმატებულად და განსხვავებულად გამოსდის. გრძელი ყვავილებიანი კაბებით, მკაცრი პიჯაკებითა თუ ლაბადებით და კუბოკრული პრინტების მიქსით, დიზაინერმა ჩვენ თვალწინ მთელი ეპოქა სრულიად ახლებურად გააცოცხლა. კოლექციაში განსაკუთრებით საინტერესო აქსესუარები აღმოჩნდა – ქამარზე მიმაგრებული პატარა ჩანთები პომპონებით, სანდლები პლატფორმაზე და პრინტიანი ბოტფორდები შემდეგი სეზონისთვის, ალბათ უკვე მოდის უამრავი მოყვარულის Wish List-შია.

MAKE-UP SECRETS

# ჰოლივუდის ვარსკვლავების ვიზაჟისტის რჩევები

ესპანელი MAKE-UP არტისტი ბალთაზარ გონსალეს პინელი საქართველოს თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში ესტუმრა. MAC-ის მთავარმა ვიზაჟისტმა, რომელსაც სხვადასხვა დროს ჯეინ ფონდასთან, უმა თურმანთან და დიტა ფონ ტიზთან უმუშავია, **HELLO!**-ს მკითხველს მაკიაჟთან დაკავშირებული TOP-რეკომენდაციები და რჩევები გაანდო.



ბალთაზარ გონსალეს პინელი
Make-up არტისტი

## 1 მზადება მაკიაჟისთვის

გირჩევთ კვირაში ერთხელ მაინც გამოიყენოთ სახის კანის გამწმენდი ნიღაბი. მაკიაჟამდე ყველაზე მნიშვნელოვანია კანს ერთგვაროვანი სტრუქტურა ჰქონდეს. აუცილებლად გამოიყენეთ ინტენსიური დამატენიანებელი კრემი – იდეალური მაკიაჟი წარმოუდგენელია სწორად შერჩეული ბაზის გარეშე.

## 2 ერთგვაროვანი ტონი

აქ ყველაფერი თქვენს სურვილზეა დამოკიდებული – სწორი მიდგომით ნებისმიერი ეფექტი მიღწევადია. მთავარი სწორად შერჩეული პროდუქციაა – ცხიმიანი, კომბინირებული თუ მშრალი კანის მიხედვით. ბრინჯაოს ეფექტისა და ტონის დაბალანსება ვიზაჟისტს საკმაოდ მარტივად, კლიენტის სურვილის მიხედვით შეუძლია. მთავარია ზუსტად იცოდეთ როგორ გსურთ გამოიყურებოდეთ!

## 3 წამწამების მოცულობა

იმის გამო, რომ წამწამების სიგრძე და სისქე არასოდეს არაა თანაბარი, მთავარია სწორად შევარჩიოთ ფუნჯი. მაქსიმალური მოცულობისთვის გამოიყენეთ ფუნჯი მაქსიმალური დაშორებებით, რათა კონსისტენცია თქვენს წამწამებზე ერთგვაროვნად გადანაწილდეს.
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საიდუმლო ისეთი ტუშის გამოყენებაა, რომელიც მომენტალურად შრება – ასეთი პროდუქცია საქმეს მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ.

*მაკიაჟამდე, ყველაზე მნიშვნელოვანია კანს ერთგვაროვანი სტრუქტურა ჰქონდეს. აუცილებლად გამოიყენეთ ინტენსიური დამატენიანებელი კრემი – იდეალური მაკიაჟი წარმოუდგენელია სწორად შერჩეული ბაზის გარეშე.*

## სახის კონტურინგი

ბუნებრივი ეფექტისთვის გამოიყენეთ ტონალურ კრემზე ერთი ტონით ღია კონსილერი. წაისვით თვალს ქვემოთ და ეცადეთ ერთგვაროვნად გადაანაწილოთ. აუცილებლად გამოიყენეთ სპეციალური ფუნჯი – ასე საქმე უფრო გაგიიოლდებათ.

რაც შეეხება ილუმინატორს, ეს საუკეთესო საშუალებაა სახის კონტურების გამოსაკვეთად, თუმცა აქაც ზომიერება გმართებთ. ნაკვთების უკეთ გამოსაკვეთად, ილუმინატორი ცხვირზე ვერტიკალურად წაისვით, ასევე გადაინაწილეთ თვალის ქვედა ნაწილიდან ღაწვებამდე და წარბს ქვემოთ. ბუნებრივი ეფექტისთვის, გირჩევთ გამოიყენოთ კრემის ტექსტურის ილუმინატორი.

## 80'S STYLE MAKE-UP

დიდი დოზით მბზინვარების მოყვარული არ ვარ, თუმცა თვალის გარშემო ბრჭყვიალა დეტალები მომწონს, ოღონდ – ზომიერად. მთავარია ბალანსი დაიცვათ და ზედმეტი არ მოგივიდეთ. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ინდივიდუალურობის მომხრე ვარ. თუ დარწმუნებული ხართ, რომ ასე უნდა გამოიყურებოდეთ და თავს კომფორტულად გრძნობთ, მაშინ რატომაც არა – გამოიყენეთ იმდენი ბრჭყვიალა თვალის „ჩრდილი“, რამდენიც გსურთ.







## MAKE-UP ESSENTIALS

*ტონალური კრემი, კონსილერი, ტუში და თვალის შავი ლაინერი. იდეალური მაკიაჟი ჩემთვის დეტალების ერთიანობაა, ძირითადი პროდუქცია კი, რომლითაც ეს დეტალები იქმნება, საკმაოდ მარტივი კოსმეტიკური საშუალებებია. მთავარია ტექნიკის ცოდნა, სწორი მიდგომა და მაქსიმალური ინდივიდუალურობა.*

BEAUTY

# VIP Skin & Hair Treatments

შეხვდით ახალ, 2017 წელს გაუმჯობესებული კანით, თმის ხარისხითა და შესანიშნავი განწყობით. **HELLO!** წარმოგიდგენთ თავის მოვლის საშუალებების TOP-ნაკრებს, რომელიც დაგეხმარებათ სადღესასწაულო პერიოდში იდეალურად გამოიყურებოდეთ




## ჩვენი სილამაზის ექსპერტები სახისა და თმის მოვლისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან პროდუქციას გაგაცნობენ

**1.** მიმზიდველი, ვნებიანი საღამოს არომატი, რომელიც არავის დარჩება შეუმჩნეველი.

**DKNY BE TEMPTED, LUTECIA**

**2.** ზეთი რევოლუციური ფორმულით, რომელიც კვებავს, ამშვიდებს და მოცულობას მატებს ტუჩს. აპლიკატორი კი უზრუნველყოფს მის მარტივად გამოყენებას.

**CLARINS INSTANT LIGHT LIP COMFORT OIL, LUTECIA**

**3.** ტონალური საცხი, რომელიც კანს ერთგვაროვან ფერს, ჯანსაღ იერს და საუკეთესო ტონალობას ანიჭებს. ამასთან ერთად, გააჩნია დამატენიანებელი ფუნქცია. ინოვაციური სტიკი შეიცავს თხევად ტონალურს და აპლიკატორსაც, რომელიც დაგეხმარებათ ტონალური მარტივად და თანაბრად წაისვათ.

**ESTEE LAUDER DOUBLE WEAR NUDE CUSHION STICK RADIANT MAKEUP, LUTECIA**

**4.** თმის ნიღაბი მომენტალური აღმდგენი ეფექტით. წაისვით ნოტიო თმაზე და კარგად შეიზილეთ. მკვეთრად აუმჯობესებს თმის ხარისხსა და მოცულობას.

**WELLA PROFFESSIONALS AGE RESTORE RESTORING SHAMPOO FOR COARSE HAIR MASK**

**5.** ნაოჭების გასაქრობად და მოდუნებული კანის გამოსაცოცხლებლად NUXE-ის ანტიეიჯ ხაზი ინოვაციურ პროდუქტს გვთავაზობს. ჰიალურონის მჟავის შემცველი ნიღაბი, რომელიც ყოველდღიური გამოყენებისთვისაა განკუთვნილი, თქვენს კანს ძალიან მოკლე დროში დაუბრუნებს ელასტიკურობას, სიმკვრივესა და სიგლუვეს. გარდა განსაკუთრებულად ეფექტური შემადგენლობისა თუ ეფექტისა, ნიღაბი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალის გამოა გამორჩეული – სპეციალური Roll-on გორგოლაჭის დახმარებით, რომელიც ბოთლს აქვს მიმაგრებული, კრემის სახეზე თანაბრად გადანაწილება და მასაჟი საკმაოდ მარტივად შეგიძლიათ.

**NUXE NUXIRIANCE ULTRA MASK ROLL-ON, GPC**

**6.** სიღრმისეულად მკვებავი შამპუნი უსიცოცხლო თმისთვის. აღადგენს თმის სტრუქტურას ძირებიდან ბოლოებამდე და ანიჭებს მოცულობასა და მბზინვარებას.

**WELLA PROFFESSIONALS AGE RESTORERESTORING SHAMPOO FOR COARSE HAIR SHAMPOO**

**7.** კანის დატენიანება და ნაოჭების წარმოქმნის პროცესის შეჩერება ახლა უკვე ერთი პროდუქციის გამოყენებითაა შესაძლებელი. კრემ-მუსი, რომელიც კანს თავისუფალი რადიკალებისგან იცავს და დაბერების პროცესს აჩერებს, ორგანიზმში კოლაგენის ბუნებრივ სინთეზს ასტიმულირებს, რათა კანს სასურველი ფორმა, სიმტკიცე და ელასტიკურობა მიანიჭოს.

**MERZ SPEZIAL CREAM MOUSSE COLLAGEN, PHARMADEPOT**

**8.** ჰიალურონის შემცველი კრემ-მუსი სამმაგი დამატენიანებელი ეფექტით. ებრძვის გამომშრალ და უსიცოცხლო კანს, აქვს მომენტალური ეფექტი და მნიშვნელოვნად ზრდის კანის ტენიანობას. ჰიალურონის მჟავისა და ალოეს წვენის უნიკალური კომბინაციის წყალობით, თქვენი კანი ბუნებრივ და ჯანსაღ ეფექტს საკმაოდ ხანგრძლივად შეინარჩუნებს.

**MERZ SPEZIAL CREAM MOUSSE HYALURON, PHARMADEPOT**





BEAUTY

# ჩადექით ფორმაში სადღესასწაულოდ!



## ახალი წლის პერიოდში ყველას გვსურს შეუდარებლად და თავდაჯერებულად გამოვიყურებოდეთ

ბევრი ქალბატონი დღესასწაულებისთვის მზადებას გაცილებით ადრე იწყებს. სწორი კვება, ფიზიკური აქტივობა და გამაჯანსაღებელი პროცედურები – ეს ყველაფერი ფორმასთან ერთად კარგ განწყობასაც შეგინარჩუნებთ. HELLO! წარმოგიდგენთ იმ მნიშვნელოვან რჩევებსა და რეკომენ-დაციებს, რომლებიც დაგეხმარებათ ახალი წლის ღამეს ჯადოსნურად გამოიყურებოდეთ.

თუ სატრენაჟორო დარბაზში თავს კომფორტულად გრძნობთ და მოსახერხებელი სამოსიც გაცვიათ, მაშინ კალორიების წვა ერთიორად მარტივი საქმე ხდება. სპორტული ტოპები, შორტები და ელასტიკები მოძრაობაში ხელს არ უნდა გიშლიდეთ.

**ADIDAS BY Stella McCartney**





ფიზიკური აქტივობა აუცილებლად გასართობი და სახალისო უნდა იყოს. თუ მოტივაცია არ გაქვთ და მალე იღლებით, მაშინ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ. სპინინგი იდეალური გამოსავალია მათთვის, ვისაც სასურველი ფიზიკური ფორმის შეძენა და სტრესის მოშორება ერთდროულად სურს. ტრენერის ინსტრუქციების მიხედვით ველოტრენაჟორებზე სხვადასხვა სირთულის ვარჯიშების შესრულება სასიამოვნოსა და საკმაოდ ეფექტურთან ერთად, საოცრად სახალისო და ენერგიულია.

**OKTOPUS Fitness Club**

**სანდრო ეულის ქუჩა 7, თბილისი**







ვარჯიშისა თუ ნებისმიერი ფიზიკური აქტივობისას, ჩვენი სხეული წყალთან ერთად უამრავ მინერალსა და ვიტამინს კარგავს. ორგანიზმის დეჰიდრაციისა და ბუნებრივი ბალანსის აღსადგენად, რეკომენდებულია დღეში მინიმუმ 2 ლიტრი სითხე მივიღოთ. მეტი ენერგიისა და სიჯანსაღისთვის, მიირთვით OSHEE-ის წყალი და ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა უფრო სახალისო, პროდუქტიული გახდება.

**OSHEE, GCC**



BEAUTY

# Feel The nature

## ტროპიკული ხილი, ეგზოტიკური ზეთები და ბუნებრივი ბიოპროდუქტები ბოლო წლებში თავის მოვლის სფეროში ძალიან მოდური და აქტუალური გახდა

ნატურალური კოსმეტიკის უპირატესობები, სიჯანსაღესთან ერთად, გასაოცარ შედეგსაც გულისხმობს. სახის, სხეულისა თუ თმის მოვლისთვის, ბუნებრივ ინგრედიენტებზე უკეთეს საშუალებას ვერც კი მოძებნით. სიღრმისეული დატენიანების, ექსფოლაციისა და კანის სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, ველური ბუნება უამრავ სასარგებლო პროდუქტს გვთავაზობს. წარმოგიდგენთ HELLO!-ს რჩეულ **HOLLAND&BARRETT-***ის* ნატურალურ კოსმეტიკას, რომელიც ზამთრის სუსხიან ამინდებში იდეალური კანისა და თმის გარანტია იქნება.




**1.** ნაოჭსაწინააღმდეგო თვალის შრატის ფორმულა ამშვიდებს კანს, აქრობს მუქ წრეს თვალის გარშემო და იდეალურია შეშუპებული უპეების სამკურნალოდ. შრატი შეიცავს ორგანული ზეთების, ხილის ექსტრაქტებისა და ორგანული არგანის ზეთის ნაზავს, რისი წყალობითაც სწრაფად მოქმედებს და ღრმად ატენიანებს თვალის გარშემო კანს. აქვს მომენტალური დაჭიმვის ეფექტი და ხელს უწყობს კანის უჯრედების განახლებას..

**DR ORGANIC MOROCCAN ARGAN OIL TIGHTENING EYE SERUM**

**2.** რეკომენდებულია მშრალი და თხელი თმისთვის. მკვებავი შამპუნი დამზადებულია ძალიან მდიდარი, ორგანული არგანის ზეთზე და სწორედ მისი წყალობით ღრმად კვებავს და არბილებს თმას. გარდა ამისა, უნარჩუნებს ბუნებრივი ტენიანობის ბალანსს.

**DR ORGANIC MOROCCAN ARGAN OIL CONDITIONER**

**3.** ხელისა და ფრჩხილის კრემში შემავალი დამატენიანებელი თვისებების მქონე პირველადი დაწურვის ზეითუნის ზეთი და ნარჩევი ბიოაქტიური, ბუნებრივი ინგრედიენტები იძლევა კანის სწრაფი და ღრმა აღდგენის გარანტიას. კრემი ატენიანებს კანს უჯრედის დონეზე და ხელს უწყობს მშრალი და დაზიანებული კანის აღდგენას.  ინტენსიური, 12-საათიანი აღმდგენი კრემი იდეალურია უხეში კანის, განსაკუთრებით კი იდაყვებისა და მუხლების კანის აღსადგენად და სამკურნალოდ.

**DR ORGANIC VIRGIN OLIVE OIL HAND & NAIL CREAM**

**4.** ორგანული პირველადი დაწურვის ზეითუნის ზეთით დამზადებული სახის კრემი ღრმად ატენიანებს და მდიდარია ისეთი საკვები ნივთიერებით, როგორიცაა ოლეინის მჟავა. მასში შედის ბიოაქტიური და ბუნებრივი ინგრედიენტები. მდიდარი და დამატენიანებელი თვისებების მქონე კრემი იოლად აღწევს ეპიდერმისში და ადვილად შეიწოვება

**DR ORGANIC VIRGIN OLIVE OIL DAY CREAM**

**5.** მოცულობის მიმნიჭებელი და დამცავი შამპუნი შექმნილია შემდეგი ნატურალური ინგრედიენტებისგან: ქოქოსის ექსტრაქტი, ალოე ვერას ფოთლების წვენი, პაპაიას ნაყოფის ექსტრაქტი, მანგოს ნაყოფის ექსტრაქ-ტი, კაკაოს მარცვლების ექსტრაქტი, ლეღვის ნაყოფის ექსტრაქტი, ლიმონის კანის ზეთი, ვიტამინი C და მრავალი სხვა. ორგანული ეთერზეთებისა და ხილის ექსტრაქტების კოქტეილის მეშვეობით, ის ასტიმულირებს კერატინის ბოჭკოებს. შედეგად, თმა ხდება ძლიერი, ჯანსაღი და მბზინვარე.

**DR ORGANIC VIRGIN COCONUT OIL SHAMPOO**

**6.** ინტენსიური დატენიანება, რომელიც მთელი ღამით გაგყვებათ. უზრუნველყოფილია ორგანული პირველადი გამოხდის ქოქოსის ზეთით. კრემი ასევე გამდიდრებულია ალოე ვერას ფოთლების წვენით, ავოკადოს ზეთით, პაპაიას ნაყოფის ექსტრაქტით, მანგოს ნაყოფის ექსტ-რაქტით, კაკაოს თესლების ექსტრაქტით, C და E ვიტამინებით.

**DR ORGANIC VIRGIN COCONUT OIL NIGHT CREAM**




*მაღაზია HOLLAND&BARRETT*
*მის.: City Mall Saburtalo, City Mall Gldani; მობ.: (+995) 593 23 34 35*


მეგან ფოქსი


სოფია ვერგარა



BEAUTY

# ლამაზი წარბების საიდუმლო

წარბი გარეგნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შტრიხია, რომლის ფორმისა და სისქის ცვლილებას მნიშვნელოვნად შეუძლია მთლიანად გარდასახოს ნებისმიერი ქალბატონი. ჰირა ნაიტლი, სოფია ვერგარა, კარა დელევინი – ყველა ეს ვარსკვლავი განსხვავებულ გარეგნობას სწორედ განსაკუთრებული ფორმის ხშირ წარბებს უმადლის

ალბათ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარბის ფორმა ადამიანის სახის იერს. წარბების ფორმა, ფერი, სისქე... **შესაძლებელია მოდის ტენდენციებთან ერთად იცვლებოდეს**, თუმცა მთავარი კრიტერიუმი არასოდეს იცვლება – წარბის ფორმა ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს სახის დანარჩენ ნაკვთებს. მათ, ვინც წარბის ბუნებრივი სიხშირით უკმაყოფილოა, ღეროვანი ტატუაჟის დახმარებით საკმაოდ მარტივად შეუძლიათ ამ უმნიშვნელოვანეს დეტალს საოცნებო ფორმა შესძინონ.

**ღეროვანი** (3D) **ტატუაჟი**, იგივე წარბის პერმანენტული მაკიაჟი (*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „ლოტუსი“*), კორექციის მეთოდია, რომლის დახმარებითაც კანის ზედა შრეში მინერალური ან მცენარეული შემადგენლობის პიგმენტები შეჰყავთ. თითოეული ღერი ინდივიდუალურად იხატება, რის ხარჯზეც ფორმა და სისქე სურვილისამებრ იცვლება, თანაც – საოცრად ბუნებრივად.

**ღეროვანი** (3D) **ტატუაჟის** დახმარებით, შესაძლებელია წარბებს სიხშირე და სისქე მივანიჭოთ, შევცვალოთ წარბების ფორმა, გამოვასწოროთ ნებისმიერი ასიმეტრია და დავფაროთ წარბების ზონაში არსებული ნაწიბურები და სხვა დეფექტები.

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი „**ლოტუსი**“*
*ტელ: 322 90 38 03*
*www.lotus.ge;     FB/LotusMedCenter*


რიანა


კარა დელევინი





BEAUTY

# შეხვდით ახალ წელს გაახალგაზრდავებული სახის კანით!

## სახის კანის გაუმჯობესება, ნაოჭების მოშორება, გაახალგაზრდავება – აუცილებელი პროცედურებია, რათა საკუთარი ვიზუალით კმაყოფილები ვიყოთ




თანამედროვე მეცნიერული მიღწევების წყალობით, რამდენიმე მიმიკური თუ ასაკობრივი ნაოჭი ძალიან მარტივად შეგვიძლია გარკვეული პერიოდით წარსულს ჩავაბაროთ. ამ შემთხვევაში თქვენი ახალგაზრდობის სადარაჯოზე **გერმანული კომპანია MERZ AESTHETIC** დგას – ესთეტიკურ მედიცინაში უკვე აპრობირებული და გამოცდილი საოცრად ეფექტური ანტიეიჯ საშუალებებითა და თერაპიებით.

**Xeomin-ი ბოტულინო-ტოქსინია, რომელიც აქრობს ნაოჭებს და არა მიმიკას**. მისი წარმოების უნიკალური პროცესი საშუალებას იძლევა ნივთიერება მივიღოთ მაქსიმალურად გასუფთავებული სახით (*კომპლექსური ცილებისგან*) და დაცული ვიყოთ პრეპარატის მიმართ რეზისტენტობისგან.

**Xeomin**-ის საშუალებით ნაოჭებთან ბრძოლა დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია. პოპულარულობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: კანის გაახალგაზრდავების ეს პროცედურა უმტკივნეულოა და არაქირურგიული, გრძელდება სულ რაღაც 20 წუთი და ფასიც შედარებით ხელმისაწვდომია. ქსეომინი გამოიყენება მიმიკური ნაოჭების გასასწორებლად სახისა და კისრის მიდამოებში. პროცედურის დროს ბოტულოტოქსინი (*ბოტულიზმის ტოქსინის*) კანში ინექციის გზით შეჰყავთ. ეს ტოქსინი მოქმედებს ნერვულ და კუნთურ სისტემაზე და იწვევს სახის კუნთების მოდუნებას. შედეგად კუნთი ველარ იკუმშება აქტიურად, რაც ხელს უწყობს მიმიკური ნაოჭების კორექციას და აბრკოლებს ახალი ნაოჭების წარმოქმნას. პროცედურა არ საჭიროებს ანესთეზიას.

*„ფარმადეპოს“ აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*

BEAUTY

# პლაზმოთერაპიის უპირატესობები

ასაკის მატებასთან ერთად კანის იერსახე და სტრუქტურა საგრძნობლად უარესდება. მათ, ვინც დაბერების ნიშნებთან საბრძოლველად ბუნებრივ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას, **HELLO!** პლაზმოთერაპიის ყველაზე ეფექტურ და ინოვაციურ პროდუქციას წარმოგიდგენთ




**CELLULAR MATRIX-**ის თრომბოციტებით გამდიდრებული პლაზმოთერაპიის (*PRP*) ფორმულა, გარდა თრომბოციტებით გამდიდრებული პლაზმისა, ჰიალურონის მჟავასაც შეიცავს, რაც კოლაგენის გამოყოფასთან ერთად, კანის ელასტიკურობის, ტონუსისა და იერსახის მკვეთრად გაუმჯობესებასაც უწყობს ხელს.

ჰიალურონის მჟავა ქსოვილში უჯრედის ზრდის ფაქტორების არსებობის პერიოდს საგრძნობლად ახანგრძლივებს და ქსოვილის რეგენერაციის კუთხით საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგს იძლევა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პლაზმოთერაპია დაბერების ნიშნებს ყველა არსებული მეთოდით ებრძვის. მიღებული შედეგი, რომელიც ნებისმიერ პაციენტს სასიამოვნოდ გაოცებულს დატოვებს, საკმაოდ დიდი ხნით შეგინარჩუნდებათ.

**პლაზმოთერაპიის შედეგები:**

- **ზედაპირული ნაოჭების გაქრობა**
- **გაუმჯობესებული კანის ფერი**
- **კანის ქსოვილისა და ტექსტურის ხანგრძლივი მბზინვარება**
- **პიგმენტური ლაქების მოცილება**
- **თმის ცვენის შეჩერება**

*ესთეტიკური მედიცინის ცენტრი*
***SOLO PER TE***
*ი. ჭავჭავაძის გამზ. 62*
*(ბერძენიშვილის ქუჩის მხრიდან)*
*თბილისი*
*ტელ: (+995) 322 43 49 94*
*(+995) 591 41 77 77*
*FB/SoloPertTeGe*



BEAUTY

# დაამარცხეთ თმის ცვენა!

**როგორც ნუტრიციოლოგები ამტკიცებენ, თმის ცვენის გამომწვევი პირველი მიზეზი საკვებ რაციონში რკინისა და პროტეინების ნაკლებობაა. თუმცა ხშირად თმის ზრდის ბუნებრივი ციკლის რღვევას ფიზიკური თუ ემოციური სტრესიც განაპირობებს**

ქალბატონების დიდ ნაწილს ეს პრობლემა მშობიარობის შემდგომ პერიოდშიც საკმაოდ მწვავედ აწუხებს. ხშირია თმის ცვენის ჰორმონული დარღვევებით გამოწვეული შემთხვევებიც. ყველაზე ხშირად თმის დაზიანებასა და ცვენას ინტენსიური ღებვა და ვარცხნილობის ცვლილება განაპირობებს. HELLO! თმის ცვენის პროფესიული მოვლის ხაზთან ერთად იმ პროდუქციასაც გაგაცნობთ, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში კომპლექსურად დაგეხმარებათ.

*proflinecosmetics@yahoo.com*
*FB/WellaProfessionalsStudioGeo*




სუსტი, ცვენისკენ მიდრეკილი და საგრძნობლად შეთხელებული თმის პროფესიული მოვლის საშუალება თავის კანის გაჯანსაღე-ბასთან ერთად, ღერის დიამეტრში ზრდასაც უწყობს ხელს.
**NIOXIN, WELLA PROFESSIONALS**

HTX ფორმულაზე დამზა-დებული ექსკლუზიური პროდუქტი თმის ბოტოქსის ფუნქციას ასრულებს.
**NIOXIN DIABOOST, WELLA PROFESSIONALS**

თმის მსხვრევადობით გამოწვეული თმის ცვენის შემაჩერებელი შრატი. გამოიყენეთ ყოველ საღამოს.
**NIOXIN SCALP RENEW DENSITY PROTECTION, WELLA PROFESSIONALS**



# მეცნიერება ჯანსაღი თმის შესახებ

## ახალი ერა თმის მოვლის სფეროში!

NIOXIN-ი სუსტი, შეთხელებული და უსიცოცხლო თმისადმი ინოვაციური მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია თავის კანის მოვლაზე!



NIOXIN®

№1 სალონური ბრენდი, 25 წლიანი გამოცდილებით. 12 ჯერ გამარჯვებული კონკურსში „სტილისტის არჩევანი“.

*იკითხეთ სილამაზის სალონებში*

ვ. დოლიძის ქ. 46, თბილისი

**+995 032 229 58 00**

proflinecosmetics@yahoo.com

FB/WellaProfessionalsStudioGeo

Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიქსი

NIOXIN-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში





მირანდა კერი



სარა-ჯესიკა პარკერი



ბლეიკ ლაივლი

BEAUTY

# ბრონდინგი

## მელირების ჰოლივუდური ტრენდი

ომბრეს, სომბრეს, შატუშისა და BABY LIGHTS-ის შემდეგ ჰოლივუდი მელირების ახალმა ტრენდმა მოიცვა. ბრონდინგი ქერა და წაბლისფერი თმის ყველაზე ჰარმონიული და მბზინვარე კომბინაციაა

თმის შეღებვის ტექნიკა, რომელიც ორი განსხვავებული ტონის ერთმანეთში მაქსიმალურად ბუნებრივად შერევას გულისხმობს, საკუთარ თავზე უკვე გამოსცადეს ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც **სარა-ჯესიკა პარკერი**, **ბლეიკ ლაივლი**, **მირანდა კერი** და **ალესანდრა ამბროსიო** არიან. ბრონდინგის ტექნიკა იდეალურია როგორც ბუნებრივად ქერა, ასევე ბუნებრივად წაბლისფერთმიანი ქალბატონებისთვის. ნატურალური თმის ფერზე მაქსიმუმ 3 ტონით ღია ან მუქი შეფერილობის მელირება საკმაოდ ბუნებრივად და მბზინვარედ გამოიყურება ყველა ტიპის თმაზე და ნებისმიერი ვარცხნილობისას არ კარგავს ინტენსიურ ფერსა და მბზინვარებას. მელირების ამ ტექნიკის განსაკუთრებულობა გარდამავალი ტონებით მანიპულირებაა – თქვენი თმის ფერი არც ბოლომდე ქერაა და არც წაბლისფერი. სწორედ ამიტომ, თქვენს თმას განსაკუთრებული ბრწყინვალება და სხივი დაჰკრავს.

ალესანდრა ამბროსიო




თმის საღებავი ინტენსიური ფერისთვის
**REVLONISSIMO, PROF BEAUTY**




თმის აღმდგენი ნიღაბი
**MOROCCANOIL, PROF BEAUTY**




შეღებილი თმის ნიღაბი
**OLAPLEX, PROF BEAUTY**



CURAPROX
SWISS PREMIUM ORAL CARE

***CURAPROX-ის კბილის ჯაგრისი*** *განსხვავებული, უნაზესი ტექსტურით გამოირჩევა,*
*არ აზიანებს კბილებსა და ღრძილებს და მაქსიმალურად ასუფთავებს ემალს,*
*ვინაიდან სხვა ჯაგრისებისგან განსხვავებით,* ***1500-ის ნაცვლად 5460 ღერი აქვს***




სალონი-მაღაზია **PROF BEAUTY**, ა. თვალჭრელიძის ქ. 2
სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ისთ ფოინთი“
facebook.com/professionalbeauty.ge

ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY



DECOR

# HELLO! LOVES

## ყველაფერი, რაც სიმყუდროვის შექმნაში დაგეხმარებათ

დეკემბერი ყველაზე ხანმოკლე დღეებისა და ცივი საღამოების თვეა. სუსხსა და ცუდ განწყობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება კომფორტული სახლი, ფუმფულა პლედი, ცხელი სასმელი, კარგი ფილმი და საყვარელი ადამიანების გარემოცვაა. მყუდრო, თბილი და გემრიელი გარემოს შექმნისას, HELLO! არჩევანში დაგეხმარებათ...








www.facebook.com/ioverdegeo

# ვერტიკალური ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE



CHOICE

# ჯადოსნური ახალი წელი

## რჩეული ადგილები დღესასწაულის აღსანიშნად



იმისთვის, რომ ახალ წელს ჩაფიქრებული სურვილები აგისრულდეთ და მთელი წელი პოზიტიურად წარიმართოს, განწყობასთან ერთად, ჯადოსნური გარემოც აუცილებელია. სასიამოვნო მუსიკა, მხიარულება, სიურპრიზები, გემრიელი საჭმელი, საყვარელი ადამიანები და ახალი მეგობრები – ეს ყველაფერი ერთ საღამოში გაერთიანდება, თუ HELLO!-ს რჩევებს დაუჯერებთ და საახალწლო დღესასწაულებს საუკეთესო გარემოში აღნიშნავთ.

## შერატონ ბათუმი

ბათუმის მეგობრულ განწყობას, სილამაზესა და ჯადოსნურ აურას ყველაზე კარგად **„შერატონ ბათუმში“** შეიგრძნობთ. აქ 2017 წელი დაუვიწყარი საახალწლო წვეულებით დაიწყება. **ელეგანტურ და დახვეწილ საახალწლო ვახშამს ტრადიციული ქართული სუფრა დაამშვენებს**. იმისთვის, რომ არცერთი წამით არ მოიწყინოთ, საღამოს პროგრამას მხიარული და პოზიტიური წამყვანი გაუძღვება. სცენაზე ცეცხლს ქართული ცეკვები დაანთებს. ენერგიულ მუსიკალურ ფონს კი ბენდი **Fourth Season** და **DJ MAX** შეგიქმნით.

რასაკვირველია, ახალი წლის ღამე სიურპრიზების გარეშე არ ჩაივლის და სპეციალურად თქვენთვის სხვადასხვა საჩუქარი გათამაშდება. **სუპერპრიზებს შორისაა ორდღიანი საგზური „შერატონ ბათუმში“, „შერატონ გრანდ კრაკოვსა“ და „შერატონ ისტანბულ ათაქოიში“**.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ყველაფერთან ერთად, თქვენს განკარგულებაში იქნება დახურული აუზი, საუნა, ჯაკუზი, თურქული აბანო, ორთქლის ოთახი და ფიტნესი. ამასთან ერთად, უგემრიელეს საუზმეს თქვენთვის რესტორანი „სანფლაუერი“ უზრუნველყოფს.

***ტელ:*** *(+995) 422 22900; (+995) 593 737337*

ფოტო: SHERATON BATUMI



# შატო მუხრანი

თუ ახალი წლის დღესასწაულებისთვის მდიდრულ მასპინძელს ეძებთ, **„შატო მუხრანის“ რესტორანი „სამეფო მარანი 1878“ საუკეთესო არჩევანია**. მნიშვნელობა არ აქვს დღესასწაულს მეგობრებთან ერთად აღნიშნავთ თუ ოჯახის წევრებთან – **ბაგრატიონთა მამულში უბრალო შეკრებაც კი ბედნიერ თავგადასავლად გადაიქცევა**.

აქ კორპორაციული ღონისძიების დაგეგმვაც შეგიძლიათ. მუხრანბატონის სასახლე, თქვენს ყველა სურვილს ერთ სივრცეში გააერთიანებს და აასრულებს. რასაკვირველია, მეფურ გარემოში პრემიალური ღვინო და მრავალფეროვანი მენიუ დაგხვდებათ. საუკეთესო მომსახურე პერსონალი კი მაქსიმალურად იზრუნებს იმაზე, რომ თავი მართლაც სამეფო ოჯახის წარმომადგენლებად იგრძნოთ და ახალი წელი ყველაზე ამაღლებული  განწყობით დაიწყოთ.

***ტელ.:*** *(+995) 595 99 13 14/15/16*
***ელ. ფოსტა:*** *1878@mukhrani.com*
*www.chateaumukhrani.com*






ფოტო: CHATEAU MUKHRANI





# სასტუმრო მუზეუმი

ახალ წელს **„სასტუმრო მუზეუმისა“** და **კახაბერის გრანდიოზული პროექტი** იღებს სტარტს. მასშტაბური შოუ, ექსკლუზიური შოუ-პროგრამით, ახალი წლის ღამეს განახლებული ენერგიითა და შთაბეჭდილებებით აღგავსებთ! **ორბელიანების ისტორიული სასახლე**, რომელშიც ადრე სალონური საღამოები და რომანტიკული შეხვედრები იმართებოდა, კვლავ ყველაზე განსაკუთრებულ საზოგადოებას უმასპინძლებს და იზრუნებს, რომ თითოეული სტუმრის ახალი წელი ფეიერვერკივით ბრჭყვიალა და ლამაზი წუთებით დაიწყოს.

გააცილეთ 2016 წელი მრავალფეროვანი მოგზაურობით და 2017 წლისთვის პოზიტიური, ენერგიული და ოცნებებით სავსე განწყობა მოიმარაგეთ.

***ტელ.:*** *(+995) 322 24 49 99*
***მის.:*** *ვახტანგ ორბელიანის ქ. 8/10, თბილისი*





ფოტო: MUSEUM HOTEL




# რიქსოს ბორჯომი

არჩევანით აუცილებლად კმაყოფილი დარჩებით, თუ ახალი წლის ჯადოსნურ დღეებს სასტუმრო „**რიქსოს ბორჯომში**“ გაატარებთ.  ვიდრე შეფმზარეული უგემრიელეს საახალწლო სუფრას გააწყობს, საშუალება გექნებათ თავს რელაქსაციის ნება მისცეთ და სპაპროცედუ-რებით დატკბეთ. რასაკვირველია თქვენს ამაღლებულ და **სადღესასწაულო განწყობაზეც „რიქსოს ბორჯომის“ პროფესიონალები იზრუნებენ**.

**„რიქსოს ბორჯომში“ ბავშვებიც არაჩვეულებრივ დროს გაატარებენ** – მათ საკუთარი დღესასწაული ექნებათ, სადაც სანტა-კლაუსი, ყველასთვის საყვარელ ზღაპრის გმირებთან ერთად, პატარა სტუმრებს საინტერესო შეჯიბრებითა და თამაშებით გაართობს.

ისღა დაგრჩენიათ, საახალწლოდ გამოეწყოთ და უბრალოდ დატკბეთ გალავახშმით, ცოცხალი მუსიკით, მხიარული გათამაშებებითა და ბევრი სადღესასწაულო სიურპრიზით. „**რიქსოს ბორჯომში**“ თითოეული სტუმრის ახალი წელი ბედნიერად და ჯადოსნურად დაიწყება.

***ტელ.:*** *(+995) 0322 292 292*
***ელ. ფოსტა:*** *borjomi@rixos.com*







**ფოტო:** RIXOS BORJOMI







# El Centro

**იმისთვის, რომ** ერთდროულად იყოთ ქალაქისა და საუკეთესო მოვლენების ცენტრში, **ახალი წელი EL CENTRO-ში უნდა აღნიშნოთ**. მაშინვე, როგორც კი თბილისის ძველ უბანში, ვინტაჟური შენობებით გარშემორტყმულ პატარა მოედანზე აღმოჩნდებით, თავი ძველ ევროპაში გეგონებათ. ეს სიმყუდროვე კი თავისთავად შეგიქმნით საუკეთესო განწყობას მომდევნო წელთან შეხვედრისთვის.

ისიც აღსანიშნავია, რომ **EL CENTRO ქართველი ახალგაზრდებისა და უცხოელი სტუმრების საყვარელი ადგილია**, სადაც ყოველთვის იპოვით თქვენს მეგობრებს, ძველ ახლობლებსა და ახალ ნაცნობობას. ახალ წელს კი არაფერი უხდება ისე, როგორც კარგი ადამიანების გარემოცვა. გარდა ამისა, აქ გარანტირებულია ხალისიანი გარემო, ჟრიამული, საინტერესო ინტერიერი და ხარისხიანი მუსიკა. რა თქმა უნდა, მომსახურე პერსონალი იმაზეც იზრუნებს, რომ განსხვავებული და ჯადოსნური კოქტეილებით დატკბეთ.

**EL CENTRO-ში გატარებული საახალწლო დღესასწაული სავსე იქნება სიურპრიზებითა და იმ საოცარი ამბებით**, რომლებიც არასოდეს დაგავიწყდებათ.

***ტელ.:*** *(+995) 555 11 14 14*
***ელ. ფოსტა:*** *cubaenzo@gmail.com*
*facebook.com/elcentrotbilisi*

ფოტო: EL CENTRO





# თავადური

ახალი წლის ღამე **ჯადოსნური პროგრამით აღინიშნება „თავადურის“ დარბაზ „სანადიმოში“**, სადაც განწყობას დაუვიწყარი შოუ, სადღესასწაულო მენიუ, მრავალფეროვანი მუსიკა, კოსტიუმირებული სანახაობა, გათამაშება და ზღაპრულად მორთული გარემო შექმნის.

საღამოს გიორგი ვარდოსანიძე გაუძღვება და სტუმრებს არცერთი წამით არ მოაწყენს. რაც შეეხება მუსიკალურ პროგრამას, განწყობის მრავალფეროვნებაზე **მიშო სულუხია**, **გიორგი ჩიქოვანი**, **ჯგუფი Sparkle** და „**თავადურის ტრიო**“ იზრუნებენ. დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს დაგიტოვებთ **ქართული ცეკვების კოსტიუმირებული შოუც**, რომელიც ახალი წლის ღამეს მეტი ემოციითა და მძაფრი შთაბეჭდილებებით აავსებს. რასაკვირველია, აქვე იქნება სიურპრიზების ცვენა და ბევრი გათამაშება! სხვაგვარად რომ გითხრათ, **„თავადურში“ ზღაპრული ახალი წელი დადგება...**

***ტელ.:*** *(+995) 596 08 77 88*





**ფოტო**: რესტორანი „თავადური“






# ტიფანი ბარი

თუ ახალი წლის აღნიშვნა რომანტიკულ და მყუდრო გარემოში გსურთ, მაშინ **„ტიფანი ბარით“** ყველაზე მეტად ისიამოვნებთ. ადგილი, რომელიც ყოველთვის სავსეა ჯადოსნური აურით, სასიამოვნო მუსიკითა და სამაგალითო მომსახურე პერსონალით, ახალი წლის საღამოს უფრო მეტად შეეცდება თქვენი სადღესასწაულო წუთები დაუვიწყარი გახადოს.

**„ტიფანი ბარში“ თქვენთვის ცოცხალი მუსიკა აჟღერდება.** გარდა ამისა, იქნება DJ-იც, რომელიც ენერგიული და მხიარული განწყობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. რასაკვირველია, ისედაც ლამაზი გარემო კიდევ უფრო ჯადოსნური დეტალებით იქნება გაფორმებული და თავი ნამდვილ ზღაპარში გეგონებათ.

**დაბოლოს:** როგორც ყოველთვის, თქვენს საახალწლო სუფრაზე ყველაზე განსხვავებული, ლამაზი, გემრიელი, ორიგინალური კერძები და სასმელები მოიყრის თავს.

***ტელ.:*** *(+995) 322 24 22 88*
***მის.:*** *მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ბროსეს ქუჩის კუთხე, თბილისი*
*www.tiffany.ge*



**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ:** ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲤᲝᲢᲝ:** TIFFANY BAR

# ნატალი



ANTI AGE CLINIC • WELLNESS LAB • SOLARIUM CLUB • DAY SPA BY GERMAINE DE CAPUCCINI

იდეალური გარემო, სრული კომფორტი, უმაღლესი ხარისხი და გარანტირებული შედეგი! ადგილი, სადაც ყველაფერი სილამაზესთან და ჯანმრთელობასთან ასოცირდება.




1.



2.



3.



5.



4.

1. სახის კრემი 60+
2. ზეთის ემულსია.
3. კოლაგენის ხელის კრემი. 4. ტუჩსაცხი
5. მამაკაცის ანტი-ასაკობრივი კრემი.
6. დღის და ღამის კრემი, თვალის კრემი ლიფტინგ ეფექტით. 7. სუნამო




6.




7.











საჩუქრების მრავალფეროვანი არჩევანი თქვენთვის და თქვენი საყვარელი ადამიანებისთვის

(+995 32) 236 57 57; კოსტავას ქ. №67 თბილისი

-20% სასაჩუქრე ბარათზე

ვაუჩერის გამოყენების ვადაა 31 დეკემბერი 2016

EST. 1995
NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY

Gift Card
VOUCHER

1+1 აბონიმენტებზე
SOLARIUM CLUB NATALI
ტელ.: 236 56 36; 577 50 70 96
31.12.2016

-50% პროცედურებზე
NATALI ANTI AGE CLINIC
ტელ.: 210 00 05; 210 00 07
31.12.2016



TRAVEL

# ჯადოსნური მოგზაურობა

დეკემბრის სუსხიან დღეებში თბილი ქვეყნებისკენ გამგზავრება საუკეთესო გადაწყვეტილებაა. იმისათვის, რომ არჩევანის გაკეთება გაგიადვილდეთ, HELLO! მსოფლიოს ყველაზე მზიან და ლამაზ ადგილებს წარმოგიდგენთ.

## ბინტანი & სინგაპური

ბინტანში მოგზაურობა ბუნებასთან დაახლოების საუკეთესო საშუალებაა. ინდონეზიის კუნძული, რომელიც ადრე „**მეკობრეების კუნძულის**“ სახელით იყო ცნობილი, ბევრი თვალწარმტაცი სანახაობითა და ხედით გამოირჩევა. ეს ის ადგილია, სადაც ყველაფრისგან დასვენებასა და განტვირთვას შეძლებთ. მანამდე კი, სანამ ბინტანს ეწვეოდეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოტოვოთ სინგაპურის ტურიც, რომელიც აქტიური დასვენების მოყვარულთათვის ნამდვილი სამოთხეა.



ვარსკვლავები სინგაპურის მუდმივი სტუმარი და თითქმის იქაური მაცხოვრებელია **ჯეკი ჩანი**, რომელსაც ხშირად ქვეყნის PR-მენეჯერადაც კი მოიხსენიებენ.

რეკომენდაციები სანამ სინგაპურში გაემგზავრებით, საზაფხულო ტანსაცმელი და საუკეთესო განწყობა მოიმარაგეთ. უმჯობესი იქნება, თუ სასტუმროს ცენტრალურ ქუჩაზე – **Orchard Road**-ზე შეარჩევთ. რეკომენდებულია სასტუმროები: **Shangri-la Singapore, Swissotel Merchant Court** და **Goodwood Park Hotel**. ზოოპარკის ტური, რომელიც ველურ ბუნებაში საფარით მოგზაურობას გულისხმობს, საუკეთესო გადაწყვეტილებაა. ეწვიეთ სენტოსაზე მდებარე **Universal Studios**-საც, რომელიც ცნობილია საოცარი ატრაქციონებითა და ახლომდებარე აკვარიუმით. მას შემდეგ რაც ბორანით იმგზავრებთ და სინგაპურიდან ბინტანში ჩახვალთ, აუცილებლად განიტვირთეთ და მზის ჩასვლის ულამაზესი ხედებით დატკბით, შემდეგ კი სპილოების შოუთი ისიამოვნეთ და ნავით შეცურეთ **მანგრუვის ტყეში**, რომელიც ფერად-ფერადი ფრინველებით, ხეზე შემოხვეული გველებითა და სხვა ეგზოტიკური სანახაობებითაა მდიდარი. ბინტანში გირჩევთ **Bintan Lagoon**-ში ან **Banyan Tree Bintan**-ში დარჩეთ.

CHECK IN სასტუმროების შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და სხვა რეკომენდაციებისთვის ეწვიეთ **Captain Plus**-ის ოფისს მარი ბროსეს N2-ში, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: +995 32 2424040.



ჯესიკა ალბა სინგაპურში Social Star-ის დაჯილდოებას დაესწრო



სინგაპურის „PR-მენეჯერი“ ჯეკი ჩანი





# ბარბადოსი

ბარბადოსში სამოგზაუროდ ახლა საუკეთესო პერიოდია. ზუსტად 50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სწორედ ამ იუბილეს ზეიმობს **მზიანი კუნძული**, რომლის სანაპიროები ყოველთვის სავსეა ბედნიერი ხალხითა და დაუვიწყარი სანახაობებით. აქვეა უგემრიელესი სამზარეულო და გამორჩეული **ბარი The Cliff**, საიდანაც მზის ჩასვლის ყურება პირდაპირ დიდი ფანჯრებიდან შეგიძლიათ.


საიმონ კოუელი და ლორენ სილვერმანი Sandy Lane-ის სანაპიროზე ისვენებენ

ვარსკვლავები არ გაგიკვირდეთ, თუ ქუჩაში მოსეირნე **რიანას**, **საიმონ კოუელს** ან **ლუის ჰამილტონს** შენიშნავთ. ისინი ბარბადოსის ხშირი სტუმრები არიან.


რიანა მშობლიური ბარბადოსის ხშირი სტუმარია

რეკომენდაციები კარგი იქნება, თუ არჩევანს **The Sandpiper**-ზე შეაჩერებთ და საუკეთესო საცხოვრებელთან ერთად, უზარმაზარი აუზითაც ისიამოვნებთ.

CHECK IN აქ შვიდი ღამის გატარება დაახლოებით **£2,015** დაგიჯდებათ. უფრო ხელმისაწვდომი ვარიანტია **Sandals Barbados**-ი, რომელიც ერთ ადამიანზე **£1,529** ჯდება. ღირებულებაში სხვადასხვა მომსახურებაც შედის.


კარა დელევინი ბარბადოსის ტალღებს ებრძვის და აქტიური დასვენებით ტკბება


დევიდ ბექჰემმა 40 წლის იუბილე სწორედ Marrakech-ში აღნიშნა

# მაროკო

მაროკო ვარსკვლავური საზოგადოების რჩეულ მიმართულებად რჩება. ჩრდილოეთ აფრიკის მარგალიტი სტუმრებს ეგზოტიკური სანახაობებით ანებივრებს. ერთ მხარეს ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ბერბერები ცხვრებს მიერეკებიან, მეორე მხარეს კი ადგილობრივები სასიამოვნო მელოდიას უსტვენენ და მოთვინიერებულ **გველებს „ცეკვაში“** ეხმარებიან. აქვეა უგემრიელესი სამზარეულო და ეგზოტიკური გემო, რომელსაც საუკეთესოდ წარმოაჩენს **Mandarin Oriental Marrakech**-ის შეფმზარეული – **მერიემ ჩერკაუი**.

ვარსკვლავები **პოპი დელევინისა** და **ჯეიმს კუკის** ქორწილი სწორედ მაროკოში გაიმართა. **ჯორჯ** და **ამალ კლუნებმა** კი აქ თაფლობისთვის აღნიშვნა გადაწყვიტეს. ჩრდილოეთ აფრიკის ხშირი სტუმრები არიან **აშერი, დევიდ** და **ვიქტორია ბექჰემები**, **გვინეტ პელტროუ** და **სარა ჯესიკა პარკერი**.


Marrakech-შივე აღინიშნა პოპი დელევინის გაბედნიერება

რეკომენდაციები ეცადეთ ძველი ქალაქიც მოინახულოთ, სადაც ყველაფერი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. რაც შეეხება შოპინგს, გახსოვდეთ, რომ მაროკოელ გამყიდველებს აუცილებლად უნდა შეევაჭროთ! არ წამოხვიდეთ ლამაზი ხალიჩისა და მრავალფეროვანი სუნელების გარეშე. ასევე კარგი იქნება, თუ ნახავთ როგორ თევზაობენ ადგილობრივები. რასაკვირველია მაროკოს ორმაგი ხიბლი აქვს, როცა მას ზამთარში სტუმრობთ და იქაური მზიანი ამინდებით ტკბებით.

CHECK IN **Mandarin Oriental Marrakech**-ში ექვსი ღამის გატარება დაახლოებით **£989** დაგიჯდებათ.



# რიო-დე-ჟანეირო
## ბრაზილია



რიოში წასასვლელად ყოველთვის კარგი დროა, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ბრაზილიას ზამთარში ეწვევით. ეს ჯადოსნური ადგილი მხიარულებით, ფერებით, მზიანი ამინდებითა და გრანდიოზული ღონისძიებებითაა ცნობილი. შეგიძლიათ მოგზაურობა **რიოს კარნავალს** დაამთხვიოთ, მაგრამ თუ ნამდვილი ბრაზილიური ცხოვრების გაცნობა გსურთ, ამ ადგილს შედარებით წყნარ პერიოდში უნდა ესტუმროთ.

ვარსკვლავები სპორტული ღონისძიებების ხშირი სტუმრები არიან **ჯესიკა ენის-ჰილი**, **ენდი მარეი** და **სერ ბრედლი უიგინსი**. რიოს ქუჩებში სერიალებიდან ცნობილ ბევრ სახესაც გადაეყრებით. გარდა ამისა, მშობლიურ მხარეს ხშირად სტუმრობენ **ადრიანა ლიმა** და **ალესანდრა ამბროსიო**.

რეკომენდაციები უპირველესად, **კოპაკაბანასა** და **იპანემას სანაპიროებს** უნდა ესტუმროთ და **ოქროს ქვიშებზე** ინებივროთ. აუცილებლად უნდა ისიამოვნოთ **სამბას ცეკვით**, ადგილობრივების ხასიათით, შაქრისთავა მთიდან დანახული ხედებითა და **ქრისტეს ქანდაკების** მონახულებით.

CHECK IN **Belmond Copacabana Palace**-ი ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროა, სადაც შვიდი ღამის გატარება დაახლოებით **£1,199** ჯდება. შეგიძლიათ **Hilton Barra Rio de Janeiro**-შიც დარჩეთ, სადაც ხუთი ღამე **£829** ღირს და ყველანაირ მომსახურებას მოიცავს.


ენდი მარეი


სერ ბრედლი უიგინსი



ჯესიკა ენის-ჰილი


ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე Otranto-ში დარჩენა და თვალწარმტაცი ხედებით ტკბობა შეგიძლიათ

# სალენტინა
## იტალია

იტალიის მონახულება სწორედ სალენტინადან უნდა დაიწყოთ. ბოლო დროს ეს ადგილი დიდი პოპულარობით სარგებლობს და მასპინძლების კეთილგანწყობით გამოირჩევა. სწორედ აქ შეძლებთ ბოლომდე შეიგრძნოთ იტალიური სული და დააგემოვნოთ ნამდვილი იტალიური კერძები, რომლებიც ნოყიერ მიწაზე მოყვანილი ბოსტნეულისგან მზადდება.

ვარსკვლავები სალენტინა **რუდოლფო ვალენტინოს** სამშობლოა. გარდა ამისა, აქ შესაძლოა **ჰელენ მირენსა** და **ჟერარ დეპარდიესაც** გადაეყაროთ.

რეკომენდაციები სალენტინაში დასარჩენს თქვენი სურვილისამებრ მოძებნით. შეგიძლიათ მდიდრულ სასტუმროში იცხოვროთ, მაგრამ ისიც შეგიძლიათ, რომ ადგილობრივების სახლებში დარჩეთ და იტალიურ ტრადიციებს უფრო ახლოს გაეცნოთ. რასაკვირველია უნდა დააგემოვნოთ **პიცა** და **სპაგეტი**. გარდა ამისა, უნდა მოაწყოთ სანახაობრივი ტურიც – აქაურობას ჯერ კიდევ ეტყობა ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და თურქული კვალი, რომელიც უძველესმა ისტორიამ დატოვა.


ჰელენ მირენი


დერმო ოლერი აქაურობის ხშირი სტუმარია

**ტექსტი**: KATE SIMON; ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: CAPITAL PICTURES; DAVID BECKHAM/INSTAGRAM; FAME FLYNET UK; GETTY IMAGES.









Hotel River Side

Right bank of Mtkvari
Brosse Street Turn, Tbilisi, Georgia
+ 995 (32) **224 22 88**
**www.riverside.ge** info@riverside.ge

COOKERY

# დატკბით & იზეიმეთ

დროა საახალწლო სუფრის ტრადიციული მხარე გვერდით გადადოთ და სტუმრები ახლებური, განსხვავებული და გემრიელი ტკბილეულით გააოცოთ. **HELLO!** სამი ჯადოსნური დესერტის საიდუმლო რეცეპტს გაგანდობთ...



# შოკოლადის ნამცხვარი კენკრით

საშობაო პუდინგი სადღესასწაულო სეზონის ნამდვილი ფავორიტია, თუმცა მისი განსხვავებული რეცეპტით მომზადება ბევრისთვის რთული ამოცანაა. ჩვენ ამ საქმეს გაგიმარტივებთ და კლასიკურ პუდინგს შოკოლადის ელფერით შემოგთავაზებთ. გაითვალისწინეთ, რომ მზადება ახალ წლამდე ან შობამდე ერთი თვით ადრე უნდა დაიწყოთ.

**რეცეპტი** 8 ადამიანისთვის

**დრო მომზადებისთვის**
40 წუთი

**დრო გამოცხობისთვის**
3-4 საათი

**ინგრედიენტები**
- 100 გრ ყავისფერი შაქარი
- 100 გრ კარაქი (*დაჭრილი*)
- 100 გრ შავი შოკოლადი კაკაოს მინიმუმ 60%-იანი შემცველობით (*დამტვრეული*)
- 125 გრ ალუბლის ჩირი
- 40 გრ თეთრი ყურძნის ქიშმიში
- 40 გრ თურქული, უწიპწო ქიშმიში
- 75 გრ შავი ყურძნის ქიშმიში
- 25 გრ მოცვის ჩირი
- 150 გრ შავი ქლიავის ჩირი (*წვრილად დაჭრილი*)
- ჯანჯაფილის მურაბის 2 ბურთულა (დაჭრილი)
- 150 მლ ბრენდი
- 100 მლ Port-ი
- 50 მლ Cointreau
- 2 კანიანად გახეხილი ფორთოხალი
- 1 ც. ცოცხალი ვანილი
- 1 ც. ათქვეფილი კვერცხი
- 50 გრ ნუში (*წვრილად დაჭრილი*)
- 100 გრ ფქვილი
- 50 გრ კაკაოს ფხვნილი
- 1 ს/კ შერეული სუნელი
- 1 ს/კ დაფქვილი დარიჩინი
- 1 ს/კ დაფქვილი ჯანჯაფილი
- 1/4 ს/კ მარილი

**მომზადების წესი**

**1.** 900-გრამიანი ჯამის ფსკერზე მოათავსეთ საცხობი პერგამენტი და ცხიმი წაუსვით;
**2.** ქვაბში ჩაყარეთ შაქარი, კარაქი, შოკოლადი, ჩირი *(ყველანაირი) და ჯანჯაფილის* მურაბა. დაამატეთ ალკოჰოლი და ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს მანამდე ურიეთ, სანამ შოკოლადი და კარაქი არ გადნება. აადუღეთ. დაუმატეთ ქერქიანად დაწურული ფორთოხალი და ცოცხალი ვანილი, შემდეგ კი კარგად მოურიეთ და გააგრილეთ.
**3.** როგორც კი გაგრილდება, შეურიეთ ათქვეფილი კვერცხი და წვრილად დაჭრილი ნუში. ნელ-ნელა დაუმატეთ ფქვილი, კაკაოს ფხვნილი, სუნელები, მარილი, და კარგად მოურიეთ. მიღებული მასა გამზადებულ ჯამში გადაიტანეთ და ზედაპირი მოასწორეთ.
**4.** მრგვლად გამოჭერით საცხობი პერგამენტი და პუდინგის ჯამს გადააკარით. ჯამი ფოლგით შეფუთეთ ისე, რომ წყალგაუმტარი იყოს.
**5.** ფოლგაში გახვეული ჯამი მოათავსეთ ადუღებული წყლის ზედაპირზე ისე, რომ წყალს არ ეხებოდეს და ორთქლზე სამი საათით დატოვეთ.
**6.** პუდინგი გააგრილეთ და გრილ, ბნელ ადგილას მინიმუმ ერთი თვით შეინახეთ.
**7.** ვიდრე სუფრაზე გამოიტანთ, პუდინგი ისევ წყლის ორთქლზე შეათბეთ (*დაახლოებით ერთი საათით*).
**8.** გადაიტანეთ პუდინგი სპეციალურ ჭურჭელზე და ზემოდან ცხელი ბრენდი მოასხით.

# შოკოლადისა და ვისკის ტრიუფელები

შოკოლადის ტრიუფელების მომზადება ბევრისთვის უმარტივესი ამოცანაა. თუმცა ჩვენი ორიგინალური რეცეპტის დახმარებით, ამ დესერტის ექსპერტებსაც კი გააოცებთ...

**რეცეპტი** 25 ულუფა

**დრო მომზადებისთვის**
30 წუთი

**დრო გამოცხობისთვის**
5 წუთი

**ინგრედიენტები**
- 150 გრ შავი შოკოლადი კაკაოს მინიმუმ 60%-იანი შემცველობით (*გახეხილი*)
- 25 გრ კარაქი (*პატარა კუბებად დაჭრილი*)
- 150 მლ ნაღების კრემი
- 2 ს/კ ყავისფერი შაქარი
- 1-2 ს/კ ვისკი
- 20 გრ კაკაოს ფხვნილი

**მომზადების წესი**

**1.** გახეხილი შოკოლადი და დაჭრილი კარაქი ცეცხლგამძლე ჯამში მოათავსეთ და დროებით გვერდით გადადეთ. ნაღების კრემი და შაქარი პატარა ქვაბში გადაიტანეთ და ნელ ცეცხლზე მოათავსეთ. კარგად ურიეთ, ვიდრე შაქარი არ გაიხსნება, შემდეგ კი მიიყვანეთ ადუღებამდე და გაზქურიდან გადმოდგით.
**2.** ჯამი წუთით გასაგრილებლად დატოვეთ, შემდეგ კი კრემი გახეხილ შოკოლადს დაასხით. ურიეთ, სანამ შოკოლადისა და ნაღების გლუვ მიქსტურას არ მიიღებთ. წვეთ-წვეთად დაამატეთ ვისკი და მიღებული მასა რამდენიმე საათით ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ.
**3.** კაკაოს ფხვნილი თანაბრად გადაანაწილეთ ფიალაზე და გვერდით გადადეთ.
**4.** გამოიყენეთ ნაყინის ამოსაღები კოვზი და შოკოლადისა და ნაღების მიქსტურიდან ნელ-ნელა დაიწყეთ პატარ-პატარა ბურთულების ამოღება. თუ საკმარისად მრგვალი ფორმა არ ექნება, ბურთულები ხელით მოამრგვალეთ და ფიალაზე მოყრილ კაკაოს ფხვნილში ამოავლეთ ისე, რომ მთლიანად დაიფაროს. შემდეგ კი ოდნავ შეარხიეთ, რომ ზედმეტი ფხვნილისგან გაათავისუფლოთ.
**5.** ტრიუფელები თეფშზე ლამაზად დააწყვეთ და სტუმრებს მიართვით.





# შოკოლადის ღვეზელი საახალწლო ელფერით

გარდა იმისა, რომ ეს დესერტი უგემრიელესია, თქვენს სტუმრებსა და ოჯახის წევრებს მისი ვიზუალური მხარეც აღაფრთოვანებთ. ღვეზელი ტრადიციული რეცეპტით მზადდება, თუმცა მას ორი ჯადოსნური ინგრედიენტი – შოკოლადი და ვარსკვლავის ფორმები ემატება.

გაითვალისწინეთ, რომ მზადება ახალ წლამდე ან შობამდე ერთი თვით ადრე შეგიძლიათ.

**რეცეპტი** 12 ულუფა

**დრო მომზადებისთვის**
55 წუთი

**დრო გამოცხობისთვის**
35 წუთი

**ინგრედიენტები შიგთავსისთვის**

- 150 გრ მოცვის ჩირი
- 100 გრ ალუბლის ჩირი
- 75 გრ შავი ყურძნის ქიშმიში
- 125 გრ თეთრი ყურძნის ქიშმიში
- 50 გრ თურქული უწიპწო ქიშმიში
- 50 გრ ციტრუსის ქერქი (გახეხილი)
- 50 გრ შავი შოკოლადი, კაკაოს მინიმუმ 60%-იანი შემცველობით (დამტვრეული)
- ჯანჯაფილის მურაბის 2 ბურთულა
- 1 პატარა ვაშლი (გაფცქვნილი და გახეხილი)
- 85 გრ კარაქი
- 30 გრ ნუში (წვრილად დაჭრილი)
- 150 გრ ყავისფერი შაქარი
- 2 ც. ქერქიანად დაწურული ფორთოხალი
- 1 ს/კ დაფქვილი დარიჩინი
- 1 ს/კ შერეული სუნელი
- 1 ს/კ დაფქვილი ჯანჯაფილი
- 1 ც. ცოცხალი ვანილი
- 200 მლ ბრენდი

**ცომისთვის**

- 250 გრ ფქვილი
- 1/4 ს/კ მარილი
- 100 გრ კარაქი (კუბებად დაჭრილი)
- 1 ც. ათქვეფილი კვერცხი
- 100 გრ შაქრის ფხვნილი
- კვერცხი (ათქვეფილი – ზედაპირზე წასასმელად)
- შაქრის ფხვნილი (ზედაპირზე მოსაყრელად)

**მომზადების წესი**

**1.** შიგთავსის მოსამზადებლად, დიდ ჯამში ჩაყარეთ ყველა ინგრედიენტი (გარდა ბრენდისა) და ნელ ცეცხლზე მოათავსეთ. ურიეთ, ვიდრე შაქარი, შოკოლადი და კარაქი არ დადნება. ცეცხლზე კიდევ 10-15 წუთით გააჩერეთ და შემდეგ, როცა გაგრილდება, ბრენდი დაუმატეთ. მიღებული მასა გადაიტანეთ მინის ჯამში და ზემოდან საცხობი პერგამენტი გადააკარით. ქურქელი გრილ და ბნელ ადგილას მოათავსეთ და ერთი (ან ორი) თვით გააჩერეთ. შემდეგ კი, როდესაც გამოიყენებთ და ქაღალდს მოხსნით, მაცივარში შედგით და ისე შეინახეთ.

**2.** იმისთვის, რომ ღვეზელი გამოაცხოთ, დიდ ჯამში ჩაყარეთ ფქვილი, მარილი, კარაქი, და ხელით აურიეთ ისე, რომ კარაქი დაიჭყლიტოს და ფქვილში აირიოს. დაამატეთ შაქარი და პროცედურა გაიმეორეთ. ანალოგიურად მოიქეცით ათქვეფილი კვერცხის შემთხვევაშიც. მიღებული მასა ფქვილმოყრილ ზედაპირზე მოათავსეთ და დაზილეთ. გადააკარით პარკი და მაცივარში 30 წუთით გააჩერეთ.

**3.** გააცხელეთ ღუმელი 200 გრადუსამდე. მაცივრიდან ცომი გამოიღეთ და გააბრტყელეთ ისე, რომ სისქე 5 მილიმეტრს არ აღემატებოდეს. გამოიყენეთ 10-სანტიმეტრიანი მრგვალი საჭრელი ფორმები და ცომიდან 12 დისკი გამოჭერით. ყველა მათგანი ე.წ. მაფინების საცხობ ფორმაში გადაანაწილეთ და თითოეული ფორმა შიგთავსით ამოავსეთ.

**4.** დარჩენილი ცომი ხელახლა მოზილეთ და გააბრტყელეთ. გამოიყენეთ ვარსკვლავის ფორმის საჭრელი, გამოჭერით ცომის 12 ვარსკვლავი და გამოსაცხობად გამზადებული ღვეზელების თავზე მოათავსეთ.

**5.** ღვეზელების ზედაპირს სპეციალური ფუნჯით გადაუსვით ათქვეფილი კვერცხი. შემდეგ კი ღუმელში შედგით და გამოაცხვეთ, სანამ ზედაპირი ოქროსფრად არ შეიფერება.

**6.** გააგრილეთ ღვეზელები, ზემოდან შაქრის ფხვნილი მოაყარეთ და გემრიელად მიირთვით.

ფოტოები: SARAH HAMILTON-WALKER.








Available on the App Store
Get it on Google play
Download with Windows Store



HALF HOUR...

# ანა კენდრიკი

ანა კენდრიკის სახელთან ბევრი კინოჰიტი ასოცირდება. პოზიტიური გოგონა, რომელიც 31 წლისაა, HELLO!-ს პოპულარობასა და ჰოლივუდურ ცხოვრებაზე ესაუბრება

ანა საკუთარ თავს ფერმკრთალ, უცნაურ და პატარა გოგოდ მოიხსენიებს, სინამდვილეში კი მისი ჰოლივუდური გავლენა ძალიან დიდია. ამის დასტურად ისეთ ფილმთა ჩამონათვალიც კმარა, როგორებიცაა: Twighlight, 50/50, Up in the Air, Pitch Perfect, Into the Woods და სხვ. დღეს მსახიობის კარიერაში ახალი, ფერადი და ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა. საუბარია „ტროლებზე", რომელმაც უკვე შემოიკრიბა გულშემატკივართა მთელი არმია და სავარაუდოდ „ოსკარის" მოსაპოვებლადაც იბრძოლებს. ანიმაცია, რომელშიც ანა პოპის პერსონაჟს ახმოვანებს, ტროლების ბედნიერ, მხიარულებითა და სიტკბოებით სავსე სამყაროზე მოგვითხრობს. რაც მთავარია, ყველა გმირი მღერის და ეს გასაკვირი სულაც არ არის – მულტფილმში ჯასტინ ტიმბერლეიკი, ჯეიმს კორდენი, გვენ სტეფანი, Icona Pop-ი და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული სხვა ვარსკვლავები მონაწილეობენ...

**50/50-ში თერაპევტის როლს ასრულებდით. რჩევების მიცემა გეხერხებათ?**

ა.კ. ცოტა მერყევი და გაუბედავი ვარ, ამიტომ მეშინია ხოლმე, ჩემმა რჩევებმა რამე ცუდი არ გამოიწვიოს. ვიტყოდი, რომ კარგი მსმენელი ვარ, მაგრამ ბოლო დროს ამაშიც მოვიკოჭლებ და ერთ რამეზე კონცენტრირება მიჭირს.

**ამ ფილმს ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც „კომედიას სიმსივნეზე". ხომ არ ნერვიულობდით, ასეთ სერიოზულ თემებზე რომ გიწევდათ ხუმრობა?**

ა.კ. მოსალოდნელ შედეგებს თავიდანვე შევეგუე. ვიცოდი, რომ ისეთ შეკითხვებზე მომიწევდა პასუხის გაცემა, როგორებიცაა, მაგალითად: „სიმსივნე მართლა სასაცილო თემად მიგაჩნიათ? ამაზე რომ იცინით, ნორმალურია?". სიუჟეტი უილის ნამდვილ ისტორიაზეა გადაღებული და ჩემი პასუხი შემდეგნაირი იყო: ალბათ ამ საკითხს თვითონ უყურებდა იუმორით. კომედიური ჟანრი მისი პირადი გადაწყვეტილება იყო.

**როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც „ოსკარზე" პირველად წარგადგინეს?**

ა.კ. საოცარი შეგრძნება იყო, მაგრამ ამავე დროს საპასუხისმგებლოც. პირველი ნომინაციის შემდეგ სულ ერთმანეთის მსგავს როლებს მთავაზობდნენ და დიდი დრო დამჭირდა ჩემზე მოკრული იარლიყის წასაშლელად.

**თქვენ Twilight-შიც მონაწილეობდით. ელოდით ფილმის ასეთ პოპულარობას?**

ა.კ. საერთოდ არა! ხალხი გვეკითხებოდა – როგორ ვერ ხვდებოდით, რომ კინოჰიტი იქნებოდაო, მაგრამ მართლა ვერ ვხვდებოდით. გადაღებებიც იმდენად უბრალო და უშუალო გარემოში მიმდინარეობდა, საერთოდ ვერ ვგრძნობდი, რომ მომავალი „გადატრიალების" მონაწილე ვიყავი. პირველი ნაწილის ასეთი წარმატება შემთხვევითი იყო. არ მგონია, მსგავსი რამ კიდევ განმეორდეს.

**რა იგრძენით, როცა Twilight-ის გადაღებები დასრულდა?**

ა.კ. უცნაური სიცარიელე ვიგრძენი. როცა გეგმებს ვაწყობდი, ეს ფილმი მუდმივად თავში მიტრიალებდა ხოლმე და ვიცოდი, რომ მომდევნო ნაწილი ჩემს გეგმებში უნდა გამეთვალისწინებინა.

**როგორია ჰოლივუდური ცხოვრება მაშინ, როცა ქალი ხარ?**

ა.კ. ადამიანებს ჩემსა და ჩემს საქმიანობაზე მეტად ჩანთებისა და ტანსაცმლის ბრენდები აინტერესებთ. სამწუხაროა, რომ ბიჭებს კარიერაზე ეკითხებიან ხოლმე, მე კი – ტუჩსაცხის ფერზე. ეს ფაქტი არ მომწონს.

**როგორია სამომავლო კარიერული გეგმები?**

ა.კ. ძალიან მიჭირს წინასწარ რაიმეს დაგეგმვა და საუბარი. ყველაფერი თანდათანობით ხდება. არ მომწონს, როცა ცხოვრებაში ყველაფერი წინასწარაა გაწერილი. H

ტექსტი: DANIELLE LAWLER. ფოტო: GETTY IMAGES.

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

საგარეო ურთიერთობების მენეჯერი Santiago Velo
რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, მეგი ჯაში
სტილის რედაქტორი ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
ფოტოგრაფი ბაჩი ტაბატაძე
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ჯენი ძოძუაშვილი, ნანუკა კაკაბაძე
დიზაინერის ასისტენტი ნინი ოძელაშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; ტელ.: +995 32 298 03 98; ელ-ფოსტა: info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

watches calvinklein.com




Calvin Klein
swiss made

ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge

360° CASCADE CONSTRUCTION

- გარემონტებული ბინები 1 კვ.მ. 1000$-დან
- 3 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 10, 20 ან 30% პირველადი შენატანით
- ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ

**სრულიად განსხვავებული,** თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები.

**მყუდრო, კომფორტული, დაცული** ბინები 56კვ.მ-დან დასრულებული რემონტით, დახვეწილი დიზაინით.

**25%-მდე ენერგოეფექტურობა,** „პერლიტის" ბლოკით ნაშენი დათბუნებული კედლები. უმაღლესი ხარისხის „შინდლერის" ლიფტები.

**ეკოლოგიურად სუფთა გარემო,** 500კვ.-მდე გამწვანებული ეზო. სკვერი და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის.






## სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!

+995 322 430 360
+995 551 702 702
info@cascadeconstruction.ge
CASCADE 360